

დავით ბერიაშვილი



დავით ბერიაშვილი

მოგზაური და ქალი, რომელსაც  
ძალიან უყვარდა ზღვა

# მოგზაური და ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა

რამდენიმე თვის წინ სახლის ტელეფონზე ვიღაც უცხო მამაკაცი მირეკვავდა და შეხვედრას მოხოვდა. რომ ვკითხე, ვინ ბრძანდებით – მეთქი, გვარი და სახელი არაფრის დიდებით არ მითხრა, თქვენთვის ჩემს გვარსა და სახელს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უბრალოდ, ერთ კონკრეტულ საკითხზე თქვენი ნახვა მინდაო. ცოტა არ იყოს დავიბენი და გავოცდი. სახელსა და გვარს რომ არ მეუბნებით, მაშ, როგორ მოგმართოთ – მეთქი, რომ დავინტერესდი, მოგზაური დამიძახეთო, ასე მიპასუხა. მის ამგვარ პასუხზე გულიანად გამეცინა და ვკითხე:

- ესე იგი, მოგზაურობა გყვარებიათ?
- არა, თქვენ რომ გგონიათ, მე იმ მოგზაურობას არ ვგულისხმობ. – იყო პასუხი.
- აბა, რა მოგზაურობას გულისხმობთ? – კიდევ უფრო გავოცდი მე.
- ბავშვობისკენ, სიყმაწვილისკენ და საერთოდ, იმ მიმართულებით მოგზაურობას ვგულისხმობ, სადაც ჩვენი დავიწყებული წარსულია.

ამის შემდეგ, უკვე მივხვდი, რომ ან ვიღაცას ჩემი გამაიმუნება გადაეწყვიტა, ან კიდევ, აშკარად სულით ავადმყოფთან მქონდა საქმე.

- იცით, რას გეტყვით? მე ახლა სამაიმუნოდ სულაც არ მცალია, ხოლო თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სერიოზულად ღაპარაკობთ, მაშინ თქვენი ადგილი ფსიქიატრიულში ყოფილა. – გავცხარდი მე.

- არავითარი მაიმუნობა და ფსიქიატრიული, გნახავთ, ყველაფერს მოგიყვებით და თავადვე დარწმუნდებით, რომ საქმე სულაც არაა ისე, როგორც გგონიათ.
- კონკრეტულად რა საკითხზე გსურთ ჩემთან შეხვედრა?
- მწერლობაზე. – მიპასუხა უცხო მამაკაცმა.
- და თქვენ მწერლობასთან რამე კავშირში ხართ?
- მეც მწერალი ვარ, ისევე, როგორც თქვენ.
- თქვენი წიგნი ხომ არ უნდა მაჩუქოთ? – ვკითხე მე.
- არა, მაგის გამო არ ვაპირებ თქვენს ნახვას.
- მაშ, რის გამო?
- ადამიანო, ხომ გითხარით, გნახავთ და მერე გეტყვით – მეთქი?! – ახლა უკვე ის გაცხარდა და ხმას აუწია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დავთანხმდი შეხვედრაზე, ჩემთან სახლში. ბოლოს და ბოლოს, უცხო ადამიანი რომ გეუბნება, თქვენთან დალაპარაკება მინდაო, ინტერესის გამო მაინც ხომ უნდა შეხვდე. იქნებ, რა საქმე აქვს? იქნებ, დახმარება სჭირდება და თუ შენც შეგიძლია, ყოველგვარი ანგარების გარეშე დახმარება გაუწიო, ამას რა ჯობია? მე მგონი, არც არაფერი.

ჩვენი შეხვედრა დილის თერთმეტ საათზე შედგა, ჩემს სახლში. კვირა დღე იყო. ასე დილით, იმიტომ ვთხოვე მოსვლა, რომ მერე ქალაქიდან გასვლას ვაპირებდი და მსურდა, ყველა საქმე დილითვე მომეცილებინა. სადღაც, დილის ცხრა საათისთვის უკვე გაღვიძებული ვიყავი. ლოგინიდან ზღაზვნით წამოვიწიე, ფეხზე წამოვდექი და კომპიუტერი ჩავრთე, მაგრამ ეკრანთან მაშინვე არ მივმჯდარვარ. ჯერ აბაზანაში შევედი, წყალი შევისხი, ყველაფერი მოვითავე და მერე სამზარეულოს მივაშურე. მაცივრიდან ატმის წვენი გამოვიღე, დიდ ჭიქაში ჩავასხი და კომპიუტერს მხოლოდ ამის

შემდეგ მივუჯექი. დრო საკმაოდ მქონდა და ამიტომ, მშვიდად შემეძლო ჩემი საქმე მეკეთებინა. ჯერ ფეისბუქში შემოსული პირადი შეტყობინებები გადავიკითხე. შემდეგ, როგორც მჩვევია ხოლმე, ახალი ინფორმაციების მოძიება დავიწყე: მიჰყვა ერთმანეთს პოლიტიკა, სპორტი, კულტურა, ხელოვნება. ზოგისგან სასარგებლო, ცხოვრებისეული რჩევები მივიღე, ზოგი კი ისეთი ინფორმაცია იყო, მხოლოდ რომ შემოგეკითხება ადამიანს. არც საკუთარი პროფილი დამიტოვებია უყურადღებოდ და რამდენიმე პოსტი დავამატე, რა თქმა უნდა, პოლიტიკაზე, სპორტზე და მწერლობაზე. ამის შემდეგ, ფეისბუქის პროფილის გვერდით ახალი ფანჯარა გაგხსენი და აქედან უკვე სხვადასხვა გამოცემების ელექტრონულ ვერსიებს გავეცანი. თან, შიგადაშიგ, ჩემი ახალი წიგნისთვის აკრეფილი ტექსტის კორექტურას ვაკეთებდი.

მოკლედ, ჩემთვის ეს კვირა დღეც ზუსტად ისე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო. არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, რადგან ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, კვირა დღე თენდებოდა. დრო კი ძალიან სწრაფად გავიდა და ჩემი საქმეებით გართულმა, საათს რომ შევხედე, თერთმეტს ათი წუთი უკლდა...

... კიდევ რამდენიმე წუთიც და კარზე ზარის ხმა გაისმა.

- მობრძანდით! – ვუთხარი კართან მდგარ, მწვანეთვალემა მამაკაცს, ოღონდ, იმით დარწმუნებულმა, რომ ნამდვილად ეს კაცი იყო ეგრეთწოდებული მოგზაური, მისთვის ვინაობა არც მიკითხავს.

სხვათა შორის, არც მას უკითხავს რამე, ჯერ თავი დამიკრა და მერე პირდაპირ მისაღები ოთახისკენ წავიდა. მეც მიყევი, ის კი შუაგულ ოთახში გაჩერდა, გაიხედ-გამოიხედა და კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს დაუწყო თვალიერება. არაფერს ამბობდა, დინჯად ათვალიერებდა სურათებს და კმაყოფილი თავს აქნევდა. მერე, უცებ ჩემკენ შემობრუნდა და რომ მეგონა, სურათებზე მკითხავდა რამეს...

- წყალს ვერ დამალევენებო?

- ატმის წვეს ხომ არ ინებებთ? – შევთავაზე მე.
- კარგი იდეაა, მომწონს თქვენისთანა მიხვედრილი მასპინძლები. – წამახალისა მან.
- მე კი მათებს თქვენისთანა გულდია, მაგრამ უსახელო სტუმრები. – სიტყვა უსახელოს განგებ გაგუსვი ხაზი, რაზეც ჩემს სტუმარს მხოლოდ გაეცინა. გამეცინა მეც და სამზარეულოში გავედი ატმის წვეს გამოსატანად. მისაღებ ოთახში რომ დავბრუნდი, ის უკვე სავარძელში იჯდა და ჟურნალების მომცრო მაგიდაზე დაყრილ წიგნებს ათვალიერებდა. ჯერ ერთ წიგნს აიღებდა ხელში, შეათამაშებდა, თითქოს წონას უსინჯავსო, მერე სათაურს დახედავდა და ისევ ჟურნალების მაგიდაზე დებდა, ოღონდ დებდა კოხტად, ერთიმეორეზე, და არა ისე, მე რომ მქონდა მიყრილი.
- ბოდიშს გიხდით, მაგ წიგნების გატანა არც გამხსენებია, ამიტომ, ახლავე გავიტან და მოგაშორებთ. – ვუთხარი მე და ატმის წვნით სავსე ორი დიდი ჭიქა მაგიდაზე დავდგი.
- არა, რას ამბობთ, ჩვენი შეხვედრის მიზანი სწორედ წიგნია და ამიტომ, იყოს, არაფერს გვიშლის.
- ჩვენი შეხვედრის მიზანი წიგნია? – ვერ მივხვდი მის ნათქვამს.
- დიახ, წიგნია. – დააზუსტა მან.
- კარგი, იყოს ეგრე, ოღონდ ამისხენით, რა მიზანს ემსახურება თქვენი ჩემთან სტუმრობა და რა შუაშია აქ წიგნი? – ვკითხე მე და სავარძელში მოვკალათდი.
- ამასწინათ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ვიყავი, სადაც ერთი საინტერესო და დაუჯერებელი ისტორია გადამხდა თავს. – აქ შეჩერდა და ატმის წვენი მოსვა.
- მერე?

- მინდა, რომ ეს ისტორია ფურცლებზე გადავიდეს, წიგნად გამოიცეს და შთამომავლობას შემორჩეს.

- კი, მაგრამ, ისეთი რა ისტორიაა, რომ მისი ფურცლებზე გადატანა და წიგნად გამოცემა გადაგიწყვეტიათ?

- ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ისტორიაა, მაგრამ, მე ხომ აქ ვარ, ამ ამბის მთავარი მოქმედი პირი? დიახ, აქ ვარ და, შესაბამისად, ეს ისტორიაც დაუჯერებელი აღარ უნდა იყოს.

- ჯერ ეს მითხარით, ეგ თქვენი თავგადასავალი დაუჯერებელი რატომ არის, ვინმეს მოუყევით და არ დაგიჯერეს?

- რა ვიცი, როგორ აგიხსნათ?! ეს ის მომენტია, როდესაც ენა ერთს ამბობს, თვალი კი მეორეს, ანუ ენით გიჯერებენ, თვალებში კი რაღაც გაოცებას ვატყობ, დაუჯერებელი ამბით გამოწვეულ გაოცებას.

- ეგ ამბავი ბევრს მოუყევით?

- არა, მხოლოდ რამდენიმე ახლობელ ადამიანს.

- აპირებთ, რომ მეც მომიყვეთ?

- რა თქმა უნდა, აბა, რისთვის გესტუმრეთ?

- სანამ თხრობას დაიწყებდეთ, მაშინ, ჯერ ეს მითხარით, მაინც და მაინც მე რატომ ამომირჩიეთ მესაიდუმლედ და რატომ მიყვებით თქვენს თავს გადახდენილ ისეთ თავგადასავალს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ახლობელი ადამიანისთვის გაქვთ მოყოლილი და სხვა არავისთვის? ბოლოს და ბოლოს, ჯერ გადაგეტანათ ფურცლებზე, გამოგეცათ წიგნად და გეფიცებით ყველაზე ძვირფასს, მაგ თქვენს თავგადასავალს დიდი ინტერესით წავიკითხავდი. – ვუთხარი მე

- მე კი მირჩევნია, რომ ჩემი თავგადასავალი თქვენ დიდი ინტერესით არა წაიკითხოთ, არამედ დაწეროთ... დაწეროთ ისე, რომ შემდეგ წიგნად გამოიცეს.

- რა ბრძანეთ?

- ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემს თავგადასავალს თქვენ გარკვეული ფორმა მისცეთ და ყველაფერი ფურცლებზე გადაიტანოთ. მხოლოდ თქვენ უნდა დაწეროთ და არავინ სხვამ. – კატეგორიული იყო ჩემი სტუმარი.

- რატომ მე, და არა ვინმე სხვამ, მაგალითად, თქვენ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მწერალი ბრძანებულხართ და განა საკუთარ თავზე წერა და საკუთარ თავს გადახდენილი ისტორიის ფურცლებზე გადატანა უფრო ადვილი არ არის?

- რა ადვილია და რა ძნელი, მე ახლა მაგაზე თქვენთან კამათს არ ვაპირებ, მე მხოლოდ თხოვნით მოვედი, რომ თქვენ მოჰკიდოთ ხელი ამ საქმეს. მერწმუნეთ, თემა საინტერესოა და მუშაობის პროცესი უდიდეს სიამოვნებას მოგგვრით. ხოლო, როცა წერას მორჩებით და ბოლოში გახვალთ, მიხვდებით, რომ დრო ფუჭად არ დაგიკარგავთ და საკმაოდ სერიოზული ქმნილების ავტორი ხართ.

- რა ვიცი, რა გითხრათ? – თავი ჩავლუნე მე.

- უნდა დამთანხმდეთ! – იყო პასუხი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, რომ ჯერ საკუთარ თავს გადახდენილ ამბავს დეტალურად მომიყვებოდა, ხოლო ამ საქმეს ხელს მოვკიდებდი თუ არა, პასუხს მხოლოდ ამის შემდეგ გავცემდი.

ჩემთვისაც და მისთვისაც ამ ამბის თხრობა, დამღლეელი რომ არ ყოფილიყო და თავგადასავალი დეტალურად გადმოეცა, გადავწყვიტეთ, თხრობის პროცესი რამდენიმე დღით გაგვეხანგრძლივებინა. ამიტომ სამჯერ მოვიდა ჩემთან სახლში,

ოდონდ უკვე სადამოს საათებში, ერთხელ კი ბარშიც შევხვდით ერთმანეთს და კონიაკის თანხლებით გავაგრძელეთ ჩვენი საქმე.

საკუთარ თავს გადახდენილ ამბებს ჰყვებოდა დიდი გატაცებით, ხანდახან თვალებს ხუჭავდა და ისე იხსენებდა წვრილმან დეტალებსაც კი. უნდა გითხრათ, რომ მოსმენილი მეც გამოგონილ და არარეალურ ამბად მომეჩვენებოდა, რომ არა ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ მოგზაური სულაც არ ჰგავდა არასერიოზულ კაცს. ის კი არა, მიუხედავად იმისა, რომ იუმორის უდიდესი გრძნობა გააჩნდა, მაინც, საკმაოდ გულჩათხრობილი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. თხრობის დროს, ხან იცინოდა, ხან უსერიოზულესი კაცის გამომეტყველებით იჯდა. მეც ჩემებური შეკითხვებით თხრობას არ ვაწყვეტინებდი, რადგან იმდენად ამომწურავად ყვებოდა ყველაფერს, რომ შეკითხვების დასმა უაზრობად მიმაჩნდა. რაღაც კონკრეტული ეპიზოდის თხრობას რომ რჩებოდა და ამოსუნთქვის მიზნით კონიაკს ან ხილის წვენს გადაწვდებოდა ხოლმე, მე მხოლოდ მაშინ ვიღებდი ხმას და ჩემი ჭკუით, რაღაც უმნიშვნელოვანეს დეტალებს ვაზუსტებდი. მაგალითად, ასე:

- ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ იმ ქალს ნამდვილად უყვარს ზღვა?

- რა, არ გჯერათ?

- არა, როგორ არ მჯერა, მაგრამ...

ან კიდევ ასე:

- ბავშვობის წლები ყველას ტკბილად ახსენდება და ალბათ, გამონაკლისი არც თქვენ უნდა იყოთ.

- რა თქმა უნდა.

- კარგი, გააგრძელეთ, გააგრძელეთ...



მოკლედ, მივხვდი, რომ შეკითხვების მხოლოდ იმიტომ დასმა, რომ საქმეში ჩამთვლოდა, სასაცილო მდგომარეობაში მაგდებდა. ამიტომ მოგზაურს ხელს აღარ ვუშლიდი და ვაძლევდი საშუალებას, მხოლოდ მას ელაპარაკა და ყველაფერი ისე გადმოეცა დაწვრილებით, როგორც თავად სურდა.

რაც ყველაზე მთავარია. იცით, კიდევ, რატომ დავთანხმდი ამ საქმისთვის ხელი მომეკიდა? მე მოგზაურში დავინახე ადამიანი, რომელიც ყველა ჩვენგანისგან განსხვავებით, საკუთარ წარსულში დაბინძურებული საცვლების გადამალვას სულაც არ ცდილობდა. დიახ, მოგზაური იყო ადამიანი, რომელიც საკუთარ წარსულში ჩარჩენილ სიბინძურეთა ჯაჭვს კი არ მაღავედა, არამედ სამსჯავროზე გამოჰქონდა და ამბობდა – მე ნაძირალა ვარ, მაგრამ, იცოდეთ, ნებისმიერი ადამიანის წარსულს რომ ჩაუედრმავდეთ, პატიოსნება ისეთივე მითად გადაიქცევა, როგორც უცხოპლანეტელთა არსებობა.

ფარისევლებით დამძიმებულ ჩვენს სამყაროში კი მსგავსი ტიპის ადამიანები ძალიან იშვიათია. მე, პირადად, მოგზაურის გარდა, ასეთი გულდია და საკუთარი, ცოდვანარევი წარსულის საჯაროდ გამომტანი პიროვნება არასდროს შემხვედრია.

ვინც ჩემი გამტყუნება გადაწყვიტოთ, გთხოვთ, გადახედოთ ჩვენს მახინჯ დროებაში (და არა მარტო ჩვენს დროებაში) უსამართლოდ აღზევებულ მწერლებს, პოეტებს, ხელოვანებსა და მთლიანად ხალხის მასების მიერ განდიდებულ პიროვნებებს, ანუ მოფარისეველო ელემენტებს და დასკვნები მერე გააკეთოთ. ეს ის ხალხია, რომელთაც სახე მუდამ უღიმით და ყოველთვის საკუთარ ტანზე წამოსხმული ძვირფასი მანტიის წარმოჩენით არიან დაკავებულნი, მაგრამ საკუთარ წარსულში ჩადენილ სიბინძურეებს ჭუჭყიანი საცვლებივით მაღავენ, რათა ადამიანებს უსპეტაკეს არსებებად მოაჩვენონ თავი. მე არ მომწონს ადამიანთა ასეთი არტისტიზმი და როგორც გავარკვიე, არც მოგზაურს მოსწონდა, რადგან თამაშია ყოველივე ეს, ძალიან ბინძური და გულისამრევი თამაში... თამაში,

რომელსაც ადამიანთა მოდგმა დასაბამიდან დღემდე თამაშობს და კიდევაც ითამაშებს, ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე.

რაც შეეხება ცალკე კალმოსნებს, ესეც ხომ ცხადია, რომ ისინი, რატომღაც მხოლოდ სხვათა მახინჯ წარსულზე წერენ, საკუთარი ბინძური წარსული კი მუდამ ავიწყდებათ.

- ნეტავ, რატომ ხდება ასე? – ვკითხე მოგზაურს.

- არ აწყობთ, მეგობარო, არ აწყობთ და იმიტომ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, აბა, მაჩვენეთ, თუნდაც ერთი პოეტი ან მწერალი, რომელსაც საკუთარ წარსულში ჩარჩენილი ცოდვები სააშკარაოზე გამოეტანოს და ხალხისთვის დაენახებინოს? ტყუილად ნუ გაირჯებით, ასეთ კალმოსანს თქვენ ვერ იპოვით, ვერა. ხოლო, ვინც სიმახინჯეებზე წერს, რატომღაც ამ სიმახინჯეებს გამოგონილ პერსონაჟებს მიაწერს და ისე ლაპარაკობს, თითქოს ამ სამყაროში მხოლოდ ვიღაც სხვა იყოს ნაძირალა, და არა თვითონ. გესმით, მეგობარო, ჩემი, გესმით?

- ძალიან კარგად მესმის.

მართლა ძალიან კარგად მესმოდა ამ კაცის და ამიტომაც გადავიტანე მისი მონათხრობი ფურცლებზე. ავად თუ კარგად, მთელი მისი მონათხრობი ერთ კალაპოტში მოვაქციე და როგორც ხედავთ, წიგნადაც გამოვეცი. წაიკითხავს თუ არა მოგზაური ამ წიგნს, ეჭვიც არ მეპარება, რომ წაიკითხავს, რადგან შემპირდა, თქვენ მხოლოდ გამოეცით და მაგ წიგნს მაღაზიაში მე თვითონ მივაგნებ და ვიყიდო.

ასე წავიდა ჩემი ცხოვრებიდან რამდენიმე დღის გაცნობილი ალალი ადამიანი, რომლისგანაც მხოლოდ მის სახელზე გამოცემული ეს წიგნი დამრჩა და სხვა არაფერი. შეხვედრით კი, ალბათ, ვეღარასოდეს შევხვდები, რადგან არც საკუთარი კოორდინატები დაუტოვებია და, როგორც თავში გითხარით, არც საკუთარი გვარი და სახელი უთქვამს ჩემთვის.

როგორც ჩანს, ჩვენი რამდენიმე დღიანი ნაცნობობა მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, რომ მე მისი განვლილი ცხოვრების ერთ-ერთი მონაკვეთი კალმით მომეხაზა და წიგნად გამომეცა.

- იმედია, არ მიღალატებთ, დაწერთ, რაც მოგიყევით და შემდეგ წიგნადაც გამოსცემთ. – მითხრა დამშვიდობების წინ მოგზაურმა.

- იმედი გქონდეთ, რომ არ გიღალატებთ, დაწერ, რაც მომიყევით და შემდეგ წიგნადაც გამოვცემ. – დავაიმედე მე და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ასე რომ, მე ჩემი სიტყვა შევასრულე და მისი თავგადასავალი წიგნად გამოვეცი, დანარჩენი კი უკვე თავად მოგზაურზეა დამოკიდებული, მან უნდა მიაგნოს ამ წიგნს, წაიკითხოს და შეაფასოს.

თუმცა, რატომ მარტო მოგზაურმა? ჩემი დიდი სურვილია, რომ ამ წიგნმა ბევრი იაროს და საბოლოოდ ის ღვთაებრივი ქალიც მონახოს – ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა.

## მოგზაური და ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა

მზით განათებულ ქალაქში თავჩადუნული მიაბიჯებდა მოგზაური – მზე გაზაფხულისა იყო, ქალაქი კი უცხო. დადღილს ფეხები უკანკალებდა, მაგრამ ეს არ იყო ადამიანის ფიზიკური

მდგომარეობიდან გამომდინარე, ანუ დატვირთვით გამოწვეული დაღლა, ეს უფრო გამოფიტვას ნიშნავდა, სულიერ გამოფიტვას. სამშობლოდან აქამდე ამხელა გზა გამოიარა და თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ აეწყო საქმეები ისე, როგორც მოელოდა, ვერ მოერგო სიტუაციას, უცხო გარემოს და სამშობლომონატრებული ნაადრევად ტოვებდა აქაურობას.

ჯერ გზის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და ჯიხურში წყალი შეიძინა, რომელიც გზაში გამოადგებოდა, შემდეგ კი, იმ შენობაში შევიდა, რამდენიმე წუთის წინ რომ მიასწავლეს. ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ზოგიერთები ისხდნენ და ყოველგვარი მორიდების გარეშე ხმამაღლა ყაყანებდნენ. მოგზაური პირდაპირ სალაროებისკენ წავიდა, მიაღვა ერთ სალაროს, შეიხედა შიგნით, ჰკითხა, რაც აინტერესებდა და იმათმაც სხვა მხარეს გააგზავნეს. შენობიდან ავტოვაგზლის ეზოში გავიდა მოგზაური და იმ მიმართულებით წავიდა, საითაც მიასწავლეს. მიდიოდა და სიცხისგან აღუღებულ ასფალტზე ფეხი ეკრობოდა. არადა, ჯერ მხოლოდ გაზაფხულის მიწურული, მაისი იდგა და, ზაფხულში აქ, რა სიცხე იქნებოდა, ამის წარმოდგენაც ზარავდა მოგზაურს. თუმცა, აქაურ კლიმატზე ფიქრი მისთვის მნიშვნელოვანი აღარ იყო, რადგან ამ ქვეყანას ტოვებდა მოგზაური და სამშობლოში ბრუნდებოდა...ბრუნდებოდა ხელმოცარული და იმედგაცრუებული, მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა და უნდა დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც დიდი იმედებით წამოვიდა.

მიაღვა ავტოვაგზლის იმ ნაწილს, რომელიც მიასწავლეს, მაგრამ მოლარემ უთხრა, კომპიუტერულ სისტემაში, რაღაც პრობლემა გვაქვს და ბილეთების გაყიდვას მხოლოდ ოთხი-ხუთი საათის შემდეგ დავიწყებთ, მანამდე კი შეგიძლიათ, გვერდით კაფეში შებრძანდეთ და ყავა მიირთვათ, ან უახლოეს სასტუმროს მიაშუროთ და დაისვენოთ.

უკმაყოფილო მოგზაურმა ხელი ჩაიქნია და გასასვლელს მიაშურა.

- რა კაფე, რის ყავა, ან რა ოთხი-ხუთი საათით აქ ჯდომა და ლოდინი, ესენი ხომ არ გაგიჟდნენ? წავალ, სასტუმროს მოვნახავ და დილამდე იქ დავრჩები, ბილეთს კი ხვალ დილით ავიღებ. – გაიფიქრა და გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად სასტუმროს ძებნას შეუდგა. თუმცა, ბევრი არც უვლია, ავტოვაგზლიდან არც ისე მოშორებით, ნაძვნარით ამწვანებული ქუჩა რომ იწყებოდა, ერთ პატარა სასტუმროს მიაღწა. ფერადი და კოპწია სასტუმრო იყო, სტუმრის გულს რომ გაახარებდა, ისეთი. შევიდა თუ არა სასტუმროში, ჯერ ახალგაზრდა გოგონა შეეგება და ნომერი შესთავაზა, მერე, დაახლოებით სამოცი წლის მამაკაცი გამოჩნდა, რომელმაც ადმინისტრატორამდე მიაცილა.

- თქვენ, ნომერი გნებავთ, არა? – ჰკითხა მამაკაცი.

- დიახ.

- რამდენი ხნით აპირებთ დარჩენას?

- ხვალ დილამდე.

- მე ამ სასტუმროს მეპატრონე გახლავართ. – გაეცნო უცხო მამაკაცი.

- მე კი სამშობლოში დასაბრუნებლად გამზადებული ადამიანი.

- კეთილი, მიბოძეთ თქვენი პასპორტი.

მოგზაურმა თავისი პასპორტი სასტუმროს მეპატრონეს გადასცა, ამ უკანასკნელმა პასპორტს ჩახედა, ვინაობა გაიგო და ხელით სასტუმროს ადმინისტრატორზე ანიშნა, ახლა საქმე ამასთან უნდა გქონდეთო.

- დიდი მადლობა. – მიმართა მოგზაურმა.

- არაფერს, ბატონო ჩემო. თუ რამე დაგჭირდეთ, მე დრავო მქვია, მომნახეთ და შეძლებისდაგვარად დაგეხმარებით.

- დიდი მადლობა! – უზომოდ კმაყოფილი იყო მოგზაური.

რამდენიმე წუთში, მოგზაური უკვე საკუთარი ნომრის აივანზე იდგა და ქალაქს გადაჰყურებდა. ლამაზი ქალაქია სტამბული, ევროპისა და აზიის შერწყმა, ისე არსად არ იგრძნობა, როგორც აქ.

ძილით არ ეძინებოდა, არადა, ჯერ შუადღე იყო და რა უნდა ეკეთებინა, თუ არა დაბლა ჩასვლა და უაზროდ ხეტიალი? არც არაფერი. ამიტომ, ჩავიდა კიდევ. ჯერ სასტუმროს გვერდით რომ ტექნიკის მაღაზია იყო, ის მოინახულა. ყიდვით არაფერი უყვია, მხოლოდ ათვალიერებდა. მაღაზიიდან გამოსული იქვე, მომცრო კაფეში შევიდა და ფანჯარასთან დაჯდა, თეთრ ტანსაცმელში გამოწკეპილ მიმტან მამაკაცს კი მხოლოდ კოკა-კოლა შეუკვეთა.

- კოკა-კოლა, თუ შეიძლება.

- მხოლოდ კოკა-კოლა? – დაზუსტება სცადა მიმტანმა.

- დიახ, მხოლოდ კოკა-კოლა.

- ქათამს ხომ არ ინებებთ? – შესთავაზა მიმტანმა.

- რა ქათამს? – გაუკვირდა მოგზაურს.

- შემწვარ ქათამს ან ქათმისგან გაკეთებულ რამე კერძს ხომ არ ინებებთ?

- არა!

- არც ქაბაბს?

- არა!

- იქნებ შაურმა გესიამოვნოთ?

- არ მინდა.

- არც ტკბილეული გნებავთ?

- არა, არ მშია.

- განსაკუთრებით ტურისტებს ძალიან მოსწონთ ჩვენი კერძები. – არ ცხრებოდა მიმტანი მამაკაცი.

- დარწმუნებული ვარ, თქვენი კერძები მეც მომეწონებოდა, მაგრამ არ მშია და რა ვქნა?

- მაშინ უნდა დალიოთ. – მოესმა მოგზაურს ვიღაცის ხმა. გაიხედა მოგზაურმა და მარჯვნიდან მომღიმარი დრაგო დასდგომოდა თავს.

მოგზაურმა მარცხენა ხელით სკამი გამოსწია და დრაგოს შესთავაზა, დაბრძანდითო, მარჯვენა ხელით კი მიმტანს მაცივარზე მიანიშნა, ორი ბოთლი კოკა-კოლა მოიტანეთო, მაგრამ, უცებ გაჩერდა და ჰკითხა, მე მგონი, თქვენ ჩაის უფრო დალევთ, არა?

- დალევით კოკა-კოლას დავლევ, მაგრამ ეს რა გამოდის, თქვენ სტუმარი ხართ, მე მასპინძელი, თქვენ უცხოელი ხართ, მე აქ მცხოვრები და აქეთ თქვენ მეპატიუებით? – აშკარად გაოცება დაეტყო დრაგოს.

- ნეტავ, მაგაზე მეტი სადარდებელი არ გქონდეთ. – ღიმილით დაამშვიდა მოგზაურმა.

- საერთოდ, თქვენი თანამემამულეები აქ ყველასგან გამოირჩევიან, კარგი ხალხია... პირადად თქვენც, ძალიან კარგი ადამიანი ჩანხართ.

- ჩემი თანამემამულეები ჩემზე გაცილებით უკეთესები არიან, მე მათ შორის ყველაზე უკანასკნელი ვარ. – ამას უკვე ღიმილის გარეშე, სერიოზული სახით ამბობდა მოგზაური.

- თქვენ თავმდაბალი ადამიანიც ბრძანდებით. – აღფრთოვანებას ვერ მალავდა დრაგო.

- ესე იგი, კოკა-კოლას სვამთ?

- იყოს კოკა-კოლა, მაგრამ თქვენ მე ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ.

- ნეტავ, მეც სულ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდნენ ხოლმე. – გაეცინა მოგზაურს.

- თქვენ იუმორის გრძნობაც საუცხოო გქონიათ.

- იუმორის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი, ოღონდ არ მიყვარს, როცა იუმორი გადაამლაშებს და ადამიანის შეურაცხყოფაში გადადის. არ მეთანხმებით?

- რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ისე, სანამ სასტუმროში გაგიცნობდით, მანამ თქვენ ავტოვაგზლიდან მოშორებით დაგინახეთ, მარტო მოდიოდით, მე კი სასტუმროსკენ მოვიჩქაროდი.

- ავტოვაგზალს ვეძებდი და კითხვა-კითხვით მოვაგენი.

- თუ არ ვცდები, რაღაც გაბრაზებული ჩანდით.

- მქონდა კიდევ მიზეზი.

- რა მოხდა, ვერ მეტყვი? – დაინტერესდა დრაგო.

- როგორც გითხარით, ავტოვაგზალს კითხვა-კითხვით მოვაგენი. ბოლოს, სანამ იმ მხარეს გადმოვიდოდი, სადაც ავტოვაგზალი ყოფილა, ვიდაც უცხო მამაკაცებს ვკითხე. მათგან ერთ-ერთმა ხელით მანიშნა, იქით არისო. უფრო ზუსტად, იქნებ ამისხნათ, სად არის ავტოვაგზალი – მეთქი, რომ ვუთხარი, იმან კიდევ დამიკონკრეტა, თუმცა, მეც იქით მივდივარ, გამოგყვებით და გაჩვენებთო.

აქ მოგზაური შეჩერდა და თავი ჩაღუნა.

- რა, აღარ გამოგყვათ? – იკითხა დრაგომ.

- გამომყვა მეგობართან ერთად, მაგრამ, ჯობდა, არ გამომყოლოდნენ.

- რატომ?



- ავტოვაგზლის შენობა, შორიდან რომ გამოჩნდა, მითხრეს, აი, ეგ არის ავტოვაგზალიო. მეც კმაყოფილმა მადლობა გადაუხადე და ნაბიჯის გადადგმას რომ ვაპირებდი, იცით, ერთ-ერთმა რა მითხრა?
- რაო, რა გითხრათ? – სკამიდან წინ წამოიწია დრაგო.
- ხომ მოგასწავლეთ ავტოვაგზალი და ახლა სანაცვლოდ, ცოტა ფული მაინც გადაგვიხადეო.
- მერე, თქვენ რა უთხარით?
- ჩაიხანაში დაგპატიუთო, ხომ არ გინდათ – მეთქი?
- მერე? – მოთმინება დაეღია დრაგოს.
- იმის ნაცვლად, რომ შერცხვენოდათ და დამნაშავედ ეგრძნოთ თავი, აქეთ ისინი გადმოვიდნენ აგრესიაზე. ბევრი რომ არ გაუაგრძელო, ცოტადა დამაკლდა და წიხლებით შევდგებოდი ორივეს. იმათ ყაყანზე პოლიციაც მოვიდა და რომ გაიგეს საქმის ვითარება, ხმისამოუღებლად გაგვშორდნენ, მხოლოდ ეს მითხრეს, აი, ეს არის ავტოვაგზალი და მიბრძანდითო.
- სამარცხვინო ხალხს რა დალევს ამ ქვეყანაზე. მაინც ეცადეთ ხოლმე, რომ ეგეთ ადამიანებს არ აჰყვეთ, თორემ, შეიძლება პროვოკაციაზე წამოგაგონ და ძალიან გაგიერთულონ საქმე.
- მე არ ვტყუოდი, ისინი კი ნაძირლები იყვნენ.
- ნაძირლობა მაგათი ხელობაა. თქვენ რას წარმოადგენთ?
- მწერალი ვარ.
- თქვენი პროფესია მწერლობაა, იმათი პროფესია კი ნაძირლობაა. ისინი ამით ცხოვრობენ და, აბა, სხვა რა უნდა აკეთონ, მწერლობა დაიწყონ? მათთვის მწერლობა, ისეთივე უცხო რამ არის, როგორც თქვენთვის ნაძირლობა. გესმით ჩემი?
- მშვენივრად მესმის.

- ალბათ გეწყინათ კიდევ.
- გამოგიტყდებით და ნაწყენი ვარ. – გულწრფელი იყო მოგზაური.
- იმ ნაძირლებზე?
- იმათ აღარაფერი ეშველებათ, მე მთელ სამყაროზე ვარ ნაწყენი.
- რატომ?
- ნაძირლები უფრო კარგად ცხოვრობენ და იმიტომ.
- გეთანხმებით, ნაძირლები პატიოსან ადამიანებზე ბევრად უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ თქვენ ვისზე ხართ ნაწყენი, სამყაროზე თუ სამყაროს შემოქმედზე?
- იმაზე, ვინც ეს უსამართლო სამყარო შექმნა.
- მეგობარო, მერწმუნეთ, ყველა ადამიანს საკუთარი მისია გააჩნია ამ გადაგვარებულ სამყაროში, სადაც მახინჯი დროებისგან ზოგი განდიდებული ცხოვრობს, ზოგი დამცირებული, ზოგი გამაძღარი და ზოგიც დამშეული, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ვინ რას შეჭამს, ჩაიცვამს ან ვინ რა სახის ძვირფასეულობას წამოისხამს მხრებზე? არა, მეგობარო, არა, მთავარი ეგ არ არის. მთავარია, თქვენი ცხოვრება ისე გაატაროთ, რომ ერთი, თუნდაც ერთი საქმე მაინც დატოვოთ, რომელიც გადაგარჩენთ.

მოგზაური ღუმდა და ხმას არ იღებდა, დრავო კი თავისას აგრძელებდა:

- ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება გულისამრევი ცოდვებით არის სავსე, მაგრამ როგორი ცოდვილიც არ უნდა იყოს, არის ერთი რამ, რაც ადამიანს გადაარჩენს. მე ახლა ამას არ გეტყვით, მაგრამ, ვეცდები, რომ ცოტა მოგვიანებით, თავად შეიტყოთ და შეიგრძნოთ ყოველივე.

მოგზაურმა მიმტანს ანიშნა, მოდითო. მიმტანიც მივიდა მათთან და ორთავეს კეთილი ღიმილი აჩუქა.

- არაყი მოგვიტანეთ, თუ შეიძლება. – შეუკვეთა მოგზაურმა. დრაგო კი ისე იჯდა, თითქოს სულაც არ გაჰკვირვებია, ის კი არა, ელოდა კიდევ, მოგზაური რომ არაყზე გადავიდოდა.

- რას მიაყოლებთ? – შეახსენა მიმტანმა.

- როგორც თქვენი შემოთავაზებიდან მახსოვს, თქვენ აქ, თურმე ქათამიც გქონიათ.

- რა თქმა უნდა, ჩემო ბატონო. კარტოფილთან ერთად მოგართვათ თუ ცალკე შემწვარი ქათამი? – სიამოვნებისგან, ლამის მაგიდაზე ჩამოდნა მიმტანი.

- ორივენაირი მოიტანეთ, ანუ კარტოფილთან ერთადაც და ცალკე შემწვარიც. – უპასუხა მოგზაურმა და დრაგოს გადახედა, რომელიც აშკარად გაოცებული და კმაყოფილი იყო.

- თქვენ მე უხერხულობაში მაგდებთ და ძალიან მავალებთ... ისე, თბილისიდან ხართ?

- თბილისიდან გახლავართ.

- ლამაზი ქალაქია თბილისი, პატარა და უძველესი.

- ნამყოფი ხართ თბილისში? – დაინტერესდა მოგზაური.

- ადრე, ბავშვობაში ვარ ნამყოფი, დაახლოებით, თორმეტი-ცამეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ. ჩემმა მშობლებმა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა გადაწყვიტეს, მოგვიკიდეს ხელი მე და ჩემს დას და შემოგვატარეს, ლამის მთელი პლანეტა. ორი თვე ვიმოგზაურეთ, სად აღარ ვიყავით, რა აღარ ვნახეთ, თანამედროვე ქალაქები, ისტორიული ძეგლები, ბუნების საოცრებები, მაგრამ თქვენი ქვეყანა დღემდე შემომრჩა მეხსიერებაში, სხვა ქვეყნები კი, ახლა, ლაპარაკს რომ არ მოეტანა, აღარც მახსოვდა, და იცით, რატომ?

- ნამდვილად არ ვიცი. – მხრები აიჩინა მოგზაურმა.

- მე და ჩემმა ოჯახმა თქვენს ქვეყანაში ადამიანებისგან ისეთი სითბო ვიგრძენით, რომ დღეს უკვე სამოცი წლის კაცს, ჯერ კიდევ, რომ არ გამნელებია და არ დამვიწყებია. გესმით, მეგობარო, ჩემი?

მოგზაურს ესმოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, დრავო კი აგრძელებდა:

- სწორედ იმ მოგზაურობისას ვიგრძენი პირველად, რომ სამყარო ძალიან ცივი და უკარებაა, მაგრამ ასეთ სიცივეშიც კი, შეიძლება მოინახოს ერთი თბილი ქვეყანა, ერთი თბილი ქალაქი, თბილი ხალხი და იმათგან ისეთი სიყვარული იგრძნო, რომ მერე ბედნიერებისგან თქვა, ღმერთო ჩემო, თურმე ღირს ამ სამყაროში ცხოვრება და ყველაფერი ისეთი გაყინული არ ყოფილა, როგორც აქამდე მეგონაო.

დრავო შეჩერდა და მიმტანიც ხელდამშვენებული მიაღება მათ მაგიდას. არც თუ ურიგო სუფრა გაიშალა და გადაჰკრეს ერთი, ორი, სამი... დრავო აშკარად კმაყოფილი იყო, მოგზაური კი ჩაფიქრებული.

- ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ისეთი სითბო ვიგრძენი თქვენს ქვეყანაში, როგორი სითბოც, არც მანამდე და არც იმის შემდეგ აღარც ერთ ქვეყანაში აღარ მიგრძნია. დღეს თქვენ ჩვენი სტუმარი ხართ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პატივს გცემდეთ, რაღაც გაწყენინეს. ნაძირლებმა ფული მოგთხოვეს იმაში, რომ ავტოვაგზალი მიგასწავლეს. ამიტომ მე მრცხვენია ყველა ჩემიანის მაგივრად.

- არა უშავს, ადამიანებისგან მსგავს გამოხტომებს უკვე მიჩვეული ვარ და აღარაფერი მაოცებს. უბრალოდ, მწყინს და სულ ეს არის.

- გწყინთ, ოღონდ არ გაოცებთ?

- დიახ, მწყინს, ოღონდ არ მაოცებს. – უპასუხა მოგზაურმა.

- შეეჩვიეთ და იმიტომ.

- დედამიწა მახინჯი დროის მიერ აღზევებული წმინდანებით რომ გაივსო, ამასაც შეეჩვიე. ცხოვრობენ ისინი ჩვენ გვერდით, ცოდვაში

დგანან ჩვენზე არანაკლებ, მაგრამ ცხოვრობენ ჩვენზე გაცილებით უკეთ. ჰოდა, გეკითხებით, რა უნდა დავუპირისპიროთ ყოველივე ამას? ვერაფერსაც ვერ დავუპირისპირებთ, იმიტომ, რომ უძლურნი ვართ ამ შავბნელი დინების წინააღმდეგ. ისე, თქვენ როგორ გგონიათ, სამყაროს ერთი ბინძური ნაწილი ამ მედროვე ფარისევლებს წმინდანებად რატომ რაცხავს და ფეხქვეშ რატომ ეგება? მე გეტყვით, არ გინდათ ფიქრი. სალაფავს ელის მათგან და იმიტომ. გესმით, ხელოვნურად შექმნილი წმინდანებისგან სალაფავს ელის, სალაფავს.

- იცით, რას გეტყვით, მეგობარო? ნებისმიერ მაგ თქვენს წმინდანს სულ მცირე ხნით დავამშვევ, პატარა, ყოფით პრობლემებს შევუქმნი და მერე ისე ვაცდუნებ, როგორც დაგიბარებიათ. თანაც ოცდაათ ვერცხლზე გაცილებით ნაკლები, სულ რაღაც რამდენიმე გროში დამიჯდება მათი ცდუნება. ეს ბრიყვები კიდევ ამ ფარისევლებს წმინდანებად და ერისკაცებად რაცხავენ. ამიტომ ვამბობ, რომ ესენი ისეთივე სასაცილოები არიან, როგორც ჩემი ოთხფეხა მეგობარი, პუპსი.

ამის შემდეგ ცოტაც კიდევ გადაჰკრეს, კიდევ, კიდევ და მოგზაურმა კიდევ ერთი ბოთლი არაყი და რაღაც სასუსნავი მოატანინა, თუ ქეიფია, ქეიფი იყოსო, თქვა და დრაგოს კიდევ ერთხელ შეუესო ჭიქა.

- ვიქეიფოთ, მეგობარო, ვიქეიფოთ, უბრალოდ, თქვენ მე მაცობთ და უხერხულობაში მაგდებთ. მე უნდა გეპატიუებოდეთ და თქვენ მეპატიუებით? თქვენ სტუმარი ხართ, მე მასპინძელი. – იმეორებდა კმაყოფილი დრაგო და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.

აღკოპოლმაც თავისი საქმე ბრწყინვალედ შეასრულა და უკვე კარგად შეთვრნენ. მათი საუბარი აღარ იყო დინჯი და რაციონალური. უკვე ხმამაღლა იცინოდნენ და საკუთარ ემოციებს ისე ამჟღავნებდნენ, როგორც მთვრალ მამაკაცებს სჩვევიათ ხოლმე.

თუმცა, ეს ის სიმთვრალე იყო, როცა ადამიანს არაფერი ეშლება, გარშემო მყოფებს არაფერს ავნებს და მხოლოდ თავდავიწყება ამოუჭრია გულში.

- ესე იგი, დღეს თავდავიწყებამდე ვსვამთ? – დაინტერესდა დრაგო.

- დიახ, თავდავიწყებამდე, რადგან, შეიძლება, ისე მოხდეს, რომ მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება აქ ვედარასოდეს მოვხვდე და ჩვენც ვედარასოდეს ვიხილოთ ერთმანეთი.

- გეთანხმებით, არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა იყოს. ამიტომ, მინდა, დღევანდელი დღე ისე დაგამახსოვრდეთ, რომ მერე, მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე აღარ დაგავიწყდეთ.

- ჩათვალეთ, რომ უკვე აღარ დამავიწყდება. – იღიმოდა მოგზაური.

- არა, არაააააააა, ჩვენი შეხვედრა მხოლოდ ერთი კარგი ქეიფით არ უნდა დასრულდეს. მეც მინდა, ჩემებურად პატივი გცეთ და ზღვით დაფარულ გვირაბამდე მიგიყვანოთ.

- ზღვით დაფარული გვირაბი, ეგ რაღაა? – გაოცდა მოგზაური.

- კარგი, მაშინ ჯერ თქვენი წარსულის შესახებ მითხარით.

- მე რომ ჩემი წარსულის შესახებ თხრობა დავიწყო, რამდენიმე დღე არ მეყოფა.

- მაშინ, ეს მაინც მითხარით, რამდენად გამძიმებთ წარსულში ჩადენილი ცოდვანი?

- ჩემი წარსული მე მაძლევს იმის უფლებას, რომ ღამით მშვიდად მეძინოს და როგორც ცოდვილს მაჯლაჯუნები არ მესიზმრებოდეს. – ამაყი იყო მოგზაური.

- ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ წარსულში სრულიად პატიოსანი გზით გივლიათ და არანაირი ცოდვა არ გამძიმებთ?

- რაღაც უმნიშვნელო ცოდვებს თუ არ ჩავთვლით, შეგიძლიათ დამიჯეროთ, რომ ცოდვილის გზით ნამდვილად არ მივლია.
- ნეტავ, მართლა ეგრე იყოს, მაგრამ... – სინანულით თავი გააქნია დრაგომ.
- ეჭვი გეპარებათ? – სკამის საზურგეს ამაყად მიეყრდნო მოგზაური.
- ვნახავთ, მეგობარო, ყველაფერს ვნახავთ და მერე, შეიძლება, ცოტა არ იყოს, შეგრცხვეთ კიდევ. ისე, როგორც ნებისმიერ ადამიანს.
- რას ვნახავთ და სად ვნახავთ? – ვერაფერს ვერ მიხვდა მოგზაური.
- ეჰ, ჩემო მეგობარო, ზღვით დაფარული გვირაბი ისეთი რამ არის, ნებისმიერ ადამიანს რომ გააშიშვლებს და მტკვერდადებულ წარსულს, თვალწინ რომ გაუცოცხლებს. წარმოიდგინეთ, სრუტეა წყლით დაფარული, შევა იქ ადამიანი, არხეინად მიცურავს და მერედა შეამჩნევს, რომ ეს ერთი უწყინარი სრუტე აგრესიულ ზღვად გადაქცეულია და ნაპირი კი დაკარგულია, აღარ ჩანს. რას იტყვით, როგორი საქმეა, მიცურავს ზღვაში ადამიანი და ნაპირი არსაიდან აღარ ჩანს. ასეთ დროს, რა უნდა ქნას ადამიანმა? ან უნდა დაიხრჩოს, ან უნდა გადარჩეს. თუ დაიხრჩო, იპოვიან და გამოიტანენ, წყლის ბინადართა საკვებად არ დატოვებენ, ხოლო თუ გადარჩა, მაშინ, ზღვის ქვემოთ დატანებულ გვირაბამდე უნდა ჩააღწიოს და მეორე მხარეს გავიდეს.
- მე მაინც ვერაფერს ვერ ვხვდები, რა ზღვით დაფარულ გვირაბზე გაქვთ ლაპარაკი? – ხელები გაშალა მოგზაურმა.
- მიხვდებით, თანაც ძალიან მალე. ახლა კი ეს მითხარით, თქვენ, რა, მართლა სამშობლოში ბრუნდებით?
- სამწუხაროდ, ვბრუნდები ისეთივე ხელმოცარული, როგორი ხელმოცარულიც ჩამოვედი. – უიმედობა დაეტყო მოგზაურს.
- ასე, უგზო-უკვლოდ ხელმოცარულს ხეტიალი მეც გამომიძვია. დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, მეც ეგრე, თქვენნაირად უიმედობა

მკლავდა. დავდიოდი აღმა-დაღმა, მაგრამ ამ სამყაროში ჩემს ადგილს ვერ ვპოულობდი, ვიდრე მშობლიურ რუმინეთიდან არ გამოვიქეცი და ამ ქვეყანაში არ დავსახლდი. აქაური ჩემი თანამემამულეებიც დამიდგნენ გვერდში და დღეს უკვე ვარ ის, ვისაც მხედავთ. მერე, ჩემი მომავალი საბედოც აქვე გავიცანი და აქვე დავოჯახდი. დღეს უკვე ბედნიერი კაცი ვარ, მაგრამ იყო დრო, ხელმოცარულსა და ყველასგან გარიყულს, თავის მოკვლა მინდოდა.

აქ დრავო შეჩერდა, აღარაფერს ამბობდა, მხოლოდ თავჩაღუნული იჯდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ ცრემლები არ წამოსცვენოდა.

- და თქვენი წარსული? – მოულოდნელად იკითხა მოგზაურმა.

- მეც ისეთივე წამებული ანგელოზი მეგონა საკუთარი თავი, როგორც თქვენ გგონიათ. ეჰ, მეგონა ანგელოზი ვიყავი, ვიდრე ზღვით დაფარულ გვირაბის იქით არ გავცურავდი და ჩემ უკან მოტოვებულ სამყაროში არ მოვხვდებოდი. მერე მოვხვდი, მეგობარო, ზღვაში ჩამარხული გვირაბის იქით, ამოიქეჩა მთელი ჩემი მივიწყებული ცოდვანი და სირცხვილით თავი სად წამეღო, აღარ ვიცოდი.

- წარმოუდგენელია, ადამიანმა საკუთარი ცოდვილი წარსული დაივიწყოს. – უკან არ იხევდა მოგზაური.

- ადამიანი უნიჭიერესი არსებაა, მას ყოველთვის ახსოვს მათემატიკური ფორმულები, ისტორიული თარიღები, ენები, მაგრამ საკუთარი ცოდვანი ერთადერთია, რომელთაც ადამიანი ძალიან იოლად ივიწყებს.

- რატომ?

- საკუთარი ცოდვების გახსენება აღარ აწყობს ადამიანს და იმიტომ.  
– იყო პასუხი.



ამის შემდეგ კიდევ სვეს... სვეს, ვიდრე არ მოსაღამოვდა, მერე ბარბაცით ფეხზე წამოდგნენ და:

- თქვენ მართლა ძალიან კარგი ადამიანი ყოფილხართ, მეგობარო. ხომ გახსოვთ, რომ თქვენ სტუმარი ხართ, მე მასპინძელი. გესმით ჩემი? – კმაყოფილი იყო დრაგო.

- მესმის, მეგობარო, მესმის, ოღონდ ახლა ერთი წუთით მომიცადეთ, მივალ დახლთან, ანგარიშს გავასწორებ და მოვბრუნდები. ერთი წუთით მომიცადეთ, მხოლოდ ერთი წუთით. – კმაყოფილი იყო მოგზაურიც.

- მოიცათ, მოიცათ, სად მიდიხართ? – მოგზაურს მაჯაში ჩააველო ხელი დრაგომ.

- ხომ გითხარით, თანხას გადავიხდი და მოვბრუნდები – მეთქი. – გაიცინა მოგზაურმა.

- არა, მეგობარო, რა თანხის გადახდა, თქვენ მართლა დაიჯერეთ? როგორ, ჩემს ობიექტში, მე თქვენ თანხას გადაგახდევინებთ? ხომ არ დაგავიწყდათ, მე მასპინძელი ვარ, თქვენ სტუმარი.

- ვერაფერი ვერ გავიგე. – გაოცდა მოგზაური.

- კარგი, მაშინ პირდაპირ გეტყვით, რომ მე ამ კაფის მეპატრონე ვარ და ჩემს დაქვემდებარებაში მყოფ ობიექტში შემოსულს, ფულს როგორ გადაგახდევინებთ?

- კი, მაგრამ, თქვენ ხომ სასტუმროს მეპატრონე ხართ?

- სასტუმროსი და კიდევ რამდენიმე კაფის, მათ შორის, ამ ობიექტის მეპატრონეც ვარ. თქვენ, რა, მართლა გეგონათ, რომ თანხას გადაგახდევინებდით? ის კი ძალიან მომეწონა, სტუმარი კაცი, ჩემს დაპატიუებას რომ აპირებდით, თანაც სად? ჩემსავე ობიექტში. დიდი მადლობა, მეგობარო, თქვენ ძალიან კარგი ადამიანი ხართ, თქვენს ქვეყანასა და ხალხს კი მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, ამიტომ,

გადახდა არ არის საჭირო, რადგან მე მასპინძელი ვარ, თქვენ სტუმარი.

გამოვიდნენ მოგზაური და მისი მასპინძელი დრაგო კაფიდან ერთად. ქუჩებში გაზაფხულის თბილი სადამო სასიამოვნოდ იწვოდა და დნებოდა, ირგვლივ სიმშვიდე გამეფებულიყო და მყუდროებას მხოლოდ ქუჩის მუსიკოსების მიერ გადმოფრქვეული სასიამოვნო ჰანგები არღვევდა. წყნარ და მშვიდ ქუჩაზე მიდიოდნენ მოგზაური და მისი მასპინძელი. მიუახლოვდნენ თუ არა სასტუმროს, დრაგო შედგა, თითქოს რაღაც იყნოსაო და კმაყოფილმა მოგზაურს გადახედა.

- აი, ისინიც მოვიდნენ!

- ისინი ვინ არიან, ან ეს რა ეტლებია, სასტუმროს წინ რომ ჩამწკრივებულან? – გაოცებული იყო მოგზაური.

- ეგენი? ეგენი ბოშები არიან, ჩემი ბოშები, ჩვენი ბოშები, ძალიან საყვარელი და ლამაზი ბოშები, მოხეტიალე ცხოვრებას რომ ეწევიან, ის ბოშები. დროზე მივიდეთ მათთან. – გახარებული იყო დრაგო.

- მერე, აქ რა უნდათ?

- ეგენი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან და ერთ ადგილზე არ ჩერდებიან. დადიან ადმა-დადმა და არავის არაფერს არ უშავებენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ეგენი, ჩემო მეგობარო, ძალიან კარგი ბოშები არიან, ჩემი ბოშები, ჩვენი ბოშები, ძალიან ლამაზები და საყვარლები. ეს გოგონა ლოლიტაა, ყველაზე ლამაზი გოგონა დედამიწის ზურგზე. ხომ ლამაზია, მეგობარო? თან, იცით, რა ჭკვიანი გოგონა? წინასწარმეტყველებაც შეუძლია ხელის გულზე. გინდათ, ვთხოვ და გიმკითხავებთ, თანაც სრულიად უფასოდ, არაფერს მოგთხოვთ, გარდა ერთი კოცნისა. აი, ეს კი ჩემი პუპსია, ჩემი ოთხფეხა მეგობარი. ხომ საყვარელია? თეთრი, ფუმფულა და ლამაზი. ძაღლმა რომ ყეფა არ იცოდეს, გინახავთ? ალბათ აქამდე არ გექნებათ ნანახი, ჩემმა პუპსიმ კი მარტო დაყეფება კი არა, ერთი დადრენაც არ იცის. დადის და, თუ არ მოეფერებით, მხოლოდ კუდს

აქიცინებს, თუ მოეფერებით, მაინც აქიცინებს. ძალიან ჭკვიანია ჩემი პუკსი. ხომ მოგეწონათ? ეს ქალბატონი, ჩემი მეუღლეა, ნინა ჰქვია და იცნობდეთ მას. ასე მგონია, უხსოვარი დროიდან ერთად ვართ. და იცით, რატომ მიყვარს ჩემი მეუღლე? მე რომ მიძლებს და ჩემ გამო თავგანწირვა რომ შეუძლია, იმიტომ. იცით, მეგობარო, რამხელა ბედნიერებაა, როდესაც გვერდით გყავთ ქალი, რომელსაც თქვენი გულისათვის ყველანაირი ცხოვრებისეული გაჭირვების ატანა და თავგანწირვა შეუძლია? ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. თქვენ? თქვენ მეუღლე არ გყავათ, არა? ჰოდა, ვისურვებდი, თქვენც ასეთი მეუღლე გყოლოდეთ, როგორც ჩემი ნინაა; კეთილი, ერთგული და პატიოსანი. ისინი ჩემი შვილები არიან. როგორც გითხარით, ორი შვილი მყავს, ქალ-ვაჟი – ქეთი და მირჩა. ორივეს საკუთარი ოჯახი აქვს და ჰყავთ შვილები. ასე რომ, შვილებითა და შვილიშვილებით განებივრებული კაცი ვარ. ბედნიერებაც სხვა კი არაფერია? – აღფრთოვანებული იყო დრაგო და მოგზაურს აცნობდა ყველას, ვინც მისთვის ახლობელი იყო.

სასტუმროს ეზო კი ეტლებშებმული ცხენებით იყო სავსე. აბა, მოხეტიალე ბოშები ცხენებისა და ეტლების გარეშე სად გაგონილა? ეზოში და თავად სასტუმროში ბოშათა მხიარულ შეძახილებს, ყიჟინასა, და რაღა თქმა უნდა, სიმღერებს ყურთასმენა მიჰქონდა.

- ის კაცი ვინ არის? – ჰკითხა მოგზაურმა დრაგოს.

- ოოო, ეგ ბოშათა ბარონია. უსმინეთ, საინტერესო რაღაცას ამბობს.

– სახეგაბრწყინებული იყო დრაგო.

ბოშათა ბარონი კი ამაღლებულ ფასადზე იდგა და სტუმარ-მასპინძელს მიმართავდა:

- მეგობრებო, გილოცავთ ყველას, სტუმარსაც და მასპინძელსაც. გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ... და იცით, რას გილოცავთ? კიდევ ერთი ღამაში ღამის დაწყებას გილოცავთ. იმედია, ამ ღამის მოგონებანი ყველა ჩვენს სტუმარს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება და იმ მარტივ ჭეშმარიტებამდე მიიყვანს, რასაც სიყვარული ჰქვია.

სიყვარული ხომ ერთადერთი რამ არის ამ გადაგვარებულ სამყაროში, რასაც ჩვენი გადარჩენა შეუძლია?!

- და, აი, ლოლიტაც – თვალებგაბრწყინებული ამბობს დრაგო და მოგზაურს ლოლიტას უფრო ახლოს აცნობს, - შორიდან რომ დაგანახვით, ხომ გახსოვთ? მთელი ბოშათა ბანაკის თვალია, ხომ ღამაზია?

ემსიანმა ლოლიტამ ჯერ წამიერად გაიღიმა, შემდეგ თმები გაიშალა და ისე, რომ მოგზაურს თვალს არ აშორებდა, ძალიან ნაღვლიანად მიმართა:

- მე სულ იმას ვნატრობდი, შენისთანა მწვანე თვალები მქონოდა.

- შავი თვალები რითია ნაკლები? – გაეღიმა მოგზაურს.

ლოლიტა მოგზაურთან ძალიან ახლოს მივიდა, თვალებში ჩახედა და უცებ შუბლი შეკრა: - შენ მოკვდები, თანაც ძალიან მალე... ამაღამ.

მოულოდნელობისგან გაოცებულ მოგზაურს თვალები გაუფართოვდა და ღამის მუხლები მოეკვეთა, დრაგოს კი სიცილი აუვარდა.

იცინოდა დრაგო, გაგონილით ელდანაცემი მოგზაური კი იდგა, მაგრამ თავს ძლივს იკავებდა და მუხლებს ძლივს იმაგრებდა, რომ არ წაქცეულიყო.

- მე ახლა გავალ და აბა, თქვენ იცით! – მიმართა დრაგომ მოგზაურს და ღიმილით გაეცალა იქაურობას.

მოგზაური იდგა კარგა ხნით გაშეშებული და ხმას ვეღარ იღებდა. ან რაღა ჰქონდა სათქმელი, როცა საკუთარი ყურით გაიგონა, რომ ძალიან მალე, ამაღამვე უნდა მომკვდარიყო. ესე იგი, მოკვდებოდა მოგზაური, მორჩა და გათავდა, ისე, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი კვდება, მაგრამ, ნუთუ ასე მალე და ასე მოულოდნელად?

დუმილი ლოლიტამ დაარღვია და:

- იმიტომ გაურბიხარ სიკვდილს, რომ გეშინია? – ჰკითხა მოგზაურს.
- მე სიკვდილს, იმიტომ კი არ გაურბივარ, რომ მისი მეშინია, არამედ იმიტომ გაურბივარ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვასწარი.
- რა ვერ მოასწარი, გართობა, ჭამა, სმა და ლამაზმანებში დროსტარება? – გაეცინა ლოლიტას.
- სამყაროს აღქმა და შემდეგ ფურცლებზე გადატანა ვერ მოვასწარი.
- როგორც ჩანს, საკუთარ თავში საკმაოდ დარწმუნებული ადამიანი ხარ.
- ესე იგი, მე ამაღამ მოგკვდები? – სიტყვა ბანზე აუგდო მოგზაურმა.
- დიახ, შენ ამაღამ მოკვდები, მაგრამ ნუ გეშინია, შენ ამაღამვე, ისევ დადგები ფეხზე, ანუ გაცოცხლდები.
- თუ მოგკვდები, მერე ფეხზე რაღა დამაყენებს და რაღა გამაცოცხლებს?
- არის ამ სამყაროში ერთი რამ, რაც გადაგარჩენს და გაგაცოცხლებს.
- რა არის, ის ერთი რამ? – მთლად თავგზა აებნა მოგზაურს.
- ამას თავად ნახავ და შეიგრძნობ, თანაც ძალიან მალე.
- ძალიან გაურკვეველად ლაპარაკობ. – გაბრაზდა მოგზაური.
- მე გაცილებით გარკვევით ვლაპარაკობ, ვიდრე შენ წერ. – მიახალა ლოლიტამ და ბავშვივით გადაიკისკისა.
- დავლიოთ? – სასტუმროს ბარისკენ გაიხედა მოგზაურმა.
- დავლიოთ! დავლიოთ! დავლიოთ! მაგრამ მერე? დალევის შემდეგ რა ვქნათ? – მაცდურად ახედა ლოლიტამ

- მერე ვიმღეროთ! – იყო მოგზაურის პასუხი.

- მერე?

- მერე ვიცეკვოთ!

- მერე?

- მერე, შენ რაც გინდა, ის გავაკეთოთ.

- არა, შენ რა გინდა, ეს მითხარი.

- მერე ვიმკითხავოთ. – მოკლედ მოუჭრა მოგზაურმა.

ამაზე ლოლიტას ისეთი სიცილი აუვარდა, რომ იქვე, სასტუმროს ფოიეში დადგმულ სავარძელზე მიესვენა.

- მაშ, ვიმკითხავოთ, არა? – იმეორებდა ლოლიტა და ჩაბჭირებული ფეხებს აბაკუნებდა.

- დიას, უნდა ვიმკითხავოთ, სხვა გზა არ არის. – იცინოდა მოგზაურიც.

- ხომ უკვე ვიმკითხავე? – სერიოზული სახე მიიღო ლოლიტამ.

- შენი რა მიდის, კიდევ ვიმკითხავე.

- როდემდე?

- დილამდე, დილამდევევევე – გააგრძელა მოგზაურმა.

- დილამდე მე სხვა რამე გამიგია, და არა მკითხავობა. – ისევ ჩაბჭირდა ლოლიტა.

- იქნებ მითხრა, რა გამიგია დილამდე?

- იცი შენ, მე რაც გამიგია დილამდე, მაგრამ ახლა, ანუ ამდღამ შენ მაგისტრის არ გეცლება.

- უნდა მოვკვდე და იმიტომ?

- უნდა მოკვდე და მერე ისევ გაცოცხლდე.
- ამაღამე?
- დიას, ამაღამე.

მოგზაურისთვის ყველაფერი ბურუსებში გაეხვა და გაურკვეველი გახდა. შეკითხვის დასმა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა და დასვა კიდევ მოგზაურმა რამდენჯერმე შეკითხვა, მაგრამ ლოლიტას პასუხი ყოველთვის გაურკვეველი იყო. ალკოჰოლით გაბრუებულ და გულანთებულ მოგზაურს, ცოტა არ იყოს დასცხა და ლოლიტას მოუბოდიშა, რამდენიმე წუთით გარეთ გაეალო.

- მეც გამოგყვები! – მაშინვე ფეხზე წამოიჭრა ლოლიტა.
- არა, შენ აქ დარჩი და მე მალე მოვბრუნდები. ჩაველაპავ სუფთა ჰაერს და ისევ აქ გავჩნდები.
- კარგი, მე აქ, ამ სავარძელში დაგელოდები.

მოგზაურს არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავის დაქნევით დაეთანხმა ლოლიტას და სასტუმროს ეზოს მიაშურა. იქ კი საოცრებები ხდებოდა. მთელი ბოშათა შემადგენლობა, სასტუმროში დარჩენილ ლოლიტას გარდა, ყირაზე გადადიოდა. იყო სიმღერა, ცეკვა და შიგადაშიგ მუშტების ქნევაც. ბოშები ამ ლამაზი ღამით ხარობდნენ და ერთობოდნენ ისე, როგორ მხოლოდ მათ სწამთ და უყვართ. ასეთ სილადესა და სიცოცხლის ხალისს სხვაგან სად იხილავს ადამიანი, თუ არა ბოშათა სიახლოვეს? ვერსად! ვერსად!

იდგა მოგზაური და ბოშათა საოცარი აღმაფრენით ტკბებოდა. სიმღერას სიმღერა ენაცვლებოდა, ცეკვას ცეკვა.

- ყველა ცეკვავს, ყველა ხარობს, მასპინძელიც და სტუმარიც, ხოლო ვისაც აქ ცხვირჩამოშვებულს დავინახავ, იმ ჩამოშვებულ ცხვირს ამ ნაჯახით მოვაჭრი. იცით, რომ ასეთი რამის გასაკეთებლად, მე ხელი არ ამიკანკალებს. ასე რომ, მე გაგაფრთხილეთ და დანარჩენი უკვე

თქვენზეა. – გასცა ბრძანება ბოშათა ბარონმა და მარჯვენა ხელში უზარმაზარი ნაჯახი შეათამაშა.

ამ შემთხვევაში მასპინძლები იყვნენ ბოშები, სტუმრები კი სასტუმროს ბინადარნი და უბრალოდ, გამვლელი ადამიანები.

- თქვენ? თქვენ რატომ დგახართ ასე მორიდებით? მობრძანდით და გაგვიშინაურდით. – ბოშათა ბარონმა ხელი მოგზაურისკენ გაიშვირა.

- მე უკვე საკმაოდ ვმხიარულობ, დგომით კი, აქ დგომა მირჩევნია. – ღიმილით უპასუხა მოგზაურმა და ყოველი შემთხვევისთვის ცხვირზე ხელი მოიკიდა, ხომ ადგილზეაო?

გაეცინა ყველას, მათ შორის ბოშათა ბარონსაც, ოღონდ მოგზაურს ადგილის შეცვლა მოსთხოვა.

- კარგია თუ მხიარულობთ, ოღონდ აქ დაჯექით, ამ სამფეხაზე... აი, ეგრე, კარგია, არ მოიწყინოთ, მეგობარო.

- რა უფლება მაქვს მოვიწყინო? – გაეღიმა მოგზაურს.

ისმონდა ბოშური მელოდიები, ღამის ცა დუღდა და გადმოდუღდა. კმაყოფილი იყო მასპინძელიც და სტუმარიც. მოგზაური კი იჯდა სამფეხაზე და გიტარის სიმებიდან არეკლილი მელოდიების საოცარი უღერადობით ტკებოდა. საოცარი საღამო იყო, ცაზე ვარსკვლავების დათვლა რომ მოგინდება, ისეთი. მაგრამ მოგზაურს ვარსკვლავების დასათვლელად არ ეცალა, რადგან უნდა ემხიარულა, თორემ ცხვირს დაკარგავდა.

- გინდა, გიტარაზე დაკვრა გასწავლო? – გვერდზე მიუჯდა მოგზაურს თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბოშა ბიჭუნა.

- არ გირჩევ! – თვალი ჩაუკრა მოგზაურმა ბიჭუნას.

- რატომ?



- ხალხს რომ ჩემი გიტარაზე დაკვრა არ მოეწონება და რომ იტყვიან, ვინც შენ დაკვრა გასწავლა, მე იმის ასე და ისეო, მერე შენ ეს გესიამოვნება?
- არ მესიამოვნება და ამიტომ აღარ გასწავლი გიტარაზე დაკვრას. მაშინ ჩემს დას დაუუძახებ და გიმკითხავენს. – არ დანებდა ბიჭუნა.
- ოოო, მე უკვე მიმკითხავენს და სიკვდილი მიწინასწარმეტყველეს. ასე რომ, ჩემი საქმე წასულია. – დიმილით თავზე ხელი გადაუსვა ბიჭუნას მოგზაურმა.
- ვინ გიმკითხავა?
- ლოლიტამ.
- ლოლიტამ თუ გიმკითხავა, მართლა მოკვდები. ლოლიტა არასოდეს ცდება და ყოველთვის სიმართლეს ამბობს.
- ესე იგი, დავმშვიდდე? – გაეცინა მოგზაურს.
- თუ მაინც კვდები, მაშინ, გაეცი ყველაფერი, რაც გაქვს და სამოთხეში მოხვდები.
- კარგი, მაშინ მითხარი, შენ რა მოგცე?
- სიგარეტი! – დაუფიქრებლად უპასუხა ბიჭუნამ.
- მე უკვე დიდი ხანია, აღარ ვეწევი.
- თუ არ ეწევი, მარიხუანაც არ გექნება, ამიტომ, ვერც მაგას მოგთხოვ, არა?
- არც მარიხუანა შედის ჩემს ინტერესებში. – იყო მოგზაურის პასუხი.
- წამალი?
- რა წამალი, ყელის ტკივილის წამალი? – ვითომ ვერ მიხვდა, ისეთი სახე დაიჭირა მოგზაურმა.

- არა, რა ყელი, რის ყელი, ვენებში რომ შევიშხაპუნო და თავდავიწყებას მივეცე, იმ წამალზე გეუბნები.
- ვერც მაგ საქმეში დაგეხმარები, რადგან ყველანაირი ნარკოტიკისგან ვდგავარ შორს.
- მაშინ ბევრი ფული მომეცი.
- ბევრი რამდენია?
- მილიონი!
- მილიონი არ მაქვს.
- ხომ მაინც კვდები, ამიტომ წავიდეთ და ბანკის დაყაჩაღებაში დამეხმარე ან ვინმე მილიარდერს შევუვარდეთ სახლში, გაგუდოთ და მერე მთელი მისი ქონება ჩვენ გამოვზიდოთ.
- რა ვქნა, მე არც ყაჩაღი ვარ და არც მკვლელი.
- ესე იგი, გამოდის, რომ კაცი, რომელიც არც სიგარეტს ეწევი, არც მარხუანით ერთობი, არც წამალს იკეთებ და დაყაჩაღება-მკვლევლობებისგანაც შორს დგახარ, უნდა მოკვდე? – გული აუჩუყდა ბიჭუნას.
- ლოლიტამ ასე მიწინასწარმეტყველა და, რა ვქნა?
- ისე, მოსალოცად კი გქონია საქმე.
- მოსალოცად, რატომ?
- სამოთხეში მოხვდები და იმიტომ.
- რატომ გგონია, რომ სამოთხეში მოვხვდები?
- იმიტომ, რომ არ ეწევი, არ სვამ, არ ყაჩაღობ და არ კლაფ.
- შენ ვერ მოხვდები სამოთხეში?
- ვერა, ვერ მოხვდები. – ნაღვლიანად უპასუხა ბიჭუნამ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ნამეტანი ნამყენი ცოდვილი ვარ; ვეწევი, წამალს ვიკეთებ, ვყაჩაღობ და თუ დამჭირდა, კაცსაც მოვკლავ.

- მერე, თუ მაგდენს ხვდები, რომ მხოლოდ ეგ გიშლის სამოთხეში მოსახვედრად ხელს, ძველ ჩვევებს რატომ არ ივიწყებ და ახალ ცხოვრებას რატომ არ იწყებ?

- სხვანაირად არ შემიძლია და იმიტომ.

- მე ახლა მთვრალი ვარ და აქ რომ ჩამეძინოს ღრმა ძილით, შენ მოხვალ, ჯიბეში ხელს ჩამიყოფ და მომპარავ რამეს? – იკითხა მოგზაურმა.

ბიჭუნამ თავი ჩაღუნა და არაფერს ამბობდა.

- გეკითხები და გამეცი პასუხი: მე მთვრალს, აქ რომ ჩამეძინოს, შენ ჩამიყოფ ჯიბეში ხელს და მომპარავ რამეს?

- კი, მოგპარავ! – უპასუხა ბიჭუნამ, ოღონდ თავი არ აუწეგია, ისე.

- კარგი ბიჭი ხარ შენ და შენი გადარჩენა კიდევ შეიძლება. – ბიჭუნას კიდევ ერთხელ გადაუსვა მოგზაურმა თავზე ხელი.

ბიჭუნას თვალები გაუფართოვდა, რადგან მის ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ასეთი შავბნელი საქმიანობისთვის, ვიღაც უცხო ადამიანი, კი არ ტუქსავდა, არამედ, კარგი ბიჭი ხარო, ეუბნებოდა და თავზე ხელს უსვამდა.

- რატომ ვარ კარგი ბიჭი? – იკითხა გაოცებულმა ბიჭუნამ.

- კარგი ბიჭი იმიტომ ხარ, რომ მაინც სიმართლეს ამბობ და არ ინიღბები. გულახდილად ამბობ, რომ მოგპარავდიო. ასე რომ, მთლად წუმპეში არ მდგარხარ და შენი გადარჩენა კიდევ შეიძლება.

- როგორ?

- გარემო უნდა შეიცვალოს.

- გარემო როგორ უნდა შევიცვალო?
- ამათ უნდა დაშორდე – ხელი ბოშებისკენ გაიშვირა მოგზაურმა – და სხვა ადამიანებთან დასახლდე.
- სხვა ადამიანები როგორები არიან? – დაინტერესდა ბიჭუნა.
- მაგალითად, მე რომ ვარ, დრავო რომ არის. გამიგე? დასახლდი იქ, სადაც მოხეტიალე ბოშები არ იქნებიან, ნარკოტიკს არ იკეთებენ, არ იპარავენ და ადამიანებს არ კლავენ.
- სადაც მოხეტიალე ბოშები არ არიან, იქ ნარკოტიკს არ იკეთებენ, არ იპარავენ და ადამიანებს არ კლავენ? – ალაღად იკითხა ბიჭუნამ.

მოგზაურმა ხელი ჩაიქნია და დადუმება არჩია.

- მიპასუხე, გთხოვ!
- რა გიპასუხო?
- სადაც მოხეტიალე ბოშები არ არიან, იქ დანაშაული არ ხდება?
- ხდება, როგორ არ ხდება?!
- მაშინ სად წავიდე, ან რატომ წავიდე, თუ ყველგან მაინც დანაშაული ხდება?
- არ ვიცი! – მოკლედ მოუჭრა მოგზაურმა.
- ცუდია, რომ არც შენ იცი, საით უნდა წავიდე. არადა, იცი, რომ უნდა წავიდე, მაგრამ სად? ეგ აღარ იცი.
- ჰო, კარგი, ნუ წახვალ.
- წახვლას აზრი არ აქვს, ყველგან იგივე ხდება და იმიტომ. ეგეც რომ არა, ვინ მიმიღებს მე, ქუჩიდან მისულ, ვიდაც უპატრონო ბოშა ბიჭს? არც არავინ. ამიტომაც ვარ ასეთ გარემოცვაში, სადაც დავიბადე.

- მართალი ხარ, არავინ მიგიღებს. – ისე თქვა მოგზაურმა, რომ აშაკარად ეტყობოდა, ამ თემაზე საუბრის დასრულება სურდა.

- სიგარეტს მიყიდი? – ჯიბიდან ამოღებული სიგარეტის ცარიელი კოლოფი მარჯვენა ხელით დაჭმუჭნა ბიჭუნამ.

- მე წავიდე, ვიყილო და მოგიტანო? – გაოცებით შეხედა მოგზაურმა.

- არა, რას ამბობ, მაგას როგორ გეტყვი. ფულს თუ მომცემ, მე თვითონ წავალ და ვიყიდი.

მოგზაურმა საფულედან ქაღალდის კუპიურა ამოაძვრინა და ბიჭუნას გაუწოდა. – აჰა, წადი და იყიდე.

- ამით ერთი კოლოფი კი არა, მთელი ბლოკი მოვა. – სუნთქვა შეეკვრა ბიჭუნას.

- ჰოდა, შენც მთელი ბლოკი იყიდე.

ბიჭუნას თვალები გაუბრწყინდა და ელდანაცემივით ადგილიდან მოსწყდა. ნახევრადმოვლემარე მოგზაური კი იჯდა სამფეხაზე და ბოშური ჰანგებით ტკბებოდა. რამდენიმე წუთში გახარებული ბიჭუნაც გამოჩნდა, რომელსაც მარჯვენა ხელში გიტარა ეჭირა, მარცხენაში კი ერთი ბლოკი სიგარეტი.

- ყოჩაღ, ვიყიდი. – შეაქო მოგზაურმა.

- კი, ვიყიდე, თანაც ყველაზე ძვირფასი სიგარეტი და ისიც მთელი ბლოკი. – ამაყი იყო ბიჭუნა.

- ძვირფასი თუ ძვირიანი? – იკითხა მოგზაურმა.

- არის მანდ რამე განსხვავება? – გაოცდა ბიჭუნა.

- ძალიან დიდი განსხვავებაა.

- ეგ როგორ?

- ძვირფასი სიგარეტი არ არსებობს, ძვირიანი კი რამდენიც გინდა, მაგალითად, ეს მაღბორო.
- გამოდის, რომ ძვირფასი სიგარეტი არ არსებულა? – სახე მოედუშა ბიჭუნას.
- სიგარეტი ყველა ნაგავია, უბრალოდ, ლამაზ კოლოფში შეფუთული ნაგავი. ძვირფასი ნაგავი კი სად გაგივია? – ღიმილით იკითხა მოგზაურმა.
- რა ვიცი, ამ ნაგავში ამხელა ფული კი გადავიხადე.
- მერედა, ვინმემ დაგაძალა, გინდა თუ არა, უნდა გადაიხადო?
- კარგი, რაც არის, არის, ეს სიგარეტი მე, ეს გიტარა კი შენ. – მკერდზე მიხუტებული გიტარა მოგზაურს გაუწოდა ბიჭუნამ.
- ეს გიტარა მე? – გაუკვირდა მოგზაურს.
- ჰო, შენ, ჩემგან საჩუქრად.
- საჩუქრად? კი, მაგრამ, რისთვის? რატომ? – კეფა მოიფხანა მოგზაურმა.
- შენ რომ ასეთი ძვირიანი, და არა ძვირფასი სიგარეტი მიყიდე, რისთვის და რატომ მიყიდე?
- მინდოდა და გიყიდე.
- ახლა მეც მინდა, რომ პატივი გცე. ეს გიტარა შენ უბრალო რაღაც არ გეგონოს, მამაჩემის მამის მამის ნაქონია, ასი წლის მაინც იქნება, რელიქვიაა ნამდვილი. ამ ასი წლის განმავლობაში, ამ გიტარას ერთი დღეც არ დაუსვენია, სულ შრომითა და ტკბილი ჰანგების გაუღერებითაა დაკავებული. ვისურვებდი, რომ რა სიტკბოც ამ გიტარას ადამიანებისთვის მიუნიჭებია, შენც ისეთივე სიტკბო მიგედოს გარშემომყოფელთაგან. გამომართვი ეს გიტარა და მე ახლა უნდა წავიდე, იქით ქუჩაზე მეგობარი მელოდება.

ბიჭუნას სხვა არაფერი უთქვამს, გაოცებული მოგზაურის ფეხებთან გიტარა დააგდო და ბავშვური სისხლარტით, ისე მოწყდა ადგილიდან, რომ მოგზაურმა ვერც მადლობის თქმა და ვერც დამშვიდობება ვერ მოასწრო.

თავად გიტარა კი მართლა საოცარი რამ იყო – არისტოკრატი ქალივით წელში გამოყვანილი და იდუმალებით აღსავსე.

- ახლა შევალ სასტუმროში, გიტარას ჩემს ოთახში დავტოვებ და ისევ ჩამოვალ დაბლა, თორემ ასე, გიტარით ხომ არ ვივლი? – გაიფიქრა მოგზაურმა და წელათრევით სასტუმროში შევიდა.

ლოლიტა იქვე, სასტუმროს შესასვლელიდან ხელმარჯვნივ რომ ბარი იყო, იქ იჯდა და ბოთლიდან ლუდს სვამდა. დაინახა თუ არა მოგზაური, ხელი აუწია და დაუძახა: - მოდი, სად დაიკარგე?

- გარეთ ვიჯექი. - უთხრა მოგზაურმა და გიტარა ერთ სკამზე დადო, თავად კი მეორეზე ჩამოჯდა.

- რაღაც ეგ გიტარა ძალიან მეცნობა და შენ საიდან? – გაუკვირდა ლოლიტას.

- მაჩუქეს. – უპასუხა მოგზაურმა.

- ვინ გაჩუქა?

- არ ვიცი, არც სახელი ვიცი მისი და არც გვარი, ვიღაც უცხო ბიჭი იყო.

- გიტარა მეცნო და თუ არ ვცდები, ეგ პატარა ბიჭი დანკო უნდა იყოს. ცისფერი თვალები ხომ არ ჰქონდა?

- დიახ, ცისფერი თვალები ჰქონდა.

- მერედა, რითი დაიმსახურე, გიტარა რომ გაჩუქა?

- არაფერი ისეთი, შენ ახლა ეს მითხარი, ლუდის გარდა, კიდევ სხვა რამეს ხომ არ დაღვე?

- სხვას არაფერს, მარტო ლუდს დავლევ და მერე მე და შენ ერთ ადგილზე უნდა წავიდეთ.

- სად ერთ ადგილზე, ჩემთან, ოთახში? – გაეცინა მოგზაურს.

- სახლში გამოგყვები კიდევ, არ გინდა? ბოსფორის სრუტემდე უნდა მივიდეთ, გესმის, ჩემი?

მოგზაურს უცებ სახე შეეცვალა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, - რა მინდა ბოსფორის სრუტეში, შენ ხომ არ გადაირიე?

- გინდა, გინდა, მიდი, ერთი ბოთლი ლუდი მომიტანე, დავლევ და წავიდეთ, თორემ იქაურობა შავი კვამლით თუ გაივსო, ვეღარ მოვასწრებთ შესვლას და ხვალამდე მოგიწევს მოცდა. არადა, შენ ხვალ სამშობლოში ბრუნდები.

- რა ბოსფორის სრუტეზე და შავ კვამლზე გაქვს ლაპარაკი, უფრო გასაგებად ვერ ამიხსნი? – შუბლზე კოპები შეჰკრა მოგზაურმა.

- დრაგომ შენი თავი მე ჩამაბარა და მითხრა, ზღვით დაფარულ გვირაბამდე მიიყვანეო. მეც ახლა ბოსფორის სრუტემდე მიგიყვან, საიდანაც შენ თვითონ უნდა გაცურო, გვირაბი კი მერე შეგხვდება და იმედია, იმასაც გაივლი.

- შენ, რა, ხუმრობ? დრაგო სად არის?

- დრაგო მერე გნახავს, ახლა თავის საქმეებშია ჩაფლული. მიდი, დროზე მომიტანე ერთი ბოთლი ლუდი, გადავკრავ და წავიდეთ, თუმცა, მოიცა, მოიცა, რაღა დროს ლუდია, ნახე, რომელი საათი ყოფილა. – კედელზე ჩამოკიდებულ საათს გახედა ლოლიტამ.

- ახლა რომელი საათია, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? – იკითხა მოგზაურმა.

- აქვს, სულ მალე ბოსფორი შავი კვამლით აივსება და ხვალამდე ვეღარ გააგნებ. ამიტომ, წავედით, გიტარას სად მოათრევ, აქ დატოვე, ნუ გეშინია, არავინ მოგპარავს. აბა, მომყევი... მაგრამ ეტლით ჯობია,



შეხედე, რა ეტლებია, ოქროსფრად მოელვარე. ცხენები? არ გიყვარს ცხენები? ნახე, რა ლამაზებია. ამ ეტლზე უსაფრთხოდ და სწრაფად ვერაფერი მიგვიყვანს ბოსფორამდე. დროზე, ნუ ზოზინობ, თორემ დაგვაგვიანდა. – აჩქარებდა ლოლიტა მოგზაურს.

სასტუმროს ეზოში მდგარი ოქროსფერი ეტლებიდან, ერთ-ერთი ადგილს მოსწყდა და ღამის ქალაქში გაუჩინარდა. ღამისეულ სიმყუდროვეს მხოლოდ ეტლში შებმული ცხენების ჭიხვინი და ნაღების კაკუნი არღვევდა. ეტლი კი მიჰქროდა და ბორბლებიდან ცეცხლოვან ნაპერწკლებს ყრიდა.

- იმ უზარმაზარ შენობასთან უნდა ჩამოვიდეთ და მერე ფეხით გავყვეთ გზას. – უთხრა ლოლიტამ მოგზაურს.

- ფეხით რატომ?

- იქით ეტლით აღარ შეიძლება წასვლა და იმიტომ.

ამის შემდეგ, ცოტაც კიდევ იფრინეს ცხენებზე გამობმული ოქროსფერი ეტლით და უზარმაზარ შენობამდეც მიაღწიეს, საიდანაც, უკვე ფეხით უნდა წასულიყვნენ.

- ზღვის სუნს ვერ გრძნობ? – ჰკითხა ლოლიტამ მოგზაურს.

- ვგრძნობ! – უპასუხა მოგზაურმა.

- ჩვენ ახლა ვუახლოვდებით ადგილს, სადაც ორი ზღვა უერთდება ერთმანეთს და ბოსფორის სრუტეს წარმოქმნის. – ლოლიტამ იქით გაიშვირა ხელი, საიდანაც ზღვის სუნი მოდიოდა.

- ტურისტულ მოგზაურობას მიწყობ? – გაეცინა მოგზაურს.

- მართალი ხარ, შენ ახლა იმოგზაურებ.

- სად, სტამბულში?

- სტამბულში არა, სხვაგან.

- სხვაგან, სად?

- ნუ ხარ სულსწრაფი, წამომყევი და ნახავ. წამოდი, წამოდი, ოღონდ სირბილით, თორემ დაგვაგვიანდა. – ლოლიტამ მოგზაურს ხელკავი გამოსდო და თავქუდმოგლეჯილები გავარდნენ. - სწრაფად მომყევი, - გზადაგზა ასეთი შეძახილით აფხიზლებდა ლოლიტა მოგზაურს და ქალაქის იმ ნაწილისკენ მიათრევდა, სადაც ორი ზღვა უერთდება ერთმანეთს. უკვე ჩაბნელებულ ქალაქში ხელს არავინ უშლიდა და ამათმაც ძალიან მაღე მიაღწიეს ბოსფორის სრუტემდე. სული რომ მოეთქვათ, წუთით გზის პირას ჩამოსხდნენ.

- ახლა ეს მითხარი, აქ რატომ მომიყვანე? – დაღლილი მოგზაური ენას ვეღარ ატრიალებდა პირში.

- ეს არის ბოსფორის სრუტე. არ მოგწონს? – გაბუტული ბავშვივით ტუჩები აიბზუა ლოლიტამ.

- დაუშვათ, მომწონს, რა, მერე?

- ნუ ხართ კაცები ასეთი მხდალები. რისი გეშინია, არ მესმის, ჩახვალ წყალში, მონახავ გვირაბს, გაცურავ მეორე ნაპირამდე და დანარჩენს თავად ნახავ.

- რა გვირაბს გავცურავ, ან სად გავცურავ, შენ, სრულ ჭკუაზე თუ ხარ?

- მე მგონი, ცოტა დავისვენეთ, ამოვისუნთქეთ და ახლა წავიდეთ. რა სილამაზე უნდა გაჩვენო, შენ ვერც წარმოიდგენ. – ფეხზე წამოდგა ლოლიტა და ხიდისკენ წავიდა, იქ, სადაც სანაპირო იყო. მოგზაურიც ფეხდაფეხ მიჰყვა.

- პასუხს არ მცემ? – გაბრაზება დაეტყო მოგზაურს.

- პასუხს ახლავე გაცემ, ოღონდ აქეთ დადექი, მანდეთ არა, აქეთ. ჩაიხედე დაბლა, ჩვენ ახლა ბოსფორის სრუტეს გადავყურებთ, იმ ნათურის შუქზე, კვამლს, ხედავ? მაგ შავი კვამლით თუ გაივსო ბოსფორი, მერე აღარაფერს აზრი აღარ ექნება და ხვალ დილამდე მოგვიწევს ლოდინი, მაგრამ, რატომ უნდა გადავდოთ ის საქმე ხვალ

დილამდე, რომლის გაკეთებაც ამაღამვე შეგვიძლია? მოდი აქ და წინ დადექი, გადახედე ბოსფორს, ნუ გეშინია. ასე, კარგია, ნუ გეშინია, შენ წინ იდექი და მე უკან დაგიდგები. დამშვიდდი! ჩვენგან დაბლა ორი ზღვა ერთდება. ეს არის ბოსფორის სრუტე და აქ არის ის გვირაბი, რომელიც შენ აუცილებლად უნდა გადაცურო. ეჭვი არ მეპარება, რომ შენ ამას შესძლებ. აბა, დახუჭე თვალები, ძალიან გთხოვ. – ლოლიტა ბოსფორის თავზე ჩამოკიდებულ მთავრეს გაჰყურებდა და მოგზაურს თვალების დახუჭვას სთხოვდა.

დახუჭა მოგზაურმა თვალები და ზურგიდან ქალის ნაზი ხელების შეხება იგრძნო. ეს არ იყო ხელის უხეშად კვრა, ეს უფრო ბიძგი იყო. ლოლიტამ ნაზი ხელებით ერთი უბიძგა მოგზაურს და ისიც ბოსფორის სრუტეში გადაეშვა...

ამ დროს, განათდა იქაურობა, სრულიად განათდა და ბოსფორის სრუტეში წყალთან მებრძოლი მოგზაური დღის სინათლეზე ხედავდა ყველაფერს... ხედავდა ნაპირს... უკვე დღე იყო, და არა ღამე.

მოუსვა მოგზაურმა ხელი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... დაძლია ტალღების წინააღმდეგობა, დააპირა ნაპირისკენ გაცურვა, მაგრამ, რაღაც საოცრება ხდებოდა. იმის ნაცვლად, რომ ნაპირს მიახლოვებოდა, პირიქით, სულ უფრო და უფრო შორდებოდა. ის კი არა, ბოსფორის სრუტის ორივე ნაპირი მისი თვალთახედვიდან საერთოდ ქრებოდა... და სრულიად გაქრა კიდევ. მაგრამ, მაინც მიცურავდა... მოიხედა უკან და, აი, საოცრება, უნაპირო ზღვაში იმყოფებოდა მოგზაური. ტალღები კი გაძლიერდა, ადიდდა და უკვე ეჭვი აღარ იყო, რომ ეს ერთი უწყინარი ადგილი, ზღვად გადაიქცა, თანაც უნაპირო და განრისხებულ ზღვად. აღარ ჩანდა ნაპირი, ჩანდა მხოლოდ მზე, ცა და ზღვა, უსასრულო ზღვა.

თოთქოს სამყაროს გაეთიშა მოგზაური, ისე, როგორც სიკვდილისწინა აგონიაში მყოფ ადამიანებს ემართებათ ხოლმე. თუმცა, მაინც მიცურავდა, ოღონდ ინსტინქტურად, მაგრამ საით და რა მიმართულებით, თავადაც არ იცოდა. ბოლოს დაიღალა, სულ

მთლად მისავათდა და ფსკერისკენ დაშვება დაიწყო. ძალა აღარ ჰყოფნიდა მოგზაურს, რომ ზღვის წინააღმდეგობა დაეძლია და ისევ ზედაპირზე ამოტივტივებულიყო... ეშვებოდა ფსკერისკენ, მაგრამ საოცრება ხდებოდა და მაინც სუნთქავდა მოგზაური. წარმოგიდგენიათ? წყალში ისე სუნთქავდა მოგზაური, როგორც ნებისმიერი ზღვის ბინადარი არსება. საოცრება იყო ნამდვილად, მაგრამ უფრო დიდი საოცრება ზღვის ფსკერზე ჩამარხული გვირაბის აღმოჩენა იყო. ზღვის მცენარეებითა და კენჭებით სავსე გვირაბის აღმოჩენა. ძალა ისევ დაუბრუნდა მოგზაურს და მთელი გვირაბი ერთი ხელის მოსმით გაცურა... თევზებზე უფრო სწრაფად. გვირაბის მეორე მხარეს გასული მოგზაური, ისევ წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა, მაგრამ სადღა იყო ზღვა? მრისხანე ზღვა აორთქლებულიყო და ერთ უწყინარ მდინარედ გადაქცეულიყო. ენერგიულად მოუსვა ხელი მოგზაურმა, დაძლია მდინარის ტალღები და, აი, ნაპირიც, გაზაფხულის ფერებში მოხატული და აბობოქრებული ნაპირი. კიდევ ცოტაც და ეს საოცარი მდინარეც უკან მიტოვებული აღმოჩნდა.

მდინარიდან ნაპირზე გამოსული, სულის მოსათქმელად ბალახზე ჩამოჯდა, მაგრამ დიდხანს არ მჯდარა, მალევე წამოდგა და მთის წიაღიდან მორაკრაკე იისფერ ნაკადულთან მივიდა, სადაც ანკარა წყალს ქანცგაწყვეტილი ცხენით დაეწაფა. წყურვილი რომ მოიკლა, მერე წყლის დინებას ისეთი ნეტარებით შეუშვირა თავი, თითქოს ახლახან წყალუხვი მდინარიდან არ გამოსულიყო. ცოტა ხანში, უკვე გაზაფხულის ფერებში აჭრელებულ მდელოზე იდგა მოგზაური. იდგა და ბუნების საოცრებით ტკბებოდა. ამდენ გაზაფხულს მოსწრებია, მაგრამ მიწისა და ცის წიაღის ასეთი საოცარი ნაზავი ჯერ არსად უხილავს. ხალისით ირწეოდა მიწა, ცა, მდინარე, მზე, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც გაზაფხულის განუმეორებელ სილამაზეს ქმნიდა. ცოტაც და ფრთაშესხმული მოგზაური იმ ბილიკს მიუყვებოდა, ქვემოთ, მთის ძირთან რომ უხვევდა. მაგრამ, სანამ მთის ძირს მიუახლოვდებოდა, გზად ატმის აყვავილებულ ხესთან მივიდა, ტოტიდან ერთი ყლორტი მოწყვიტა,

მარჯვენა ხელში გასრისა და გემრიელად გაღეჭა. სხეულში ისეთი ცეცხლი დაენტო, თითქოს ამ საოცარი გაზაფხულის მთელი სურნელი მის ორგანიზმში ჩასახლდაო. ისეთ სიმსუბუქესა და სილადეს გრძნობდა, ლამის დაეჭვდა, ყოველივე ეს სიზმარი ხომ არ იყო? ეჭვების გასაფანტად, ჯერ სახეზე მოიკიდა ხელი და ლოყაზე ჩამოისვა, შემდეგ კი მარჯვენა მაჯით შუბლზე ჯერ კიდევ შემორჩენილი წყლის წვეთები მოიწმინდა. არა, არავითარი სიზმარი, ყოველივე ცხადში ხდებოდა. საოცრება იყო ფრინველთა საამო ჭიკჭიკ-გალობა. აქამდე ფრინველთა ჯიშებს რომ ვერ არჩევდა, ახლა უკვე, რაღაც ზებუნებრივი ძალის წყალობით, ყველა ფრინველს სცნობდა და მათი ჭიკჭიკის ენაც ესმოდა. თითქოს სმენაც უფრო დახვეწილი გაუხდა და არა მარტო ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობა, არამედ ჩანჩქერთა და ნაკადულთა ჩხრიალიც საოცარ მუსიკის ჰანგებად გარდაქმნილი ჩაესმოდა ყურში.

მთის ძირთან მისულმა, იქ, სადაც ბილიკი უხვევდა, შვიდი-რვა წლის გოგონა დაინახა. გოგონა მუხლებზე იყო დაჩოქილი და მიწიდან ახლამოჭრილ ყაყაჩოებს ნაზად უსვამდა ხელს. მივიდა მოგზაური და თავზე წამოადგა. გოგონა მის წინ დაცემული ჩრდილით მიხვდა, რომ ვიღაც ადგა თავზე. არ აუხედავს, მხოლოდ გაიღიმა და ყაყაჩოებთან ალერსი გააგრძელა.

- მართლა ძალიან ლამაზი ყაყაჩოებია და რატომ არ კრეფ? - იკითხა ჩრდილმა, რომელიც გოგონას დააკვირდა და მისი შავი თვალები, სწორი ცხვირი და თოჯინასავით ლამაზი სახე, თითქოს ვიღაცას აგონებდა.

- არ მინდა მოკრეფა, ან რატომ უნდა მოვკრიფო?

- სახლში წაიღებ, ოთახს გაგიღამაზებს და გაზაფხულის სურნელით აგივსებს. - უპასუხა ჩრდილმა და გოგონას ისევ დააკვირდა და ისევ იმაზე დაფიქრდა, ნეტავ, ვის აგონებდა ეს ბავშვი?

- არ მიყვარს მოწყვეტილი ყვავილები. ცხოვრებით კი იქ ვცხოვრობ.  
- დანაოჭებული კლდიდან ხარბად გადმოჩხრიალებულ ჩანჩქერისკენ გაიშვირა ხელი გოგონამ.

- იქ, სად? – ჩანჩქერისკენ გაოცებით გაიხედა მოგზაურმა.

- აი, იმ ჩანჩქერში, - უპასუხა გოგონამ და დაამატა – შენ მე ყვავილებს მერე მომართმევ. რომ გავიზრდები, მერე.

აჩრდილს გაოცება დაეცყო. – რომ გაიზრდები, მერე, რატომ მოგართმევ ყვავილებს, იქნებ მითხრა?

- ასე იქნება საჭირო და იმიტომ, ახლა კი, გინდა, გაჩვენო, მე სად ვცხოვრობ? – მერე ისე, რომ პასუხს არც დალოდებია, გოგონამ ჯერ მიწიდან ახალამოჭრილ ყაყაჩოებს დაყნოსა, მსუბუქად აკოცა, შემდეგ კი ფეხზე წამოიწია და კლდიდან გადმოჩხრიალებულ ჩანჩქერისკენ აიღო გეზი.

ჩრდილადქცეული მოგზაური იდგა და არც განძრეულა.

გოგონა კი მივიდა კლდესთან და ჯერ ჩანჩქერიდან გადმოდენილ წყალში შევიდა, ხოლო, წყალი რომ კოჭებამდე, მუხლებამდე, თეძოებამდე და ყელამდე ავიდა, მერე გოგონამ ხელი მოუსვა და ჩანჩქერამდე ცურვით მიაღწია.

აქ კი ნამდვილი სასწაული მოხდა, მხოლოდ ზღაპრებში რომ წაგიკითხავთ, ისეთი: გოგონა წამოიმართა, წელში გასწორდა და ხელებგაშლილი ჩანჩქერს ზევით აუყვა. არა, ეს არ იყო ცურვა, გოგონა მისრიალებდა... ჩანჩქერზე მისრიალებდა ქვევიდან ზევით.

ეტყობოდა, რომ გოგონას ძალიან უყვარდა და უხდებოდა წყალი.

და ასე, ჩანჩქერზე ქვევიდან ზევით სრიალით გაქრა გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა და უხდებოდა წყალი.

მოგზაური კი ამ წალკოტში მარტო დარჩა.

რომ შეგეხებათ, ედემში მარტოდ მყოფ ადამს ჰგავდა მოგზაური. მაგრამ მშვენივრად ხვდებოდა, უფრო ზუსტად, გრძნობდა, რომ მისი სიმარტოვე დიდხანს არ გაგრძელდებოდა და წინ უდიდესი ვნებათაღელვა ელოდა.

აბა, ასე არაფრისმთქმელად, მხოლოდ ბუნების წიაღში გასეირნებით ხომ არ დასრულდებოდა მისი მოგზაურობა?!

მოგზაური ნელი ნაბიჯით ჩაუყვა ქვევით, იქ, სადაც ბილიკი ჩადიოდა და ათასი სახეობის ბალახეულობაში თუ მიწიდან ამოხეთქილ ყვავილებში იკარგებოდა. ტრიალ მინდორში გასულს მიწისა და ყვავილების სურნელმა შეახსენა, რომ აქ, ამ მხარეში მაისით გათამამებული გაზაფხული იდგა. უკვე კარგა ხნის წინ გაღვიძებული ბუნება იზმორებოდა, იგრიხებოდა და თანდათან წელში იმართებოდა. მზის სხივიც კი, ეს ერთი შეხედვით უხილავი რამ, ხილული გამხდარიყო და ვარდიდან ატმის ტოტზე, ატმის ტოტიდან ალუბლის კენწეროზე, ალუბლის კენწეროდან კი ნაკადულების მოიისფრო ზედაპირზე დაკუნტრუშობდა და დასრიალებდა. მართლა საამო სანახავი იყო ყოველივე ეს, ისეთი სანახავი, დავრდომილს ფეხზე რომ დააყენებს, ხოლო უიმედოს, იმედის ნაპერწკალს რომ გაუღვივებს გულში.

ასე იმედმოცემული და განწყობაამაღლებული მიაბიჯებდა მოგზაური მისთვის სრულიად უცხო გარემოში, ვიდრე შორიდან ბავშვების ჟრიაში არ შემოესმა. გაემართა იქით, საიდანაც ეს ხმები მოდიოდა. მინდორში ჯერ კიდევ გაუკვალავი, ქალწულებრივი სისპეტაკის მქონე, აბიბინებული ბალახეულობა გადათელა, მერე სიმაღლეს აუყვა და საბოლოოდ ერთ დამრეც ადგილს, უფრო ზუსტად კი, ერთ გორაკს მიაღება. დაბლა აკაციების მთელი ამაღლა მოჩანდა. შორს, აკაციების იქით კი ბავშვები თამაშობდნენ, ისინი ბურთს დასდევდნენ. დაბლა ჩაირბინა მოგზაურმა, აკაციების მთელი ამაღლა შუაზე გაარღვია და ბავშვებს მიაღება. არავის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ ერთმა თორმეტ-ცამეტი წლის

ბიჭუნამ, ყველაზე მეტს რომ ჭიჭყინებდა, გამოიხედა, გაუღიმა და ხელი აუწია.

- ნეტავ, ვინ არის? – გაიფიქრა მოგზაურმა და მანაც აუწია ხელი.

- რა ნაცნობი სახეა, ვინ არის, ვინ? ვინ? ვინ? მაგრამ, ერთი წუთით... – კარგად დააკვირდა მოგზაური ბიჭუნას მოძრაობებს და თვალებს არ უჯერებდა, ეგონა, ჭკუიდან შეიშალა, რადგან აქ, ამ ამოუცნობ ტერიტორიაზე ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ამას, არა.

ის პატარა, თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭუნა, თვითონ იყო, ის საკუთარ ბავშვობას ხედავდა.

მართლა ჭკუიდან ხომ არ შევიშალეო, კიდევ ერთხელ გაიფიქრა მოგზაურმა გულში და ამ დროს ბიჭუნამ თამაშს თავი მიანება და აქეთკენ გამოემართა: - რა იყო, რა გააკვირვებულნი მიცქერ, საკუთარი ბავშვობა დაგაავიწყდა? – მიმართა მან მოგზაურს.

- ესე იგი, შენ ხარ მე და მე ვარ შენ, არა? – ხმა ამოიღო მოგზაურმა.

- ეჰ, ამას კიდევ ვერ მიხვდი? მოკლედ, შენ ისეთივე გაუგებარი დარჩი, როგორც ბავშვობაში იყავი.

- ლაწირაკო, შენ მანდ ენა გააჩერე, თორემ გაგიხეთქავ მაგ თავს. – გაბრაზდა მოგზაური.

- ოჰ, კარგი, ერთი, ნუ ბაქიბუქობ, შენგან თავგახეთქილი ჯერ არავინ უნახავთ და რაღა საკუთარ ბავშვობას იმეტებ? – არ ცხრებოდა ბიჭუნა.

- ჭკუით იყავი – მეთქი, გეუბნები.

- კარგი, მე ჭკუით ვიქნები, შენ კი გეყო ბაქიბუქი და წამოდი ახლა ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.



ფეხბურთის მოთამაშე ბავშვებიდან არავინ გაჩერებულა, არც არავის შეუნიშნავს, რომ მათ რიგებს ახალი, უფრო ზრდასრული მოთამაშე შეემატა.

- შენ იმ გუნდში იქნები, მაისურები რომ აცვიათ, მე კი აქვთ, მაისურგახდილებში ვარ. – დაარიგა ბიჭუნამ.

- ხუთი-ხუთზე თამაშობთ და მე მეექვსე რომ ვიქნები, რა გამოდის, ჩემს გუნდს გარკვეული უპირატესობა ექნება? – გაიკვირვა მოგზაურმა.

ამაზე ბიჭუნამ სიცილი დაიწყო, შემდეგ ეს სიცილი ხარხარში გადაეხარდა და ბალახზე დაგორდა: - შენ გგონია, შენი შემატებით შენს გუნდს რამე უპირატესობა ექნება? ჰა, ჰა, ჰა... არა, რა, რა ბრიყვიც ბავშვობაში იყავი, ამ ასაკშიც ისეთივე ბრიყვად დარჩი. – ხარხარებდა და აშკარად გამომწვევად კოტრიალობდა ბიჭუნა.

მოგზაური დიდი სიამოვნებით კი ჩაავლებდა გათავხედებულ ბიჭუნას ყურში ხელს და დადამებაძღე ათრევდა, მაგრამ თავი შეიკავა და მოერიდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბიჭუნა მასზე მთელი ათწლეულებით პატარა იყო და მეორეც, ეს პატარა, თავქარიანი ბიჭი ხომ მისი ბავშვობა, ანუ თავად იყო?

- ნუთუ ბავშვობაში მეც ასეთი ამაზრზენი ვიყავი? - გაიფიქრა მოგზაურმა და ბიჭუნაც, თითქოს მიხვდა მის გულისნადებს, ფეხზე წამოიჭრა, მოგზაურის წინ დადგა და სრულიად სერიოზული სახით მიმართა:

- სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ადამიანებს საკუთარი წარსულიდან სამარცხვინო ეპიზოდების ამოღება ეხერხებათ. ისინი იქამდე ჩეხავენ და აქუცმაცებენ საკუთარ ცხოვრებას, ვიდრე ლამაზად აკინძულ, ბრჭყვრიალა მძივს არ მიიღებენ. მთელი განვლილი ცხოვრების ნაგავს კი შეძლებისდაგვარად ივიწყებენ და მოშორებით ყრიან.

- ესე იგი, შენ ჩემი უზნეო წარსული ხარ?! არადა, მეგონა, შენ მხოლოდ ჩემი ბავშვობა იყავი, ლამაზად მოსაგონარი, ტკბილი ბავშვობა. – იმედგაცრუება დაეცყო მოგზაურს.

- ეჰ, ჩემო კარგო, მარტო შენი ბავშვობა რომ იყოს უზნეო, კიდევ რა უჭირს. ჩემი თუ არ გჯერა, ამაში შენ სულ მალე დარწმუნდები,

როდესაც საკუთარ თავს, ანუ სხვადასხვა ასაკში განვლილ შენს ცხოვრებას გვერდიდან შეხედავ.

- ესე იგი, გინდა თქვა, რომ მე მთელი ჩემი ცხოვრება ამაზრზენად მიცხოვრია?

- მთელი ცხოვრება არა, მაგრამ შენი ცხოვრების უდიდესი ნაწილი შენც ისევე ამაზრზენად გიცხოვრია, როგორც ადამიანთა უმეტესობას. უბრალოდ, ადამიანები საკუთარ ამაზრზენ წარსულს ვერ ამჩნევენ, რადგან თავის თავს გვერდიდან არ უყურებენ. შენ კი მოგეცემა ამის საშუალება. - მოგზაურს მხარზე შემოჰკრა ხელი ბიჭუნამ.

- მერე?

- რა მერე? ან თავი უნდა მოიკლა, ან ისეთივე უღირსი ცხოვრება უნდა გააგრძელო, როგორც აქამდე გიცხოვრია. მესამე გზა აქ არ არსებობს, რადგან ანგელოზები დედამიწაზე არ დადიან, ანგელოზები მხოლოდ ცაში დაფრინავენ.

- და ვინც დედამიწაზე დადის?

- ვინც დედამიწაზე დადის, ისეთივე ცოდვებით დამძიმებული ადამიანია, როგორც შენ.

- მეც ცოდვებით დამძიმებული ვარ? – ვერ ისვენებდა მოგზაური.

- ბევრს ნუ ლაქლაქებ, ხომ გითხარი, ამაში სულ მალე დარწმუნდები – მეთქი? ახლა მოდი, ჯერ ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, მერე მშობელთა კრებაზე უნდა გამომყვე. – ტაში შემოჰკრა ბიჭუნამ.

- რა მშობელთა კრება, შენ ხომ არ გააფრინე?

- ნუ გეშინია, ვერავინ გიცნობს, ბევრი ბევრი, ჩემ გამო საყვედური გითხრან, მაგრამ ეგ არაფერია, ჩვენ ხომ ერთნი ვართ, შენ უფროსი, მე უმცროსი და პედაგოგთა საყვედურებსაც როგორმე ერთად გადავიტანთ.

ამის მეტი ბიჭუნას აღარაფერი უთქვამს, ის გაიქცა და თანატოლებს შეუერთდა, მერე მობრუნდა და მოგზაურს ხელი დაუქნია, მოდიო.

ფეხბურთის თამაში დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა საკმაოდ იჭიჭყინეს და ოფლი ღვარეს. ყველაზე მეტს, მაინც ბიჭუნა ჭიჭყინებდა, წიხლებს იქნევდა და შიგადაშიგ სიმულაციის მიზნით ბალახზეც კოტრილობდა. მოგზაურს კი მოუნდა მისთვის ყური აეწია ან კეფაში წამოეკრა ხელი, მაგრამ თავი შეიკავა. არადა, უკვირდა - ნუთუ ეს ჩემი წარსულია? ნუთუ. ასეთი აუტანელი ვარ? რატომ აქამდე ვერ ვამჩნევდი ამას? ალბათ, გვერდიდან რომ ვუყურებ, იმიტომ მეჩვენება საკუთარი თავი ასეთი ამაზრზენი. მაგრამ მეჩვენება? იქნებ სულაც არ მეჩვენება და მართლა ასეთი ვარ? ალბათ ვარ, რადგან ეს გათავხედებული ბიჭუნა ხომ ჩემი ბავშვობაა, ბავშვობა, რომელმაც ჩემი წარსული გამახსენა. ერთი შეხედვით ალალი, ნაზი და ფაქიზი, მაგრამ, მაინც ჯიუტი და გათავხედებული წარსული.

ფეხბურთის თამაშს მალე მორჩნენ და დადლილ-დაქანცულები ბალახზე დაეყარნენ. სული რომ მოითქვეს, წყაროზე წყლის დასალევად ჩავიდნენ. ცხოველთა მოწყურებული ჯოგით ველურად სვეს წყალი. გული რომ იჯერეს, ისევ მინდორში გავიდნენ და ბალახზე გაგორდნენ. არაფერს ამბობდნენ, ისვენებდნენ ბავშვები და ისვენებდა მოგზაურიც.

მაისი, სითბო, მზე, ყვავილთა სურნელი და ჩიტების ჭიკჭიკი... მოკლედ, ბუნება ყველანაირ პირობას ქმნიდა, რომ დროებით მაინც გაყუჩებულიყვნენ, ყველას საკუთარ საფიქრალზე ეფიქრა ან უბრალოდ, დაეძინა მაინც.

ამ დროს, მოგზაურს ძილი მოერია და თვალები დაუძიძიდა. ჩაეძინა მოგზაურს, მაგრამ ეს არ იყო ის ძილი, დადლილი ადამიანები, დასვენების მიზნით რომ იძინებენ ხოლმე. თითქოს, რაღაც სასწაული მოხდა, უხილავემა ძალამ მოგზაურს თავის ქალა ახადა და ტვინში ხელის ფათური დაუწყო. აურ-დაურია, გადააწყო გადმოაწყო ყველფერი და ძილბურანში მყოფს, ბავშვობის ერთი ასეთი მოგონება ამოუტივტივა.

მოგზაური იმ გარდასულ დროში დაბრუნებულიყო, როცა ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი იყო, ზაფხულის ხვატში ფეხშიშველები რომ დარბიან და უფროსები, ჯერ კიდევ გაურყენელ ბავშვებს რომ ეძახიან.

ზაფხულის არდადეგები იყო და სოფელში ჩასული აღმა-დაღმა დახტოდა ბიჭუნა. ეს ის პერიოდია, ბავშვები რომ დიდი გულმოდგინებით დასდევენ ხვლიკებს, ბაყაყებსა და ჩიტებს, თან რომ უხარიათ და თან რომ ამაყობენ ამით. მეზობლის ღობეზე გადამძვრალნი, ხეხილს რომ შეესევნიან და მაღიანად მიირთმევენ ყველაფერს, რაც ხეზე დახვდებათ. ეს ის პერიოდია, როდესაც უცხო ბაღში მოპარულ ხილს სულ სხვა გემო აქვს, მაშინ, როცა, შეიძლება, იგივე ხილი სახლში გილპებოდეს, მაგრამ პირს არ აკარებდე.

და რაც მთავარია, ეს ის პერიოდია, როდესაც ბავშვი ხარ და ყველაფერი გეპატიება. რამდენი ხილი, ან წიგნიც არ უნდა მოიპარო, მაინც ყველაფერი გეპატიება, პატარა ანგელოზი ხარ, უცოდველი ხარ და იმიტომ.

ზაფხულის არდადეგები იყო, ძალიან ცხელი და დაუნდობელი ზაფხულის. დახტოდა და დაკუნტრუშობდა ბიჭუნა მეგობრებთან ერთად. ერთ მშვენიერ და უდარდელ დღესაც მეზობლის ქალმა ბიჭუნასა და მის ერთ-ერთ მეგობარს სანთლები და მცირე სანოვაგე ჩაუწყო ჩანთაში, ჯიბეში მცირე თანხა ჩაუდო და სთხოვა, შეიღებო, გაიქცით ეკლესიაში, ეს სანოვაგე მღვდელთან დატოვეთ, ეს თანხა შესაწირ ყუთში ჩააგდეთ, სანთლები დაანთეთ, უფალს ცოდვათა მიტევება შესთხოვეთ და მერე სახლში დაბრუნდითო.

ბიჭუნა თავის მეგობართან ერთად დიდი სიხარულით გაიქცა ეკლესიაში. არ მიდიოდნენ, მირბოდნენ და თან ეამაყებოდათ, რომ სოფელში რწმენითა და კიდევ სხვა თვისებებით გამორჩეულმა ქალბატონმა მათ ნდობა გამოუცხადა და ეკლესიაში გააგზავნა.

ეს არ იყო ლუდზე გაგზავნა, ეს არ იყო პურზე გაგზავნა და ეს არ იყო წყაროზე წყლის მოსატანად გაგზავნა, უფროსები ბავშვებს რომ აგზავნიან ხოლმე და ისინიც სიხარულით თანხმდებიან. ეს ეკლესიაში გაგზავნა იყო, გარკვეული მისით; სანთლის ანთება,

სანოვაციის მღვდელთან დატოვება და მცირეოდენი თანხის შესაწირ ყუთში ჩაგდება.

მისია არც ისე რთულად შესასრულებელი იყო, ამიტომ ფეხშიშველა ბავშვები სიხარულით მივბოდნენ ეკლესიაში, მზე კი დაუნდობლად აჭერდა და აჭერდა, ქვალორდიან გზას ბუდი ასდიოდა და ირგვლივ სოფლის სასიამოვნო სურნელი იფრქვეოდა.

ბავშვებმა, რა თქმა უნდა, არც მაშინ იცოდნენ და, არც ახლა იციან, რა მოხდა მათ თავს, რა ძალამ გადაუბრუნა ტვინი და ერთმა, რატომ ჰკითხა მეორეს – კანფეტი და ლიმონათი გინდა?

თანაც, ჰკითხა ისე, თითქოს კანფეტი და ლიმონათი სახლში არ ჰქონებოდათ. მაგრამ ესეც ხომ ცხადია, რომ მითვისებულს, გნებავთ, მოპარულს, განსაკუთრებით ბავშვისთვის, როცა ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს ნამოქმედარს, სულ სხვა გემო აქვს.

- მინდა! – იყო მეორე ბავშვის პასუხი, თითქოს კანფეტი და ლიმონათი სახლში არ ჰქონოდა.

- მეც მინდა, მაგრამ ფული რომ არ გვაქვს, რა ვქნათ? – ეს ისევ პირველი ბავშვი იყო.

- არ ვიცი, - უპასუხა მეორემ.

- იცი, რა მოვიფიქრე? – გონება გაეხსნა პირველს, - მოდი, ამ ფულით, იმან რომ გამოგვატანა, კანფეტები და ლიმონათი ვიყიდოთ.

- მერე ყუთში რაღა ჩავაგდოთ? ყუთთან რომ არ მივიდეთ და არაფერი არ ჩავაგდოთ, მღვდლები გაგვიბრაზდებიან და ჩვენებს ეტყვიან.

- მაგაზე ნუ დარდობ, შესაწირ ყუთში ქაღალდს ჩავაგდებ, ვერავინ ვერ დაგვინახავს. მღვდელი დაინახავს, რომ ჩვენ ყუთთან მივედით, მაგრამ ფულის მაგივრად, ქაღალდს რომ ჩავაგდებთ, ამას ვერ დაინახავს.

- რომ არ გამოგვივიდეს და დაგვინახონ, მერე სად მიდიხარ? შენ ეგეთი რამე ადრე გაკეთებული გაქვს?

- უჰ, რამდენჯერაც გინდა, აბა, მამაჩემის მათხოვრული გროშებით, რას ვიყიდი? ვერც ვერაფერს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირველის იდეა მეორესაც მოეწონა, განხორციელება კი იმაზე გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მეორეს წარმოედგინა.

მღვდელი ეკლესიის ეზოში იდგა, თავად ტაძარში კი არავინ იყო. ჰოდა, ბავშვებსაც მეტი რა უნდოდათ? არც არაფერი. შესაწირ ყუთში მოსაჩვენებლად ქაღალდის ჩაგდებაც არ გახდა საჭირო, რადგან ბავშვების მეტი ტაძარში არავინ იყო. სანოვაგე დატოვეს, სანთელი აანთეს (თან უფლისგან ცოდვათა მიტევებაც ითხოვეს), ყუთში არაფერი არ ჩააგდეს, გარეთ მდგარ მღვდლისგან დალოცვა, უფალი გფარავდეთო, მიიღეს და შინისკენ გამოსწიეს.

მოდლოდნენ ბავშვები და უხაროდან, რომ მათი ოპერაცია წარმატებით დასრულდა, ხოლო იმ თანხით, რაც მოიპოვეს, კანფეტებსა და ლიმონათს იყიდდნენ. იყიდეს კიდევ. მაგრამ, სანამ სოფელში შევიდოდნენ (ეკლესია სოფლიდან განცალკევებით იდგა), პირველმა ბიჭუნამ მეორეს ჰკითხა, ამით ძალიან ბევრი კანფეტი და ლიმონათი მოგვივა, ამიტომ, ხომ არ აჯობებს, დღეს ცოტა ვიყიდოთ, დანარჩენი ფულით კი ხვალ და ზევ ვიყიდოთ? მაგრამ მეორემ უპასუხა, თუ ფული დაგვრჩა, მაგას რა ჯობია? მაშინ მივბრუნდეთ ეკლესიაში და დარჩენილი ფული მაინც ჩავეაროთ ყუთში

- არა, ასე არ გამოვა, - არ მოეწონა პირველს, - ჩვენ რომ ახლა ეკლესიაში მივბრუნდეთ, ჩვენზე რაღაცას იეჭვიანებენ და დავიწვებით. ამიტომ, ჯობია, ეს ფული ან დღესვე დავხარჯოთ, ან ხვალისთვის და ზეგისთვის შემოვინახოთ.

სხვა რა გზა იყო, მეორეც დათანხმდა და მაღაზიისკენ გასწიეს. სულ კუნტრუმ-კუნტრუმით განვლეს გზა და უხაროდან ოპერაციის წარმატებით დასრულება.

არადა, არც ერთსა და არც მეორეს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას სჩადიოდნენ. ბავშვები იყვნენ, ამდენს ვერ ხვდებოდნენ და საკუთარ ნამოქმედარში სიღრმისეულად ვერ სწვდებოდნენ. თუმცა, ასეთი და ამაზე უფრო დიდი და მომაკვდინებელი დანაშაულობანი ამ ბავშვებზე გაცილებით უფროსებსაც ჩაუდენიათ. თანაც ჩაუდენიათ გააზრებულად და არა ამ ბავშვებით გულუბრყვილოდ, მაგრამ, როცა უფროსები დიდ დანაშაულს სჩადიან, ჩვენ იმ უფროსებს ყაჩაღებს, მკვლელებსა და ცოდვილებს ვეძახით, ანუ ყველაფერს

საკუთარ სახელს ვარქმევთ, და არც ვცდებით. აი, ბავშვების შემთხვევაში კი სხვაგვარად დგას საქმე, რადგან ნებისმიერი დანაშაულის მიუხედავად, ჩვენი აზრით, ბავშვი მაინც უცოდველი ანგელოზია.

ბიჭუნა და მისი მეგობარიც უცოდველი ანგელოზები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ მშობლებსა და საახლოებლო წრეს, ასე მიაჩნდათ. ეს დანაშაული კი სხვა წვრილმან თუ მსხვილმან დანაშაულებებთან ერთად ცხოვრების დიდმა დინებამ თავის ღრმა მორევში შთანთქა, თანაც შთანთქა ისე, რომ უკვე წამოზრდილ ასაკში შესულებსაც აღარ ახსოვდათ, საკუთარი წარსულის ის შავბნელი ლაქები, წესით და რიგით, მთელი ცხოვრების მანძილზე, დამდასავით რომ უნდა ჰქონოდათ დასმული. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადამიანის ბუნება და მეხსიერება ისეა მოწყობილი, რომ მისი განვლილი გზიდან იმახსოვრებს მხოლოდ იმას, რაც მას აწყობს, ხოლო, რაც არ აწყობს, ის ყოველთვის დავიწყებულია, თანაც საუკუნოდ... სამუდამოდ. მაგრამ სხვებს ხომ ახსოვთ, ჩვენ ხომ გვახსოვს?

ჩვენ, როგორც ყველა ადამიანს, ცხოვრების დიდ გზაზე ჩადენილი მხოლოდ საკუთარი ცოდვანი არ გვახსოვს, თორემ სხვისა, არა მარტო გვახსოვს, არამედ ზოგიერთთათვის ჭკუის დამრიგებლადაც გამოვდივართ.

მაისის მზემ კიდევ უფრო ფართოდ გაშალა სხივები, ჩიტებმაც კიდევ უფრო მძლავრად ატყეხეს ჭიკჭიკი, გაზაფხულის ყვავილებმაც უფრო დამათრობელი სურნელი მოაფრქვიეს არე-მარეს და მოგზაურმაც თვალი გაახილა, თუმცა, მაშინვე არ წამომდგარა. ჯერ კიდევ იწვა ბალახზე გულადმა და მოკრიალებულ ცაში ჩაკარგულ უსაზღვროებას გასცქეროდა.

ცას შეჰყურებდა მოგზაური და ახლახან, ძილბურანში ნანახ საკუთარ წარსულზე ფიქრობდა. ეს ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ აქ, ამ ტრიალ მინდორში წამოკოტრიალებულს ყველაფერი გაახსენდა და თავის ბავშვურ წარსულზე ინანა ისე, როგორც არასდროს. ან სხვა დროს, როგორ უნდა ენანა? რაც წამოიზარდა, ყველა მახინჯ მოგონებას მეხსიერების ყველაზე სუსტ და დაქვეითებულ ჯურღმულებში უკრა თავი, რათა აღარასოდეს ამოტივტივებულიყვნენ. ხოლო, როცა ბავშვი იყო, გულუბრყვილობის

შედგად ჩადენილ ცოდვებს ვერ გაანალიზებდა, სათანადო დასკვნებს ვერ გამოიტანდა და საკუთარ თავსაც ვერ დაუპირისპირდებოდა, იმიტომ, რომ ბავშვი იყო, ანგელოზადქცეული გულუბრყვილო ბავშვი. ანგელოზები კი ყოველთვის მართლები არიან.

მაგრამ აქ, მაისის სურნელით აღმოდებულ ამ ტრიალ მინდორში, მოგზაურს ყველაფერი გაახსენდა და ბავშვობაში ჩადენილი დანაშაულის გამო, მან თავის სიცოცხლეში პირველად ინანა. არა მარტო ინანა, საკუთარი თავი შეზიზღდა კიდევ, შერცხვა და გულზე განრისხების ტალღამ გადაუარა. გაშლილ მინდორში გულადმა ეგდო მოგზაური, მოკრიალებულ ცაში ჩაკარგულ უსასრულობას შეჰყურებდა და ბრაზობდა... ბრაზობდა საკუთარ ბავშვობაში ჩადენილი ცოდვის გამო.

როგორც იქნა, თავი მძიმედ წამოსწია, წამოიმართა, მაგრამ არ წამოდგარა, მხოლოდ წამოჯდა. მიიხედ-მოიხედა და ბავშვები აღარსად სჩანდნენ. ახლა კი იკადრა წამოდგომა და ბალახით აბიბინებულ გზას ჩქარი ნაბიჯით გაუყვა. იქით, ფერადი აკაციების ტყე რომ იწყებოდა, იმ მიმართულებით წავიდა. მინდორში მიმავალ მოგზაურს თავზე გაზაფხულის მზე დაჰხაროდა, ფეხქვეშ კი გაზაფხულის მიწა სითბოს აგრძნობინებდა. სხვა რაღა უნდა ენატრა მოგზაურს, მაგრამ, გული მაინც დამძიმებული ჰქონდა. ბავშვობის ერთი მახინჯი ეპიზოდის გახსენებამ სულ მთლად წაუხდინა განწყობა და ასე მწარე ფიქრებით თავბრუდახვეული მიადგა ფერადი აკაციებით დაბურულ ტყეს, სადაც მზის სხივს ხელის გულზე დადებულს თუ შეიტანდით, თორემ თავისით ვერავითარი მზის სხივი ვერ შეაღწევდა. დაბურული იყო აკაციის ტყე, დაბურული და ძნელად გასაველელი.

იღვა მოგზაური აკაციების ფერადი ტყის პირას და საკუთარ ბავშვობაზე ფიქრობდა. არა ტკბილ და უდარდელ, არამედ ცოდვანარევ ბავშვობაზე. ამ დროს მოგზაურს უკნიდან ბავშვის ხმა შემოესმა, შებრუნდა და თითქოს მიწიდან ამოიმართაო, მის წინ ბიჭუნა იდგა.

- რას იტყვი ახლა, მოგეწონა? – ჰკითხა სახეგაბრწყინებულმა ბიჭუნამ.



- ძალიან მომეწონა, ღამაში ტყეა, ფერადი და უდაბური.
- მე ახლა ტყეზე გეკითხები? – უკმაყოფილო სახე მიიღო და დაუსტვინა ბიჭუნამ.
- აბა, რაზე მეკითხები?
- ეკლესია, მოპარული ფულით ნაყიდი კანფეტები და ლიმონათი, დავიჯერო, ისევ დაგავიწყდა?
- არ დამვიწყებია, მაგრამ, მერე შენ, რა?
- მე და შენ ერთნი ვართ, მე წარსული, შენ მომავალი, მაგრამ, მაინც ერთნი.
- მერე, რა გინდა? – დაიბღვირა მოგზაურმა.
- ახლა წამოდი, ცოტა წყალი შეისხი და გამოფხიზლდი, თორემ ახალგამოდვიძებულ ბუღას გავხარ. მერე, მშობელთა კრებაზე უნდა გამომყვე.

მოგზაურს ისევ მოუნდა, ამ ღაწირაკისთვის კეფაში წაეთაქა, მაგრამ ამაში აზრს ვერ ხედავდა, რადგან ეს ხომ, უბრალოდ პატარა ბიჭუნა არ იყო, ეს მისი წარსული იყო, შიგადაშიგ მტკვერდაყრილი და დავიწყებული წარსული. ხოლო ის უზნეობები, რაც ბიჭუნას ქცევაში თუ საუბარში შეიმჩნეოდა, მოგზაურისთვის სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენდა.

დაფიქრდა მოგზაური და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მართლა რა აუტანელი და საზიზღარი ყოფილვა ადამიანებისთვის. ასეთი ამპარტავნული ქცევების პატრონი, ყოველივე ამას, ჯერ ერთი, იმიტომ ვერ ხედავდა, რომ ბავშვობის ყველა ნიუანსი არ ახსოვდა და მეორეც, საკუთარი თავისთვის გვერდიდან არასოდეს შეუხედავს. ან როგორ უნდა შეეხედა?

ახლა კი, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცა, შეხედა საკუთარ თავს, უფრო ზუსტად, საკუთარ ბავშვობას გვერდიდან და ისეთი უარყოფითი ხვეულები აღმოაჩინა, რომ სირცხვილით თავი სად წაეღო, არ იცოდა.

და ეს ხდებოდა ბავშვობის გახსენებისას, სადაც მის პიროვნებაში უცოდველობისა და გულუბრყვილობის ტალღას უნდა

ემპლავრა, მაგრამ ნურას უკაცრავად, გვერდიდან დანახულმა, საკუთარი ბავშვობის სრულიად მოულოდნელი და სამწუხარო სურათი დაუხატა, სურათი, სადაც უმთავრესად ის კონტურები იკვეთებოდა, რომლის თანახმადაც მოგზაურს არც ისეთი გულუბრყვილო ბავშვობა ჰქონია, როგორც თავად ახსოვდა და წარმოედგინა. მაგრამ ბავშვობის წლების აღდგენა, რომ ასეთ უარყოფით ხვეულებს დაგანახვებს, შემდგომ, უფრო ასაკმომატებულ წლებთან ხელმეორე შეხვედრისას, რაღა სასიკეთოს უნდა ელოდოს ადამიანი? ალბათ, არც არაფერს. ჰოდა, არც ელოდა მოგზაური.

ბიჭუნა კი ჯიუტად სკოლაში წაყოლას და მშობელთა კრებაზე დასწრებას სთხოვდა:

- ახლა წავიდეთ, ჩემი კლასის მშობელთა კრებას უნდა დაესწრო.
- რაში მჭირდება შენი მშობელთა კრება?
- მე, საერთოდ, სკოლაც არ მჭირდება, მაგრამ, ხომ ხედავ, მაინც დავდივარ.
- რა საჭიროა? – ვერ ისვენებდა მოგზაური.
- რისთვის არის საჭირო, ამაში კრების შემდეგ დარწმუნდები. ახლა კი გამომყევი, აქედან არა, აი, იქიდან ჩავიდეთ, ამ აკადიის ფერად ტყეს რომ გადავჭრით, მერე ციდან ჩამოღვრილ და გედებით სავსე ულამაზეს ტბას მივადგებით. შეგვეძლება ტბას ფეხით შემოვუაროთ, მაგრამ ეგ შორი გზაა და ჩვენ სხვაგვარად მოვიქცევით, ნავში ჩავსხდებით და ტბის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ასე გადავალთ. ტბის შემდეგ კიდევ ერთი, ამჯერად უკვე ტირიფების ტყის გავლა მოგვიწევს. ისიც უღრანი და დაბურული ტყეა, გარეული ნადირით სავსე. ამ ტყესაც თუ მშვიდობით გავივლით, უკვე ქალაქში ვიქნებით და მშობელთა კრებასაც დაგასწრებ.
- თუ არადა? – დაინტერესდა მოგზაური.
- თუ არადა, ან მგელი შეგვჭამს, ან დათვი. – გაეცინა ბიჭუნას.
- რა საჭიროა ამდენი რისკი?
- ერთი იცოდე, ჩვენი სიკვდილით სამყარო არაფერს დაკარგავს.
- მაშ, რისთვის ვცოცხლობთ?

- ალბათ იმისთვის, რომ მთელი დედამიწა ისეთივე გაუვალ ტყედ არ იქცეს, რომელიც ჩვენ ახლა უნდა გავიაროთ. – ფერადი აკაციებით დაბურულ ტყისკენ გაიშვირა ხელი ბიჭუნამ, იმ ტყისკენ, სადაც მზის სხივი ვერ ატანდა და მხოლოდ ხელის გულზე დადებულს თუ შეიტანდი.

- ადამიანი რომ ცოცხლობს, ის წერს, შრომობს და მეცნიერულ აღმოჩენებს აკეთებს. აი, ამისთვის ცოცხლობს ადამიანი და ამისთვის ვცოცხლობთ ჩვენ, მე და შენ... მე და შენ ხომ ერთნი ვართ?

- შენ ეგ ნუ გადარდებს. თუ დედამიწაზე სიცოცხლე იქნება, მაგ მეცნიერულ აღმოჩენებსა თუ მწერლობას, ჩვენ გარეშე სხვაც მიხედავს, თანც ისე, რომ სამყაროს უჩვენობა სულაც არ დაეცობა. ჩვენ არ დავწერთ? სხვა დაწერს, გესმის, სხვა. უჩვენოდაც გამოჩნდება ხალხი, რომლებიც ნებისმიერ საქმეს ჩვენზე არანაკლებ გააკეთებენ. ქურდობა, მრუშობა, მწიგნობრობა ჩვენ დაბადებამდეც იყო და ჩვენ შემდეგაც, ანუ ჩვენ გარეშეც იქნება.

- რა უნდა ვქნა, ვერ გავიგე. – გაოცებული იყო მოგზაური.

- ჯერ მშობელთა კრებაზე უნდა წამომყვე, დანარჩენს მერე გაიგებ. ახლა მთავარია, გამომყვე, მაშ, წავედით. – გასცა ბრძანება ბიჭუნამ და ისინიც დაიძრნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ ფერადი აკაციებით დაბურული ტყე გაიარეს, სადაც მზის სხივი არ აღწევდა და მხოლოდ ხელის გულზე დადებულს თუ შეიტანდით. ტყეში არც ერთი მტაცებელი ცხოველი არ გადაჰყრიათ და თუ მათ რამე გზას უღობავდა, წელში გადამტყდარი აკაციის ხეები, ხავსმოდებული კუნძები და ეკლიანი ბუჩქები იყო, ამ ტყეს გაუვალსა და უღრანს რომ ხდიდა. ისინი მიდიოდნენ ხის ტოტებითა ეკლიანი ბუჩქებით სახედაკაწრულნი, მაგრამ წინააღმდეგობას არ ეპუებოდნენ.

- დაიღალე? – იკითხა ბიჭუნამ.

- არა! – უპასუხა მოგზაურმა.

- გახსოვს? – ბიჭუნამ ისევ იკითხა.

- რა უნდა მახსოვდეს?

- წლების წინ, სიმაწვილეში, ამაზე უფრო უღრან და დაბურულ ტყეში ძმაბიჭებთან ერთად, საქეიფოდ რომ წახვედი?
- მე ძმაბიჭებთან ერთად ტყეში საქეიფოდ ბევრჯერ წავსულვარ, მაგრამ, შენ რომელ წახველას მახსენებ?
- მაგრად რომ დათვერით, სიფრთხილე რომ დაკარგეთ და ცეცხლი რომ დაგრჩათ ანთებული, მერე ცეცხლის ალი ნეკერჩხლიდან ნაძვზე, ნაძვიდან ჭადარზე, ჭადრიდან მუხაზე რომ გადავიდა და მძლავრმა ხანძარმა იმ დაბურული და გაუვალი ტყის, უდიდესი ნაწილი რომ გადაბუგა!
- ჩვენ რომ გამოვედით, ხანძარი მერე გაჩენილა. – თავი იმართლა მოგზაურმა.
- თქვენ იქ იყავით, ხანძარი რომ დაიწყო.
- არ ვიცი, არ მახსოვს.
- ისეთი მთვრალეები იყავით, რა გეხსომებოდათ?! – ჩაეცინა ბიჭუნას.
- არ მახსოვს – მეთქი, ხომ გითხარი, რა წაიღე ტვინი. – გაბრაზდა მოგზაური.
- ის ხომ კარგად გახსოვს, მაგ ტყის გადაწვისთვის სრულიად უდანაშაულო კაცი, მეტყევე თუ ხის მჭრელი რომ დაიჭირეს? საცოდავს, აბრალებდნენ იმას, რაც არ ჩაუდენია.
- ჩვენ რა შეგვეძლო?
- თქვენ იცოდით, რომ თქვენი უყურადღებობით ჩადენილი დანაშაულის გამო, სრულიად ალაღმართალ კაცს იჭერდნენ, მაგრამ საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, თქვენ ყველანი სოროებში მიიმალეთ და პირში წყალი ჩაიგუბეთ. თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდით და ამ დროს, ღამის სრულიად უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლეთ.
- რამდენადაც მახსოვს, იმ კაცს მაინც ვერაფერი დაუმტკიცეს და ვერაფერიც ვერ მიუსაჯეს. – გაიხსენა მოგზაურმა.

- რაც იმ პატიოსან კაცს არ ჩაუდენია, იმას, როგორ დაუმტკიცებდნენ? მაგრამ, ხომ ანერვიულეს და გააწვალეს? თქვენ კი მის დასაცავად არაფერი გაგიკეთებიათ.

- იქ ჩემ გარდა სხვებიც იყვნენ და მარტო მე ვერას გავხდებოდი. – თავი იმართლა მოგზაურმა.

- შენც იქ იყავი, ეს კი უკვე საკმარისი მიზეზია იმისა, რომ პასუხი შენთვისაც მოეთხოვათ, ჯერ დაუდევრობისთვის, შემდეგ სრულიად უდანაშაულო ადამიანის გაწირვისთვის.

- ადამიანო, რატომ არ გესმის ჩემი, რომ მე მარტო ვერას გავხდებოდი, ვერ გამოვდგებოდი აივანზე და ვერ დავიწყებდი საჯაროდ იმის მტკიცებას, რომ ეგ ხანძარი მაგ პატიოსანმა კაცმა კი არ გააჩინა, არამედ ჩემი და ჩემი მეგობრების დაუდევრობის შედეგია – მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მომცემდნენ ამის უფლებას და არც მომცეს. სიმართლე რომ გითხრა, ძალიან მინდოდა, ყველაფერი მეთქვა, მაგრამ ვერ შევძელი, ვერ დავძლიე ერთგული მეგობრების წინააღმდეგობა და ვერ გავწირე ისინი. – ისევ თავის მართლებასზე გადავიდა მოგზაური.

- კარგად მესმის შენი, დამნაშავე მეგობრების გაწირვას, ისევ უდანაშაულო, უცხო ადამიანის გაწირვა ამჯობინე. ყოჩაღ შენ, ნამდვილი მეგობრობა გცოდნია და სანდო კაცი ყოფილხარ. – გაეცინა ბიჭუნას.

- დიახ, ვიცი მეგობრობის ფასი და იმათ არ ვუღალატე.

- გინდა, გითხრა სიმართლე? – ცალი თვალი მოჭუტა ბიჭუნამ.

- მითხარი!

- ყველაფერი რომ ავწონ-დავწონოთ, რეალურად, შენ, მეგობრებზე კი არა, საკუთარ თავზე ზრუნავდი. გესმის ჩემი, შენ საკუთარი თავი გადაარჩინე, მორჩა და გათავდა. ამ საკითხში მეგობრობის წინ წამოწვევა კი, შენ მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენისთვის გჭირდება. სულ ეს არის და მეტი არაფერი.

- გაჩერდი ახლა, აღარ გინდა ამაზე ლაპარაკი. – გაბრაზება დაეტყო მოგზაურს.

- მაშინ ამ კუნძვს მარჯვედ გადააბიჯე, თორემ, ხომ ხედავ, რა გაუვალი ტყეა?

ორთავემ მარჯვედ გადააბიჯა ხის კუნძვს, მერე ცხვირთან მიტანილი ტოტები გვერდზე გასწიეს და გზა გააგრძელეს. გზად, კიდევ უამრავ კუნძვზე გადაბიჯება და უამრავი ხის ტოტის გვერდზე გაწევა მოუხდათ. ტყე დაბურული და გაუვალი იყო და იმიტომ. ფერადი აკაციების ტყე რომ გაიარეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ციდან ჩამოღვრილ და გედებით სავსე ულამაზეს ტბას მიაღვინენ. გაგიგონიათ ოდესმე სიხუმის ხმა? ალბათ, არც გაგიგონიათ და არც გჯერათ, მაგრამ იქ, ციდან ჩამოღვრილ და გედებით სავსე ტბაზე, სწორედ სიხუმის ხმა ისმოდა, იდუმალი ხმა. იყო სიხუმე, მაგრამ ყურს, რაღაც შორეული და ტკბილი ხმა ხვდებოდა... სასიამოვნო ხმა, გულს მაღამოდ რომ ედება, ისეთი. თურმე ასეთებიც ხდებოდა იმ გასაოცარ სამყაროში.

მოგზაური, ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანი იყო და რა გასაკვირია, რომ მას სამოთხე ნანახი არ ექნებოდა, ისე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს. გაფიქრებით კი გაიფიქრა, თუ სამოთხე არსებობს, ალბათ ასეთი იქნებაო. თან ბიჭუნასაც გაანდო საკუთარი ნაფიქრი.

- ედემია აქაურობა, ალბათ სამოთხეც ასეთი იქნება.

- სამოთხე, როგორი იქნება, არ ვიცი და სიმათლე რომ გითხრა, არც მაინტერესებს. – გულახდილი იყო ბიჭუნა.

- რომ არ იცი, გასაგებია, მაგრამ, რატომ არ გაინტერესებს?

- მე არ მაინტერესებს ის, სადაც ვიცი, რომ ვერასოდეს მოვხვდები. – იყო ბიჭუნას პასუხი.

- რატომ, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არ გჯერა?

- მე არ მითქვამს, რომ არ მჯერა. მჯერა, როგორ არა, მაგრამ იქ ვერასოდეს მოვხვდებით, ვერც მე და ვერც შენ, რადგან ჩვენ ერთნი ვართ, მე წარსული, შენ მომავალი.

- ჩვენ თუ არა, მაშ, ვინ მოხვდება სამოთხეში?

- მე და შენ რომ სამოთხეში მოვხვდეთ, ჩათვალე, რომ მთელი კაცობრიობა სამოთხეში უნდა მოხვდეს და მაშინ ჯოჯოხეთი ვიღამ შეავსოს?

- მე ჯერ ისეთი ცოდვა არ ჩამიდენია, რომ ჯოჯოხეთზე ვიფიქრო.

- შენ ჯერ ისეთი სიკეთეც არ გაგიკეთებია, რომ სამოთხეზე იფიქრო.

- შენ მე ნუ მასწავლი, რა გამიკეთებია და რა, არა. – გაცხარდა მოგზაური.

- შენ რომ სამოთხეში შესაშვები არ ხარ, ამაში ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდი? არაუშავს, მალე დარწმუნდები, წინ კიდევ დიდი გზა და თავგადასავალი გელის, შენს არცთუ ჯანსაღ წარსულს რომ შეხვდები, ისეთი თავგადასავალი. ხომ გამიგე? ახლა უკვე დროა, ჩავსხდეთ ნავში და მეორე ნაპირზე გავიდეთ.

ჯერ კენტოვან ნაპირზე დაგდებული ნავი ამოაბრუნეს და ტბამდე მიათრიეს, შემდეგ კი ნავში პირველი ბიჭუნა ჩაჯდა, მიიხედ-მოიხედა, ნავზე შიგნიდან რამდენჯერმე დააკაკუნა, ყველა კუთხე-კუნჭული შეამოწმა და რომ დარწმუნდა, გადაცურვა უსაფრთხო იქნებოდა, მოგზაურს ხელი დაუქნია: - მოდი, რაღას უყურებ, ოღონდ შენ მანდეთ, მარცხენა ნიჩაბს მოუსვი, მე აქეთ, მარჯვენა ნიჩაბს დავატრიალებ და ვფიქრობ, ერთიანი ძალებით უფრო მალე და იოლად გავალთ სამშვიდობოს. თანახმა ხარ?

- რა თქმა უნდა. - იყო მოგზაურის პასუხი.

ნავი მსუბუქად მისრიალებდა ცისფრად მოელვარე ტბაზე და მხოლოდ ნიჩბებით გაპობილი წყლის ყრუ ხმას ტოვებდა. ტბაზე მოცურავე გედები, მსუბუქად მოსრიალე ნავს იმ იმედით მიჰყვნენ, რომ იქნებ რამე სარჩოს გამორჩენოდნენ.

- პური მაინც გვქონდეს, ვაჭმევდით. – დაიჩივლა ბიჭუნამ და ნიჩაბს ხელი გაუშვა.

- კარგი იქნებოდა. მიყვარს უენო და უმწეო არსებებს, საკვებს რომ ვუყერი.

- მართალი ხარ. აბა, მარტო გასასუქებლად და დასაკლავად ხომ არ უნდა გამოკვებო უენო არსება?

- არაუშავს, სხვა დროს გავითვალისწინებ და პურის ნაჭერს მაინც წამოვიღებ. – იმედიაანად იყო მოგზაური.
- სხვა დროს შენ აქ ვეღარ მოხვდები, რადგან ამ მხარეში შენი მოგზაურობა არის პირველი და უკანასკნელი. – ხმაში სინანული დაეტყო ბიჭუნას.
- შენ? შენ ხომ მოხვდები? – იკითხა მოგზაურმა.
- ვერც მე მოვხვდები.
- რატომ?
- მე გამანადგურებს ის, ვინც აქ მომავლინა. – კვლავ სინანულით აღსავსე იყო ბიჭუნა.
- მე არ გაენადგურდები? – პასუხის მოლოდინში, ლამის სუნთქვა შეეკრა მოგზაურს.
- შენც განადგურდები, თუმცა, განადგურების შემდეგ, შენ კიდევ გაქვს, ხორცშესხმისა და გაცოცხლების შანსი.
- ვერ მივხვდი ვერაფერს. – გაურკვეველობა აღებეჭდა სახეზე მოგზაურს.
- ამას სულ მალე მიხვდები, ოღონდ, როგორ და რა გზით, ეგ მეც არ ვიცი. ახლა გვეყო ტბაზე ტივტივი და საქმეს მივხედოთ, თორემ მშობელთა კრებაზე დაგვაგვიანდება. – გაიღიმა ბიჭუნამ და ისევ მარჯვენა ნიჩაბს დაავლო ხელი, მოგზაური მარცხენა ნიჩაბს ეცა და ნავმაც ციდან ჩამოღვრილ და გედებით სავსე ტბაზე, კიდევ ერთხელ, ნაზად გაისრიალა.

ბიჭუნას და მოგზაურს მშობელთა კრებაზე ეჩქარებოდათ.



გაზაფხულმა კიდევ ერთხელ გაიკეკლუცა და მაისის ცას იმდენი წვიმა აპკურებინა, რომ მთელი მინდორ-ველი, ფერადი აკაციებით შემკულ ტყესთან ერთად, ლამის ციდან ჩამოდვრილ და გედებით სავსე ტბაში ჩარეცხა. აირ-დაირია ხალხი, ბუნების ამგვარ კეკლუცობას ვერავინ ეგუებოდა, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებოდათ, რომ თუ ადამიანთა კეკლუცობებს ვიტანთ, იგივე კეკლუცობანი, ბუნებისგან რატომ ვერ უნდა ავიტანოთ? ბუნებაც ხომ ადამიანივითაა და ამჯერად უკვე გაზაფხულად მოვლენილი კეკლუცობდა, ჭირვეულობდა და საკუთარ ძალას გვიჩვენებდა; წვიმას მზე ენაცვლებოდა, მზეს ისევ წვიმა, და გრძელდებოდა ასე. მაგრამ ყველაზე მეტ საოცრებებს, მაინც ვარდი სჩადიოდა, შემოქმედის მიერ განებივრებული ვარდი, გვირგვინად რომ ქცეულიყო მაისისა, რომელიც, ისე ამშვენებდა გაზაფხულის უკანასკნელ თვეს, როგორც საპატარძლოს ძვირფასი საქორწინო კაბა.

წელიწადის ულამაზესი დრო დამდგარიყო იმ მხარეში, წელიწადის დრო, როდესაც შხაპუნა წვიმა, თბილი მზე და სურნელმოფენილი ვარდი ენითაუწერელ სამეულს ქმნიდა. სხვა არც ერთ დროში არ მოაქვს ამ სამეულს ასეთი ნეტარება, როგორც გაზაფხულის უკანასკნელ კარიბჭედშობილ მაისში. სწორედ მაისთან ერთად არის ეს სამეული თვალისმომჭრელი და გულშიჩამწვდომი, თორემ ცალკე წვიმა, მზე და ვარდი წელიწადის სხვა დროშიც გვხვდება, მაგრამ არა ისეთი ძალითა და სილამაზით, როგორც მაისში.

რა შეიძლება კიდევ ითქვას მაისზე? ძალიან ბევრი რამ, მაგრამ აქ ახლა ამის ადგილი არ არის და ჩვენც მოკლედ ვთქვათ, რომ გაზაფხულის უკანასკნელ კარიბჭედშობილი მაისი, ის თვეა, როდესაც ყველაფერი ზღაპარით ლამაზი და ფერადია, ლამაზი და ფერადი კი, ამ ქვეყანაზე ყველას იზიდავს, დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც.

ციდან ჩამოდვრილი და გედებით სავსე ტბის ნავით გადაცურვისა და ორი უღრანი ტყის გავლის შემდეგ, ბიჭუნა და მოგზაური უკვე ქალაქში იყვნენ, მაისით გალამაზებულ და შეფერადებულ ქალაქში.

მთელი ქალაქი გაეარათ, მთელი ქალაქი მოეარათ და მშობელთა კრებასაც დასწრებოდნენ. თითქოს მოულოდნელი არაფერი უხილავს და არაფერი გაუგია მოგზაურს, მაგრამ, მაინც ნაწყენი იყო ბიჭუნაზე. ან რატომ არ უნდა ყოფილიყო ნაწყენი, როდესაც, როგორც აკადემიური მოსწრებით, ისე ნებისმიერი სხვა მახვენებლით, ბიჭუნა უკანასკნელ საფეხურზე დაბობდავდა. არ გამოჩენილა მასწავლებელი, რომელიც ბიჭუნას შეაქებდა. ყველა უნიჭოდ, გამოლენჩებულად და უზარმაცეს პიროვნებად მოიხსენიებდა. თუ სხვა ბავშვებს ხოტბას ასხამდნენ და მათ მშობლებს გულმხურვალე მადლობებს უძღვნიდნენ, ბიჭუნას შემთხვევაში სრულიად განსხვავებული სურათი იხატებოდა და მოგზაურმაც აღარ იცოდა, თავი სირცხვილით სად წაედო.

იდგა მოგზაური და თვალს ვერ უსწორებდა ბიჭუნას მასწავლებლებს, სინამდვილეში, საკუთარ მასწავლებლებს, რომლებიც ათეულობით წლების შემდეგ, ისევ იმ სახით აღმდგარიყვნენ და მოგზაურის წინ დამდგარიყვნენ.

ითმენდა ყველაფერს, ხედავდა აღელვებით მწყობრიდან გამოსულ მასწავლებლებს და სიბრაზესთან ერთად, გული თანაგრძნობითაც ევსებოდა. თავის მშობლებს უთანაგრძნობდა მოგზაური, რომლებიც ათეულობით წლების წინ მის ადგილზე იდგნენ და შვილის უმსგავსო ქცევებით განრისხებული პედაგოგების აგრესიას მორჩილად იტანდნენ.

ამიტომ საკუთარი ნამოქმედარისა თუ წარსულის გამო, მოგზაურს პირველად შეეცოდა თავისი მშობლები. თურმე რამდენს იტანდნენ, თურმე რამდენი შეურაცხყოფა აუტანიათ მხოლოდ იმისთვის, რომ მე მათი შვილი ვიყავი და ვერ გადამაგდებდნენ და ვერ შემცვლიდნენ. ისინი უნდა შემგუებოდნენ ისეთს, როგორც ვიყავი - სკოლაში წარუმატებელს და მასწავლებლებისგან მოძულეებულს. მეგუებოდნენ კიდევ. - ამაზე წუხდა მოგზაური.

ამიტომაც, აღარაფრის დანახვა და მოსმენა აღარ უნდოდა, დროზე ადრე წამოდგა და ჯერ საკლასო ოთახიდან, შემდეგ კი სკოლიდან გამოვიდა. არც არავინ გამოჰკიდებია და არც არავის უთქვამს, ძალიან ადრე მიდიხართო. მშობელთა კრება ისევ გრძელდებოდა, მოგზაური რომ გარეთ გამოვიდა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და დაღმართზე გაწოლილ იმ გზას გაუყვა, ჯერ ხევისკენ,

ხევიდან კი ცენტრალური გზისკენ რომ მიიკლაკნებოდა. მიდიოდა და აღარაფერზე აღარ უნდოდა ფიქრი, მაგრამ ადამიანი სწორედ იმით განსხვავდება სხვა ცოცხალი ორგანიზმებისგან, რომ ის ფიქრობს, ყოველთვის ფიქრობს, მაშინაც კი, როცა თავად ჰგონია, რომ, ვითომ არაფერზე არ ფიქრობს. მაგრამ არაფერზე ფიქრი, მხოლოდ ცხოველს შეუძლია, რადგან მასში, ძირითადად მაინც ინსტინქტები სჭარბობს, ბუნებისგან თანდაყოლილი ინსტინქტები.

მიდიოდა მოგზაური, არაფერზე ფიქრი არ გამოსდიოდა და საკუთარ, ბავშვობისდროინდელ წარსულზე ფიქრობდა, როცა, ვითომ უცოდველი და გულჩვილი ბავშვი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი, აქედან, ანუ საკუთარი ბავშვობის გვერდიდან შეხედვის შემდეგ აშკარად რწმუნდებოდა, რომ მისი ბავშვობის გულუბრყვილო და უცოდველი ფერებით შელამაზება, ისეთივე სისულელე იყო, როგორც ცულმომარჯვებული ჯალათის წმინდანად შერაცხვა.

ფიქრობდა მოგზაური და გული სწყდებოდა. ენანებოდა, საკუთარი ბავშვობა, ისე რომ ვერ გაუტარებია, როგორც უნდა გაეტარებინა. ასე, ფიქრებით დამძიმებული ჩაუყვა ხევისკენ ჩამავალ გზას, მერე იგივე გზას ზევით აუყვა და იქვე, გზის პირას დადგმულ, ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა, ვიღაც მადლიან კაცს, ამ გზაზე მიმავალი, დაღლილი ადამიანებისთვის რომ გაუკეთებია. მარტოდმარტო იჯდა მოგზაური ხის გრძელ სკამზე და ქალაქს გასცქეროდა. ეს მისი ქალაქი იყო, მშობლიური ქალაქი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ისე ხარბად გასცქეროდა ქალაქს, ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებულებმა რომ იციან ხოლმე.

გასცქეროდა მოგზაური ქალაქს და უცებ, ყველაფერი, რასაც მისი თვალთახედვა სწვდებოდა, ვარდისფრად დაიბურა. ცაც, ხეც, მიწაც, სახლებიც და ადამიანებიც გავარდისფერდნენ... ქვეყანა ვარდისფერ ბურუსში გაეხვა.

იჯდა მოგზაური ხის გრძელ სკამზე, მაგრამ ვარდისფრად დაბურული გონებით სულ სხვაგან იყო. იქ, სადაც მისი სიყმაწვილე ჩარჩენილიყო. გონებით იქ იყო მოგზაური, ფიზიკურად კი იქაც და აქაც. მოკლედ, ზუსტად ისე დაემართა მოგზაურს, როგორც ტრიალ მინდორში წამოკოტრიალებულს, ბავშვობის წლებში გადაგარდნისას.

რასაც ხედავდა, არაფერი უკვირდა მოგზაურს, რადგან ეს მისი განვლილი გზიდან ამოღებული, გნებავთ, ამოგლეჯილი ერთ-ერთი ეპიზოდი იყო. ხედავდა ადამიანებს, ფართოდ გახედილ თვალებს, გაღიმებულ სახეებს, და, აი, ერთი სახეც, ძალიან ნაცნობი და ძალიან ახლობელი... ეს მისი სიყრმის მეგობარი ილოა.

ილო, შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის, სპორტული აღნაგობის ყმაწვილი, მოგზაურის მხიარული ძმაკაცი, რომელთანაც არასოდეს მოიწყენს ადამიანი და არც მოგზაურს მოუწყენია არასოდეს მასთან.

თუმცა, ამ შემთხვევაში, ილო, უკვე წარსულში დარჩენილი სიყმაწვილე იყო, ჩვენი წიგნის მთავარი გმირი კი – მოგზაური, რომელიც დროსა და სივრცეში გადაადგილდებოდა საკუთარი თავის უკეთ შესაცნობად.

- ოხ, მოხვედი უკვე? – ილომ მოგზაურს ჩვეულად გაუღიმა და მხარზე ხელი დაჰკრა.

- როგორც ხედავ, მოვედი, მაგრამ, ისინი სადღა არიან?

- ისინი თავისით არ მოვლენ, ჩვენ უნდა მივიდეთ. – იყო ილოს პასუხი.

- მივიდეთ, ბატონო, ოღონდ, სად, როგორ და რითი? – დაინტერესდა მოგზაური.

- სად უნდა მივიდეთ, ეგ ვიცი, იმათთან სახლში, როგორ უნდა მივიდეთ, ეგეც ვიცი, ფეხით, რადგან აქვე ცხოვრობენ, ხოლო, რითი უნდა მივიდეთ, ჩემი წინადადებაა, შამპანურით, შოკოლადითა და ქემელით. კარგი სიგარეტია ქემელი, იმათ უყვართ და იმიტომ.

- შავი ღვინით, დოქტორსკი ძეხვითა და პალმალით რომ იყოს, არ წავა? – გაეცინა მოგზაურს.

- ე, ბიჭო, მე გეუბნები, რაც იმათ უყვართ, იმით ავიდეთ, თორემ მე და შენ ჭაჭა და მუავე კიტრიც გვიყვარს და მაგით რომ ავიდეთ, ჩათვალე, რომ მეორედ იქ აღარავინ შეგვიშვებს. გაიგე?

- კო, გავიგე, ოღონდ დროზე, თორემ, დავსველდით, ხომ ხედავ, როგორ წვიმს?

მოგზაური და ილო ქუჩაში იდგნენ. ქალაქში წვიმდა... წვიმდა მთელი ძალით. აპრილის თვე იდგა, დღე პარასკევი იყო, ერთი შეხედვით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დღე, რომელიც სხვა დანარჩენი დღეებისგან არაფრით გამოირჩეოდა და ბოჰემური ცხოვრებით ტვინანთებულ ახალგაზრდებსაც ყველანაირ პირობას უქმნიდა.

მოგზაურსა და მის მეგობარსაც მეტი რა უნდოდათ, შამპანურს, შოკოლადსა და ქემელს, კიდევ ბევრი რამ მიამატეს, ოღონდ ისეთი რამ, რაც იმათ უყვარდათ, და არა ამათ, თორემ ჭაჭითა და მუავე კიტრით დატვირთულებს, იქ ცივი და გაყინული სახეები დახვდებოდათ.

და ვინ იყვნენ ისინი, ვისთანაც მოგზაური და მისი ძმაკაცი ადიოდნენ? ისინი მსმელი გოგონები იყვნენ, თანაც გართობაც რომ უყვარდათ, ისეთები. მოგზაურსა და მის ძმაკაცსაც მეტი არაფერი უნდოდათ და მათ ბოჰემურ ცხოვრებაში, კიდევ ერთი ფურცელი ჩაიწერა, ფურცელი, რომელიც ალკოჰოლით, ნიკოტინითა და ქალის დამათრობელი სურნელით იყო გაუღენთილი. ნეტავ, ვინ მოსთვლის, მთელი ცხოვრების მანძილზე, უკვე მერამდენე ასეთი ფურცელი იყო ჩაწერილი გინდ ამათთვის და გინდ იმ გოგონებისთვის, მაგრამ ეს თრობა და ალერსი სულ სხვა იყო და სულ სხვა სიმძიმეს ატარებდა. ამას ახლად მიხვდა მოგზაური, თუმცა მიხვდა დაკვირვების შედეგად, როცა სიყმაწვილის ეს კონკრეტული ეპიზოდი თვალწინ გადაეშალა და ყველაფერს ხელმეორედ შეეჯახა.

მოგზაურმა გადაავლო თვალი ვარდისფერ ბურუსში ჩაძირულ საკუთარ წარსულს, კიდევ ერთხელ განიცადა იმ წვიმიანი აპრილის, ანუ პარასკევ საღამოს ბოჰემური ვნება და ძალიან მკაფიოდ შეამჩნია, რომ მის ვარდისფრად დაბურულ წარსულში, ეს პარასკევი საღამო შავ ლაქადასხმული ტივტივებდა. არა, ასეთი შინაარსის, თრობანარევი და სექსუალური თავგადასავლებით შელამაზებული საღამოები სხვაც მრავლად ჰქონია, მაგრამ იმ ვარდისფერ ბურუსში შავლაქადასმულად, მაინც და მაინც, ის საღამო ტივტივებდა, სიყმაწვილიდან გახსენებული, წვიმიანი აპრილის პარასკევი საღამო. აპრილი და პარასკევი ბევრია, მაგრამ აღდგომისწინა, წითელ პარასკევს სულ სხვა დატვირთვა გააჩნია. თუ გწამს, მაშინ იმ გზასაც სიღრმისეულად უნდა მისდიო, თუ არა და, ურწმუნო ხარ, მორჩა და გათავდა. მოკლედ, ან იქით უნდა იყო, ან აქეთ, ან უნდა

გწამდეს, ან არა, სადღაც შუაში ყოფნა, რომ ვითომ გწამს, მაგრამ ისე არა, ეს უკვე თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი.

უცქერდა მოგზაური ვარდისფერ წარსულში მოტივტივე, თავისი განვლილი ცხვრების შავ ლაქას და გული სინანულით ევსებოდა. რაღა, მაინც და მაინც აღდგომის წინა, წითელ პარასკევს მოუნდათ საკუთარ ბოჰემურ ცხოვრებაში კიდევ ერთი, ცოდვანარევი ფურცელი ჩაეწერათ? რაღა იმ მძიმე დღეს, როდესაც ადამიანები ყველანაირ ცოდვებს ერიდებიან და ცდილობენ, იმ ერთ დღეს მაინც უარი თქვან ყველანაირ ამქვეყნიურ ცდუნებაზე?

მარხვით არასდროს უმარხულია მოგზაურს, მაგრამ, როდის, რა უნდა ეკეთებინა, ამდენი მაინც ესმოდა ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, აქამდე, ასე ეგონა, ახლა კი დარწმუნდა, რომ ესეც არ სცოდნია, თორემ ასეთ სისულელეს, ნამდვილად არ ჩაიდენდა. ეს ერთი დღე რაღა იყო, წითელ პარასკევს მაინც ხომ შეეძლო, თავი შეეკავებინა და ცოდვანი მისნი, თუნდაც ერთი დღით გადაედო? რა თქმა უნდა, შეეძლო და არაფერიც არ დაშავდებოდა, მაგრამ, როცა ადამიანის გულში სიყმაწვილის თავქარიანი ვნებები ბობოქრობს, მისთვის უკვე ყველაფერი მარტივზე მარტივია და წინააღმდეგობაც აღარ არსებობს. ახლა კი ნანობდა მოგზაური, ნანობდა სიყმაწვილის არასერიოზული ლაქებით აღდგომისწინა, წითელი პარასკევის შებღალვას და გული უკვდებოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ უკვე გვიანი იყო და წახდენილ წარსულს ვერანაირი ლამაზი ფერებით ვეღარ შეაღამაზებდა. გამოუსწორებელი ცოდვით დამდადასმულმა მოგზაურმა მოსვენება დაკარგა და ის უკვე სინანულით უცქერდა საკუთარ თავს გვერდიდან. თითქოს მისი სხეული ჩამოდნა, გაყვითლდა, გაიხრწნა და ჩონჩხად იქცა.

სიყმაწვილის, ანუ პიროვნების გახრწნის პროცესი უკვე დაწყებულიყო, მაგრამ მოგზაური უძლური იყო, ვეღარაფერს შეცვლიდა და მხოლოდ მაყურებლის ფუნქციას უნდა დასჯერებოდა... იმ მაყურებლისას, რომელიც საკუთარი თავის გახრწნას გვერდიდან უცქერდა.

არადა, იმ ცოდვილ, წითელ პარასკევს, რა უღმერთოდ ატრიალეს სიწმინდისა და პატიოსნების სადღეგრძელოები. ერთმანეთს ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს მათზე წმინდა და სპეტაკი ადამიანი ამ

სამყაროში ჯერ არ დაბადებულა. ყველაზე ამაზრზენად, მაინც ის მოეჩვენა მოგზაურს, იგივე შემადგენლობამ, წითელი პარასკევიდან მესამე დღეს, ანუ აღდგომა დღეს, დიდი ნეტარებით რომ ამტვრია წითელი კვერცხები და ყალბი აღტყინებით რომ ულოცეს ერთმანეთს, მაცხოვრის, იესო ქრისტეს აღდგომა.

მიხვდა მოგზაური, რომ ეს უკვე, არა რწმენა, არამედ თამაში იყო, გულისამრევი და მოდადქცეული თამაში, მხოლოდ ფარისევლებს რომ შეუძლიათ, ისეთი.

კიდევ ერთხელ შესძულდა მოგზაურს საკუთარი თავი, ამჯერად უკვე სიყმაწვილის ერთ-ერთი ეპიზოდის გამო და კიდევ ერთხელ დაფიქრდა – ნუთუ, ეს მე ვარ? რატომ აქამდე არ ვფიქრობდი ამდენს და რატომ აქამდე არ ვუცქერდი საკუთარ თავს გვერდიდან? რატომ? რატომ? რატომ?

წუხდა მოგზაური და სიძულვილით ივსებოდა საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ არც გაემტყუნებოდა, რადგან ყველა ადამიანი ასე იქნებოდა, საკუთარი თავისთვის გვერდიდან, უფრო დაკვირვებული თვალით რომ შეეხედა. ახლა არავინ დაღოს თავი და არ აიჩემოს, თითქოს სხვაზე პატიოსანი და ღირსეული გზებით უვლია ოდესმე. გამორიცხებულია, ასეთი რამ არ არსებობს. ცოდვა ადამიანის მუდმივი თანმდევი და იმიტომ. არ გჯერათ და გიკვირთ მოგზაურის? შეხედეთ თქვენს თავს გვერდიდან და გაკვირვება თქვენ მერე ნახეთ.

ვარდისფერი ბურუსი კი აგრძელებდა არემარის დაბურვას. ყმაწვილური წარსულით გულნატკენი მოგზაური მარტო იჯდა ხის გრძელ სკამზე და გონება ვარდისფერი ბურუსით შენისვლოდა... საკუთარ თავს ელაპარაკებოდა მოგზაური. აბა, ვიდაცისთვის მაინც ხომ უნდა გაეზიარებინა გულის ნადები?

- ახლა რას იტყვი? – ჰკითხა საკუთარ თავს.
- რა გინდა, რომ ვთქვა? – იყო პასუხი, მაგრამ ეს უფრო შეკითხვაზე შეკითხვა იყო.
- აღიარე, რომ საჯოჯოხეთოდ გამზადებული მასალა ხარ.
- მარტო მე არა, შენც, ჩვენ ორივე ხომ ერთნი ვართ?

- დიას, მეც და შენც. ახლა შენ ეს მითხარი, ნუთუ, არ შეგეძლო, წარსულის ასეთი გახრწნისგან თავი გადაგერჩინა?
- ასეთი ცოდვანი სხვებსაც ჩაუდენიათ და მე მარტო არ ვარ.
- სხვებს ასეთი კი არა, ამაზე უარესი ცოდვებიც ჩაუდენიათ, მაგრამ ეს შენთვის რა შედეგათია? რას გიმსუბუქებს, ცოდვებს?
- ცოდვებს არა, მაგრამ სხვა რამეს მიმსუბუქებს.
- მაინც რას?
- გულზე ლოდს.
- ჯოჯოხეთში მაგაზე უარესი ლოდი გელის, ისეთი მძიმე, რომ დღევანდელი ლოდი, კენჭად მოგეჩვენება.
- ვიცი!
- მერე, მაგდენს თუ ხედები, მაშინ, ერთი და იმავე ადგილას, რატომ იმტვრევ ცხვირ-პირს და რაღაზე სცოდავ?
- ძალიან ძნელია უცოდველი გზით სიარული, თითქმის წარმოუდგენელია.
- ბევრს უცხოვრია წმინდა ცხოვრებით და შენ რა გჭირს?
- ბევრს მეცნიერებაში, სპორტში ან მუსიკაშიც უთქვამს ახალი სიტყვა და რა ვქნათ ახლა, ყველა სახელოვანი მეცნიერი, სპორტსმენი ან მუსიკოსი ხომ არ გამოვა? ისევე, როგორც, ყველა ადამიანი წმინდანი ვერ გახდება და ყველას ერთ ყალიბში ვერ ჩაატევ.
- და შენ, ვინ ხარ?
- მე არ ვიცი, ვინ ვარ, მაგრამ, მე შემძლია ვთქვა, ვინ არ მინდა, რომ ვიყო.
- მითხარი, რატომ გაჩერდი, ვინ არ გინდა, რომ იყო?
- ფარისეველი.
- არ გინდა ფარისეველი იყო, მაგრამ შენც ისეთივე ფარისეველი ხარ, როგორც შენგან სამართლიანად მოძულებული ადამიანები.



- ვიცი, ახლა უკვე ვხედავ, რომ ხანდახან მეც საზიზღარ არსებად გამოვიყურები ხოლმე.
- ხანდახან კი არა, ხშირად.
- კარგი, ეგრე იყოს.
- ბავშვობაში, იმ შესაწირი ყუთისთვის განკუთვნილი თანხა, მაინც რამ მიგათვისებინათ? ბავშვები კი იყავით, მაგრამ, მაინც არა მგონია, გაცნობიერებული არ გქონოდათ, რა სისულელეს სჩადიოდით.
- ეგ ჩემი იდეა სულაც არ იყო.
- იდეა შენი არ იყო, მაგრამ შესრულებაში ხომ მაინც მიიღე მონაწილეობა?
- განა სხვებს არ ჩაუდენიათ მსგავსი ან მაგაზე უარესი უმსგავსობანი? ჩაუდენიათ, როგორ არა. და საერთოდ, დარწმუნებული ვარ, ერთი სიწმინდის შერყვნისთვის სახრჩობელაზე ჩემს აყვანას, სწორედ ის მოაწერს პირველი ხელს, ვისაც მთელი თავისი ცხოვრება უამრავი სიწმინდის შერყვნაში გაუტარებია, ბავშვური გულუბრყვილობით მითვისებულ რაღაც გროშებს, ის არ მაპატიებს, ვისაც მთელი ცხოვრება, პატიოსანი ხალხის კისრიდან ამოდებული მსხვილი კუპიურები უთქვლევია და ყველაზე დამაჯერებლად მორალსაც სწორედ ის ნაძირალა წამიკითხავს, ვისაც მთელი თავისი განვლილი ცხოვრება ამორალური გზებით უვლია.
- მესმის შენი.
- ჰოდა, ამიტომაც გითხარი, ფარისეველი არ მინდა ვიყო – მეტქი, ფარისეველი, რომელიც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, ანუ სხვათა მოსახვენებლად ლაპარაკობს და აკეთებს იმას, რაც მისი გულიდან კი არ ამოდის, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში აწყობს. დიას, აწყობს და იმიტომ ლაპარაკობს ასე, აწყობს და იმიტომ იქცევა ასე, აწყობს, აწყობს, აწყობს, და ყოველივე ამას აკეთებს არა გულუბრყვილობით, არამედ შეგნებულად.
- მაგაშიც გეთანხმები, ჩვენ ხომ ერთნი ვართ და იმიტომ.

- შენც თუ არ დამეთანხმე, აბა, სხვა, ვისი იმედი უნდა მქონდეს?
- იცოდე, სხვისი იმედი ნაკლებად უნდა გქონდეს. ის კი არა, არასოდეს არ უნდა გქონდეს.
- აღარც მაქვს.
- ხომ გქონდა?
- ადრე მქონდა, მაგრამ ახლა უკვე აღარ მაქვს.
- ცხოვრებამ ჭკუა გასწავლა?
- ცხოვრებამ მასწავლა, რომ ადამიანები მხოლოდ მაშინ გიღიმიან და თავს გეველებიან, როცა შენგან რამეს მოეღიან, სხვა ყველა შემთხვევაში მათთვის არაფერს წარმოადგენ და ზედმეტი ტვირთი ხარ.
- განა შენც ასე არ ხარ? განა შენც მხოლოდ მაშინ არ უღიმი ადამიანებს, როცა გჭირდება?
- სხვებიც ასე არ არიან?
- შენ სხვებს რას უყურებ?
- გაჩერდი!
- ჰო, კარგი, გააგრძელე და ნუ გწყინს, ჩვენ ორივე ხომ ერთნი ვართ?
- დიას, ერთნი ვართ. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, მაღაზიაში ხომ შესულხარ, დიდ, მდიდრულ და თანამედროვე მაღაზიაში? ალბათ შესულხარ და დაკვირვებიხარ, გოგონები რომ ტრიალებენ, მაღაზიის მომსახურე პერსონალზე გეუბნები, მენეჯერებს თუ რაღაც ასეთებს რომ ეძახიან. აბა, დააკვირდი, ეგ გამენეჯერებული გოგონები, გიღიმიან და თავს გეველებიან მანამ, სანამ დარწმუნებულები არიან, რომ მათი კლიენტი ხარ, ხოლო, როდესაც შეატყობენ, რომ არაფრის ყიდვას არ აპირებ და უბრალოდ, მაღაზიის დასათვალიერებლად ხარ შესული, მათი ფართო ღიმილიც, უცებ, ცივი გამომეტყველებით იცვლება და ისინიც ზურგს გაქცევენ. მერე დგახარ და სულ ტყუილ-უბრალოდ გიკვირს, ნეტავ, სად გაქრა ამ გამენეჯერებული გოგონების ფართო ღიმილი და ყურადღებიანი მოპყრობა?

- მართლა საინტერესოა, სად გაქრა?
- არსადაც არ გაქრა.
- აბა, გაქრაო?
- რაც არ ყოფილა, როგორ გაქრებოდა? ღიმილი და ყურადღება არ გამქრალა იმ მიზეზით, რომ ის საერთოდ არ ყოფილა, და რაც იყო, ის მოჩვენებითი ღიმილი და ყურადღება იყო, ფარისევლობაც ხომ სწორედ ეგ არის, როცა რამეს მოჩვენებით აკეთებ და ამბობ.
- ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, შეხედე, მოგზაურო, ვარდისფერი ბურუსი ნელ-ნელა მწვანდება და ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს?
- მარტო მაგის გარკვევალა დაგრჩა და სხვა ყველაფერს ხომ ჩასწვდი? – გაეცინა მოგზაურს.

გაეცინა, მერე დადუმდა და სიმწვანემ თვალთ დაუბნელა. ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. კარგა ხანს გაქვავებული იჯდა ხის გრძელ სკამზე, ვიდრე მხარზე ბიძგი არ იგრძნო. შეერთა მოგზაური, გამოფხიზლდა, გონს მოეგო და უკვე სმენაც დაუბრუნდა.

- ნახე, თურმე, სად ყოფილხარ, მე კიდევ, სად აღარ გეძებდი. – გაიგონა მოგზაურმა ბიჭუნას ხმა, რომელიც მის გვერდით წამოსკუპებულყო.
- მოხვედი? – იკითხა მოგზაურმა.
- სად დაიკარგე, ადამიანო, ან კრებიდან ასე აღრე, რატომ წამოხვედი? – უსაყვედურა ბიჭუნამ.
- შემრცხვა, თავი სად წამელო არ ვიცოდი და ამიტომაც გამოვედი ასე აღრე.
- სასირცხვილო რა იყო? - განგებ გაოცდა ბიჭუნა.
- სასირცხვილო რა იყო და, შენ გვერდში ყოფნა იყო სასირცხვილო. თან მშობლადაც რომ გამასაღე. ასეთი გადარეული და უნიჭო, რამ დაგბადა? – ბრაზობდა მოგზაური.
- და რას მირჩევ?

- წიგნი გადაშალე, იმეცადინე და ნურავის საქილიკო ნუ გახდები.

- მოგზაურო, შენ ერთი რამ ხომ არ გავიწყდება?

- რა მავიწყდება? – გაოცდა მოგზაური.

- მე და შენ ერთნი ვართ, მე წარსული, რომელსაც ვეღარასოდეს ვეღარ შევცვლით, შენ კი მომავალი, აწმყო და მომავალი, ხოლო თუ პიროვნების შეცვლაა, შენ უნდა შეიცვალო, და არა მე... მე ჩემი მისია უკვე შევასრულე, ვიბავშვე, ვიცვლქე, ვიცანცარე, ვიხტუნავე და შენამდე გაზრდილი სახით მოვედი. ახლა უკვე შენ უნდა გააგრძელო ცხოვრება, ოღონდ არა ისე, როგორც აქამდე მე მიცხოვრია, არამედ ისე, აქედან გასვლის შემდეგ, შენი სინდისი რომ გიკარნახებს.

- აქედან, საიდან? – გაუკვირდა მოგზაურს.

- შენ ხომ არ დაგავიწყდა, ზღვის ქვეშ ჩატანებულ და უკვე უკან მოტოვებულ სამყაროში რომ იმყოფები?

- ვერა, მაინც ვერ ვხვდები, სად ვიმყოფები?! – გაოცებით აღმოხდა მოგზაურს.

- რა მიუხვედრელი ხარ, ნეტავი, იცოდე. თუმცა, ახლა მაგის გარკვევის დრო არ გვაქვს. წამოდი, თორემ შეხვედრაზე დაგაგვიანდება. – ფეხზე წამოდგა ბიჭუნა.

- რა შეხვედრაზე?

- ამას თავად ნახავ. ახლა ბევრს ნუ მალაპარაკებ, თორემ კბილი ამტკივდა და შენი გულის ადგილი არ მაქვს.

ბიჭუნამ მარჯვენა, ქვედა ყბაზე საჩვენებელი თითი მიიღო და თითქოს ნერვს აყუჩებო, თვალები მინაბა.

- თუ კბილი გტკივა, შენ ახლა აქ კი არ უნდა იჯდე, ექიმთან უნდა მიდიოდე. წამოდი, წამოგყვები და ერთად წავიდეთ ექიმთან... წამოდი, წამოდიიიიიიიიი. – კატეგორიული იყო მოგზაური..

- თავი დამანებე. – გაჯიუტდა ბიჭუნა.

- წამოდი ექიმთან.

- არა!

- წამოდი – მეთქი! – არ ეშვებოდა მოგზაური.

- არა, არა და არა, ხომ გითხარი, რომ არ წამოვალ, თავისით გამივლის.

უცქერდა მოგზაური გაჯიუტებულ ბიჭუნას, ანუ საკუთარ ბავშვობას და გული ეკუმშებოდა. სტკიოდა ბიჭუნას კბილი, მაგრამ მოგზაურს ექიმთან არ მიჰყვებოდა და ჯიუტად ამბობდა, თავისით გამივლისო.

- თავისით, შეიძლება, მართლა გაგიაროს, მაგრამ, მანამდე დაიტანჯები და სული ამოგხდება. – არ ეშვებოდა მოგზაური.

ბიჭუნა ისევ დაჯდა სკამზე. იჯდა ასე თვალდახუჭული და საჩვენებელი თითი ქვედა ყბაზე მიედო. კბილის ტკივილით იტანჯებოდა ბიჭუნა, მოგზაურს კი ბიჭუნას ტკივილი აწუხებდა და აღარ იცოდა, რა ეღონა და რითი ეშველა მისთვის?

ისხდნენ ხის გრძელ სკამზე ბიჭუნა და მოგზაური, ერთი კბილის ტკივილით გაწამებული, მეორე კი ბიჭუნას ტკივილით შეწუხებული. ფიქრობდა მოგზაური და ახლა კი მართლა, კიდევ ერთხელ შეეცოდა თავისი მშობლები, იმის გამო, რომ რამდენჯერ გაჯიუტებულა და რამდენჯერ გაუწამებია ისინი, ექიმთან წასვლის შიშის გამო. თითიდან სისხლის აღება იყო, ნემსის გაკეთება თუ კბილის ექიმთან წასვლა, ბავშვური სიჯიუტის გამო, მშობლები გაწამებული ჰყავდა ხოლმე მოგზაურს. ფეხბურთის ბურთიდან დაწყებული, ნამდვილი ციყვით ან მელით დამთავრებული, რას აღარ ჰპირდებოდნენ მოგზაურს მშობლები, ოღონდ ექიმისთვის ან თითიდან სისხლის აღების უფლება მიეცა, ან პირი გაეღო და ხელი არ შეეშალა. მაგრამ, არა და არა, ჯიუტი და მფრთხალი იყო ბავშვობაში მოგზაური, მოკვდებოდა და ექიმთან საკუთარი ნებით არ მივიდოდა, თუ ძალით არ წაათრევდნენ. მოკლედ, გაწამებული ჰყავდა ბავშვობაში მოგზაურს მშობლები. ახლა აქ, ამ ხის გრძელ სკამზე მჯდარი მოგზაური დაფიქრდა და კიდევ ერთხელ თანაგრძნობით განიმსჭვალა თავისი მშობლების მიმართ.

- თურმე, რამდენს იტანდნენ ჩემი მშობლები და ეს რა ნერვები ჰქონიათ მათ, მე რომ მიძლებდნენ?! – ფიქრობდა მოგზაური და გაჯიუტებულ ბიჭუნას ვერაფრით შეელოდა.

ასე, ტკივილსა და ხვეწნა-მუდარაში გავიდა რამდენიმე წუთი და: - წავედით! – თქვა ბიჭუნამ და კმაყოფილი სახით გაიღიმა.

- კბილი აღარ გტკივა? – გაეხარდა მოგზაურს.

- კბილი არც მტკიოდა. – უპასუხა ბიჭუნამ.

- აბა, რა გტკიოდა? კბილი მტკივაო, შენ არ ამბობდი? ნუთუ, აღარ გახსოვს, რამდენიმე წუთის წინ, რა მოკრუნხსული იყავი?!

- არაფერიც არ მტკიოდა, გესმის, არ მტკიოდა, არაააა.

- ესე იგი, მომატყუე?!

- დაახლოებით, ეგრე გამოდის. – კვლავ კმაყოფილი იყო ბიჭუნა.

- და რა საჭირო იყო ეგ სპექტაკლი? – განრისხება დაეტყო მოგზაურს.

- არ გეწყინოს და აქ არაფერი უბრალოდ არ ხდება. აქ ნებისმიერ მოვლენას გარკვეული დატვირთვა გააჩნია. ეს ტყუილიც საჭირო იყო, საჭიროოოო.

- მაინც რისთვის იყო საჭირო?

- ისეთი გაუგებარიც არ ხარ, რომ შენით ვერ მიხვდე.

- ნუ იცი, ეგეთი მწარე ლაპარაკი და ამიხსენი, რა საჭირო იყო, ეს სპექტაკლი? – ახლა უკვე ნამდვილად გაცხარდა მოგზაური.

- საცოდავი შენი მშობლები შენს ხელში, შენი ბავშვობის გადამკიდე, მეცოდებიან ისინი.

- ჩემი მშობლები, ანუ შენი მშობლებიც. ჩვენ ხომ ერთნი ვართ – მე და შენ.

- დიას, ჩვენი მშობლები.

- ჰო, კარგი, გეყო ახლა ტლიკინი, წამოდექი და თუ მივდივართ, წავიდეთ. – ფეხზე წამოდგა მოგზაური. ბიჭუნაც წამოდგა ფეხზე,

მოგზაურს ჩვეულად გაუღიმა და გაზაფხულის სურნელად დაღვრილ გზას გაუღვინა, გზას, რომელიც მზის გულზე გასათობად გაწოლილ ქვეწარმავალს მოგაგონებდათ. ქვადორდიანი გზა იყო, ნაბიჯის გადადგმისას ფეხქვეშ კენჭებისა და მოზრდილი ქვების ხრაშუნი რომ ისმის, ისეთი. ყვაოდა ბუნება და აყვავილებულ ხეებიდან ჩამოყრილ, სურნელოვან კვირტებს მოეფინათ ქვადორდიანი გზა.

ბიჭუნა და მოგზაური ქოშინით მიდიოდნენ გზაზე, რომელიც თანდათან მწვანე მთის მწვერვალზე აღიოდა.

- იქით, სრულიად განსხვავებული სამყაროა და მე ვეღარ გამოგყვები. – დაარღვია ღუმილი ბიჭუნამ.

მოგზაური ყველაფერს მოელოდა, მაგრამ, ასე უცებ რომ მოუწევდა ბიჭუნასთან განშორება, ამას ვერ წარმოიდგენდა.

- რა თქვი? – ჰკითხა მან ბიჭუნას.

- მთის მწვერვალამდე აგყვები, დაგანახვებ, სადაც უნდა ჩახვიდე და მეტს მე ვეღარ გამოგყვები.

- ესე იგი, მარტოს მტოვებ? – გული დასწყდა მოგზაურს.

- შენ ჩემგან მიტოვებული არასოდეს არ იქნები, ჩვენ ხომ ერთნი ვართ, მე და შენ, მე წარსული, შენ მომავალი.

- ვეღარასოდეს გნახავ?

- ასეთი სახით, ვეღარასოდეს. თუმცა, ნახვით კი მნახავ, ოღონდ ისეთი სახით და ისეთ მდგომარეობაში, რომ ჯობია, აღარ მნახო. მაგრამ ეგ შენზე არ იქნება დამოკიდებული და მოსახდენი მაინც მოხდება.

მოგზაური ვერც ამჯერად გაერკვა ბიჭუნას ლაპარაკში, მაგრამ ბიჭუნა, მაინც თავისას აგრძელებდა: - ვხედავ, რომ ვერ ხვდები, რასაც ვლაპარაკობ, მაგრამ ეგ არაფერია, მალე მიხვდები, როდესაც ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავ.

- ახლა რომ თქვა, არ შეიძლება? – გაოცდა მოგზაური.

- რატომ უნდა ვთქვა ის, რასაც შენ თავად იხილავ საკუთარი თვალით? წავედით ახლა, ამ მთის მწვერვალზე აგყვები და მერე შენით მოგიწევს გზის გავლა.

ამის შემდეგ, ბიჭუნა და მოგზაური ისევ აუყვნენ გაზაფხულის სურნელადღაღვრილ და ქვალორდიან გზას, მწვანე მთის მწვერვალისკენ რომ მიდიოდა. რადგან, ადამიანი ფიქრის გარეშე არ არსებობს, ისინიც ფიქრობდნენ, ერთი მხოლოდ წარსულზე, მეორე მომავალზე, რადგან ერთი წარსული იყო, მეორე – მომავალი, თუმცა ორივე ერთი იყო, ერთ ორგანიზმადშობილი, ერთი სისხლი და ხორცი.

აღმართი რომ გასრულდა და მწვანე მთის მწვერვალს მიაღწიეს, ცის უსასრულობაში გამოკრული მზე კიდევ უფრო უზარმაზარი გამოჩნდა. დაბლიდან რომ შეგეხედათ, მზის ფონზე მდგარი ბიჭუნა და მოგზაური მღებავებს ჰგავდნენ. გეგონებოდათ, ეს მწვერვალი კიბედ გამოუყენებიათ და გავარვარებულ მზეს, კიდევ უფრო ცეცხლოვან ფერებს უმატებნო.

თვალისმომჭრელი იყო მზე – უზარმაზარი და ცეცხლოვანი ენებით სავსე. და თქვენ გგონიათ, მარტო ოქროსფრად მოელვარე სხივებს ღვრიდა მზე? არა და არა, აბა, ის ფერადი გაზაფხული, დედამიწაზე რომ დაგოგმანობდა, საიდან იყო მოვლენილი? ისე უბრალოდ, ის არ გაჩენილა და მიწიდან თავისით არ ამოზრდილა. ყველა მცენარე, რაც დედამიწაზე საგაზაფხულო იერს ქმნიდა, სწორედ ამ ცეცხლოვანი მზის წყალობით აღმოცენებულიყო, თორემ თავისით, მზისგან დამოუკიდებლად, ვერც ერთი მცენარე ვერ შესძლებდა სინათლის ხილვას და დედამიწაზე საგაზაფხულო იერსახით შემობრძანებას.

იდგნენ მწვანე მთის მწვერვალზე მზეს გამოკერებული ბიჭუნა და მოგზაური, იდგნენ და მზეს ღებავდნენ... ცეცხლოვან ფერებს უმატებდნენ. ყოველ შემთხვევაში, დაბლიდან ასე ჩანდა და ადამიანებს ასეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ.

- ესეც ასე, უკვე ამოვედით. – კმაყოფილი იყო ბიჭუნა.

- ამის შემდეგ რა იქნება? – გაურკვეველობა მოსვენებას არ აძლევდა მოგზაურს.



- ჩაიხედე დაბლა და ცისფრად დაგრეხილ იმ მდინარეს ხომ ხედავ?
- ჰკითხა მოგზაურს ბიჭუნამ.
- ვხედავ! – იყო პასუხი.
- მანდ უნად ჩახვიდე, დანარჩენს თავად ნახავ. კარგად იყავი.

ბიჭუნას მეტი აღარაფერი უთქვამს, შებრუნდა და იმ გზიდან, საიდანაც ახლახან ამოვიდნენ, ისევ უკან, ისე სწრაფად დაიწყო დაშვება, რომ მოგზაურმა მასთან დამშვიდობებაც ვერ მოასწრო. ეს იყო ბიჭუნასა და მოგზაურის უკანასკნელი შეხვედრა ამ სახით. ორივემ იცოდა, ისინი მეტს ვეღარ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგან ერთი წარსული იყო, მეორე კი მომავალი, ხოლო ის წერტილი, რომელზეც მათი გზები გადაიკვეთა, უკვე გაფერმკრთალებასა და წაშლას იწყებდა. მოიწყინა მარტოდ დარჩენილმა მოგზაურმა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ვერას გახდებოდა და გზა უნდა გაეგრძელებინა. ასეც მოხდა, შებრუნდა მოგზაური და მან უკვე მწვერვალის მეორე მხრიდან გააგრძელა გზა. ბიჭუნა და მოგზაური მწვერვალიდან დაბლა ეშვებოდნენ, ოღონდ ერთი მწვერვალის ერთი მხრიდან, მეორე კი მეორე მხრიდან.

თავს გადახდენილით, გულნატკენი კი იყო, მაგრამ სულაც არ დადლილა მოგზაური ასე აღმა-დაღმა ხეტიალით, პირიქით, რაც ღრო გადიოდა და წინ მიიწევდა, უფრო მეტი ინტერესი უჩნდებოდა ამ მართლა უჩვეულო მოგზაურობის მიმართ. აბა, სხვაგან სად შეხვდებოდა ადამიანი საკუთარ წარსულს და სხვაგან სად შეხედავდა ადამიანი საკუთარ თავს გვერდიდან, თუ არა ამ საოცრებით აღსავსე სამყაროში? სამყაროში, სადაც ჯადოსნურმა წყლის დინებამ გამორიყა.

მწვერვალის მეორე მხარეც ქვალორდიანი, მტვერავარდნილი და გაზაფხულის სურნელებად დაღვრილი იყო. მდინარემდე ბევრი იფიქრა და იოცნება მოგზაურმა, რომელსაც ამ უჩვეულო მოგზაურობის მხოლოდ საკუთარი კარნახით წარმართვა სურდა, მაგრამ, რაც უფრო ღრმად შედიოდა ფიქრებში, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ აქ, ამ უცხო გარემოში, თვითონ არაფერს წყვეტდა და მისი სამოგზაურო მარშრუტი მასზე არავითარ შემთხვევაში არ იყო დამოკიდებული. საკუთარ წარსულში ჩარჩენილი ბევრი ადამიანის წამოტივტივება და მათთან შეხვედრა

სურდა მოგზაურს, მაგრამ განსაკუთრებით ერთი ადამიანის ხილვის სურვილი კლავდა, რომელიც, ვერ გაერკვია, მისთვის მხოლოდ აწმყო იყო (მაღე წარსულად რომ იქცევა), თუ აწმყოსთან ერთად მომავალიც? ოცნებობდა მოგზაური მასთან შეხვედრას და რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერს დათმობდა, ოღონდ აქ, ამ ჯადოსნურ სამყაროში, იმ ქალს შეხვედროდა.

ასე, ფიქრებში გართული მოგზაური მწვერვალიდან დაბლა ჩავიდა და მდინარის ერთ ნაპირს მიაღწა. ჯერ დაიხარა და პეშვით წყალი შეისხა სახეზე, ხოლო შემდეგ მდინარის ფსკერზე მოელვარე კენჭების მუჭით ამოღება და ისევ მდინარეში ჩაყრა დაიწყო. ერთობოდა მოგზაური, მეოცნებე ბავშვებმა რომ იციან ხოლმე, ისე. ამოიღებდა მუჭით პატარა კენჭებს, შემდეგ მუჭას გაშლიდა და კენჭების თვლას იწყებდა; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა. თვლას რომ მორჩებოდა, ერთი ხელის მოქნევით, კენჭებს ისევ მდინარეში ყრიდა და ახლა უკვე სხვა კენჭებს იღებდა მუჭით, დაითვლიდა და ისევ მდინარეში ისვრიდა. ასე ერთობოდა მოგზაური და სულაც არ უკვირდა, თუ რატომ იქცეოდა ამგვარად?! ზღვა ენატრებოდა მოგზაურს, ნამდვილი ზღვა, თავისი ზღვა, რომელიც მისი ცხოვრებიდან, ბავშვობასთან ერთად გაქრა. ამიტომ ზღვის სიყვარულსა თუ მონატრებას, ამ დაკლაკნილი მდინარის მოელვარე კენჭებით იკმაყოფილებდა მოგზაური. ზღვა და ზღვაში მცურავი ხომალდები უყვარდა და ენატრებოდა მოგზაურს. ასე, კენჭებით გართობასა თუ ზღვისგან გამოწვეული მონატრების გაქარვებას რომ მორჩა მოგზაური, ფეხზე წამოღება და მდინარის ნაპირს გაუყვა, დინების მიმართულებით მიდიოდა და ფიქრობდა, ნეტავ, ამ საოცარ სამყაროში ამჯერად ვინ იქნებოდა მისი მეგზური? ცოტა ნაბიჯს აუჩქარა, თან გვერდით, ლოდებზე და კენჭებზე არხეინად მოსრიალე მდინარეს უცქერდა მოგზაური და, აბა, თუ გავასწრებო, გაიფიქრა. რომ გაესწრო მდინარისთვის, კიდევ უფრო ჩქარა უნდა ევლო. აუჩქარა ნაბიჯს მოგზაურმა, კიდევ აუჩქარა, კიდევ, კიდევ, კიდევ და ახლა უკვე სირბილზე გადავიდა.

მირბოდა მოგზაური და მდინარისთვის გაესწრო ან არჩამორჩენოდა მაინც, ამას ლამობდა, მაგრამ ჩქარი იყო მდინარე, ჩქარი და მოურჯულებელი. მირბოდა მოგზაური, მირბოდა, მირბოდა, მირბოდა და ვინ იცის, სადამდე ირბენდა და გაჰყვებოდა მდინარეს, ვიდაცის ძახილი რომ არ გაეგო.

- სად გარბიხარ, სად? ერთი ეს ვიცოდე და მეტი არაფერი მინდა.

შეჩერდა მოგზაური, შებრუნდა იქით, საიდანაც ხმა მოესმა და, ჰოი, საოცრებავ, ეს ხომ როკო იყო. გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი.

- არა, მაინც სად გარბოდი? - არ ცხრებოდა როკო და თავშეუკავებლად ხარხარებდა, - მაშ, გარბოდი, არა? დინოზავრები ხომ არ მოგდევენ, დინოზავრები?

- მდინარეს მივდევი. - უპასუხა მოგზაურმა.

აქ როკო ცოტა ხნით შეჩერდა, მოგზაურს თვალებში ჩახედა და რომ დარწმუნდა, არ ხუმრობსო, ისევ გულიანი ხარხარი დაიწყო.

- რატომ მისდევი, რამე წაგართვა? - ჩაბუიღდა როკო.

- ფიქრი წამართვა. - უპასუხა მოგზაურმა.

- რაზე ფიქრობდი?

- ზღვაზე.

- ფიქრობდი ზღვაზე და მდინარემ ზღვაზე ფიქრები წაგართვა?

- დიახ, ვფიქრობდი ზღვაზე და მდინარემ ზღვაზე ფიქრები წამართვა.

- შენ სულ ზღვაზე უნდა ფიქრობდე? - ისევ ჩაბუიღდა როკო.

- მე სანამ ცოცხალი ვარ, სულ ზღვაზე ვიფიქრებ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ იმას ძალიან უყვარს ზღვა.

- ვინ, იმას? - გაოცდა როკო.

- რაც გითხარი, ეს იკმარე, მეტს არაფერს გეტყვი. - მოკლედ მოუჭრა მოგზაურმა და გაიცინა.

- ეგრე, რა, გაიცინე შენებურად, თორემ, შენ რომ შუბლშეკრულს გხედავ, რატომღაც ასე მგონია, რომ ცუდად ხარ და რაღაც გიჭირს.

- კარგი, ვეცდები, შუბლი აღარ შევკრა, ოღონდ, შენ ახლა ეს მითხარი, ეს ფერადი ჰალსტუხი რატომ გიკეთია, თეატრში ან ოპერაში ხომ არ მიდიხარ? – დაინტერესდა მოგზაური და როკოს ფარშავანგის კუდივით გადმოშლილი ჰალსტუხი შეუსწორა.

- დამაწინაურეს, გესმის, დამაწინაურეს. აბა, შენ კი არ გგავარ? ჰოდა, აწი, ჰალსტუხის გარეშე, ისე გამიჭირდება, როგორც შენ, მაგ შენი გადასაშენებელი კალმისა და ფურცლების გარეშე.

- მოსალოცად გქონია საქმე. – ტაში შემოჰკრა მოგზაურმა.

- მოსალოცად და აღსანიშნავად, ამიტომ, წავედით ახლა, მე და შენ ჩემი დაწინაურება უნდა აღვნიშნოთ. – კმაყოფილმა როკომ მოგზაურს ხელი მაჯაში ჩაავლო და თავის ნებაზე გააქროლა.

- მოიცა, კაცო, იქნებ, სულაც არ ვარ დაღვევის განწყობაზე? ახლა ნამდვილად არ მინდა დათრობა, გესმის, არ მინდააა. – გაიფართხალა მოგზაურმა, მაგრამ როკო მას ყურს არ უგდებდა და მაინც თავისკენ მიაქროლებდა. ისინი მდინარეზე უფრო სწრაფად მიქროდნენ. ისე, როგორც ზღაპრებში ხდება. გაასწრეს მდინარეს, გადაიარეს ფერდობები, გადაკვეთეს შარაგზები, გვერდი აუარეს რამდენიმე სოფელს და უძველეს ქალაქსაც მიაღწენ. ძალიან ლამაზი ქალაქი იყო, უძველესი და მათთვის მშობლიური. იქითა მხრიდან მიაღწენ ქალაქს, ხიდის ქვეშ, ოხვრითა და კვნესით, მოუთვინიერებელი მდინარე რომ მიედინება. ცოტა ხნით ხიდზე შეჩერდნენ, ამოისუნთქეს, დაისვენეს და ძალები აღიდგინეს. მართლა ძალიან ლამაზი იყო უძველესი ქალაქი ხიდიდან. ავ თვალს რომ არ ენახებოდა, ისეთი.

- ცოტა ხნითაც რომ გავიდე ჩემი მშობლიური ქალაქიდან, ისე მენატრება ხოლმე, რომ ლამის გავგიჟდე. – როკო ამას ამბობდა და სახელოთი ცრემლნარევ თვალებს იმშრალებდა.

გაუკვირდა მოგზაურს როკოს ასეთი ქცევა, რადგან ტირილი და ცრემლები (მით უმეტეს, მშობლიურ ქალაქზე) მისგან არასოდეს გაუგია და უნახავს. სულ სხვა ტიპის ადამიანი იყო როკო, ყოველ შემთხვევაში, მოგზაური მას ასე იცნობდა და ამიტომაც გაუკვირდა ეს გულჩვილი ცრემლები.

- რა გჭირს? – ნახევრად ირონიით იკითხა მოგზაურმა.

- რა უნდა მჭირდეს, მიყვარს ეს ქალაქი და ყველანი ვაღივლებული ვართ, რომ ერთად ვიზრუნოთ მასზე. – ძალიან ღამაში, მაგრამ, უკვე აშკარად გაცვეთილი ღოზუნგი ისროლა როკომ.

- აქამდე შენგან ასეთი რამ არ გამიგია, ჩვენს მშობლიურ ქალაქზე არასდროს აქვითინებულხარ და დღეს რა დაგემართა? – იცინოდა მოგზაური.

- შენ ყველაფრის გაბითურება ნუ გიყვარს. ეს ქალაქი ყველასია, ჩემიც, შენიც და, აი, იმ დაფეხვილი კაცისაც, გზაზე რომ მიდის. ჩვენ თუ არ ვიზრუნეთ ამ უძველეს ქალაქზე, აბა, სხვა ვინ იზრუნებს? მოვა მტერი, წაგვართმევ ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ აშენებულ ამ უძველეს ქალაქს, თავის მოდგმას გააპარპაშებს აქ და ჩვენ უცხო მიწაზე გასახიზნად გაგვწირავს.

- თუ ძმა ხარ, ასე რომ ქადაგებ, ერთი ეს მითხარი, სად დაგაწინაურეს და რა თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა? – იკითხა მოგზაურმა.

- მე უკვე ამ ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი ვარ. კარგი სამსახურია, ძალიან საინტერესო. ჩვენ ვზრუნავთ ამ ქალაქზე, რადგან ყველაფერი აქაური გვიყვარს. მე, პირადად, ამ ქალაქის მტვერიც მიყვარს, მიწაც, ტალახიც და ნაგავიც.

უცქერდა მოგზაური ღოზუნგებად დაღვრილ როკოს და უკვირდა, როგორ, ნუთუ, ეს ის როკო არ არის, მთვრალი თუ ფხიზელი ნაგვის ურნებს, წიხლებით რომ სდგებოდა ზედ და მშობლიური ქალაქის დაბინძურება, არაფრად რომ არ ადარდება? ნუთუ, ეს ის როკო არ არის, რომლისთვისაც ქუჩებში ნაგვის დაყრა და მიწისქვეშა გადასასვლელებში ან სკვერებში მოშარდვა, სირცხვილსა და უზნეობას რომ არ წარმოადგენდა? ნუთუ, ეს ის როკო არ არის, კინოთეატრებში და სხვა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სკამებსა და კედლებზე, ათას სიბინძურეს რომ ფხაჭნიდა? ნუთუ, ეს ის როკო არ არის, სტადიონზე და კიდევ სხვა ხალხმრავალ ადგილებში სკამებს რომ ამტვრევდა და ბოთლებს უმისამართოდ რომ ისროდა? ბოლოს და ბოლოს, ნუთუ, ეს ის როკო არ არის, წლობით საზღვარგარეთ რომ ცხოვრობდა და სხვებსაც რომ მოუწოდებდა, მაგ უაზრო ქვეყანაში წვალებას, ისევ უცხოეთში

ცხოვრება მირჩევნია, და საერთოდ, ჩემი სამშობლო ის არის, სადაც კარგად ვიგრძნობ თავსო?

დიახ, ეს ის როკო იყო, არც თუ ისე დიდი ხნის წინ თავქარიანი და ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი, დღეს უკვე დაბრძენებული პიროვნებასავით მოსაუბრე და რაც მთავარია, მშობლიური ქალაქის ზრუნვით დამაშვრალი ჩინოვნიკი. გაეღიმა მოგზაურს, მაგრამ ეს არ იყო სიამოვნებით გამოწვეული ღიმილი, ეს უფრო ის ღიმილი იყო, იმედგაცრუების ან გაურკვეველობის დროს რომ იბადება ხოლმე.

- ამ ქალაქის, თითქოს მტვერიც, მიწაც და ტალახიც რომ გყვარებია, ახლა მაგაზე არ შეგეკამათები, მაგრამ, მე რატომ მესვრი ამ ლოზუნგებს, რამე დამიშავებია?

- უნდა შეიცვალო, გესმის, უნდა შეიცვალო და ყველამ ერთად, გაერთიანებული ძალებით უნდა ვიზრუნოთ ამ ქალაქზე, თორემ მარტო მე და ჩემი გუნდი ვერას გავხდებით. ისე, მარტო შენი გაყიდული წიგნებით ცხოვრება არ ამოგივიდა ყელში? ხომ ხედავ, დღეს სხვა დროა, ეგ შენი ნაჯღაბნები არავის აინტერესებს და შენი შემოსავალიც ძალიან სასაცილოა. უფრო ჩაალია უნდა გახდე, ცხოვრებას წვენი უნდა გამოადინო და ის წვენი დილაობით, უზმოზე მიირთვა, თორემ სხვაგვარად წყურვილით მოკვდები.

- მერე, რას მთავაზობ? – დაინტერესდა მოგზაური.

- თუ შეიცვლები, ჭკუით იქნები და დამიჯერებ, ჩემთან აგიყვან სამსახურში. ძალიან კარგი შემოსავალი გექნება და მაგ შენს გამოშვებულ წიგნებს, სულ ფეხებზე დაიკიდებ. ვიცი, კარგ და საინტერესო საქმეში ჩართვაზე შენც ფიქრობ, მაგრამ ვერ ნახულობ ასეთ საქმეს, შენ არავინ არაფერს გთავაზობს, რადგან ყველასთვის უცხო ხარ და იმიტომ. შეიცვალე, გახდი ამ ქალაქის ერთგული შვილი, გარდაიქმენი ისეთ ადამიანად, როგორიც მე ვარ და გპირდები, სულ ჩემთან მეყოლები.

- მაშ, შევიცვალე და გარდავიქმნა, არა? – იკითხა მოგზაურმა და თავადვე გააგრძელა, - მე შესაცვლელი არაფერი მჭირს. აი, შენ კი მართლა შეცვლილხარ და ის როკო აღარ ხარ, როგორიც მახსოვხარ. გილოცავ, მეგობარო, ასეთ სასიკეთო ცვლილებას, თუძცა...

- რა თუმცა? – ჩასაფრებული ეცა როკო.
- მარტო თანამდებობის გამო არ უნდა იცვლებოდეს ადამიანი და მარტო თანამდებობის გამო არ უნდა ხდებოდეს საკუთარ ქალაქზე მზრუნველი.
- ამით რისი თქმა გინდა? – აშკარად ნირი წაუხდა როკოს.
- ამით იმის თქმა მინდა, რომ შენ ეს ქალაქი მხოლოდ მაშინ გიყვარს, როცა რამე დიდ თანამდებობაზე ხარ და ყველაფერი სასიკეთო, რაც აქ მოხდება, პირადად შენს წარმატებად ჩაგეთვლება... შენ გიყვარს, როცა შენ ხარ ყურადღების ცენტრში და როცა ამ ქალაქის აყვავების სულისჩამდგმელად შენ მოგიაზრებენ. მერე ამას დაუშვამოთ ძალიან დიდი მატერიალური დაინტერესება და შენ მთელი ქალაქის უგვირგვინო მეფე ხდები. მოკლედ, შენ ეს ქალაქი კი არ გიყვარს, შენ მხოლოდ საკუთარი თავი გიყვარს ამ ქალაქში, წარმატებული და მგზნებარე კარიერით გამორჩეული საკუთარი თავი.
- ნეტავი, ვიცოდე, რას მიედ-მოედები? – უკმაყოფილოდ გააქნია როკომ თავი.
- რასაც ვამბობ, შენთვის საწყენია, მაგრამ აუცილებლად სათქმელი და გასათვალისწინებელი. – დაასკვნა მოგზაურმა.
- შენ მარტო სხვაზე ქილიკი რომ გეხერხება, რატომ საკუთარ თავს არ უყურებ? – წამოენთო როკო.
- ამ ქალაქთან მიმართებაში, ზოგიერთებისგან განსხვავებით, მე შესაცვლელი არაფერი მჭირს.
- ამპარტავანიც გამხდარხარ, ამპარტავანი. ისე, შესაცვლელი, ვითომ, რატომ არ გჭირს არაფერი? – დონიჯი შემოიკრა როკომ.
- იმიტომ არ მჭირს, რომ მე არასდროს, ამ ქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელები, სკვერები და კედლები საკუთარი შარდით არ წამბილწავს, არასდროს ნაგვის ურნებზე წიხლებით არ შევმდგარვარ, არასდროს სტადიონზე თუ სხვადასხვა თავშეყრის ადგილებში სკამები არ მიმტვრევია და ბოთლები არ მისვრია. მოკლედ, ჩემი ქალაქი არასდროს არ დამბინძურებია და არც მისი სახელი შემირცხვენია, არც წლობით გადავხვეწილვარ აქედან და

სახალხოდ არ მითქვამს, რომ ჩემი სამშობლო ის არის, სადაც მე ვიგრძნობ კარგად თავსო. მიყვარს ჩემი ქალაქი, კანონმორჩილი ადამიანი ვარ და იმიტომ. ასე რომ, ამ ქალაქთან მიმართებაში, შესაცვლელი მე არაფერი მჭირს და თუ შეცვლაა, შეიცვალოს ის, ვისაც ჩვენი უძველესი ქალაქის წაბილწვაში, პატარა წვლილი მაინც მიუძღვის.

- თუ ეს ქალაქი არ წაგიბილწავს, მერე რა მოხდა? არც მე წამიბილწავს და მეც ისეთივე კანონმორჩილი ცხოვრებით მიცხოვრია, როგორც შენ. ამიტომაც დამაყენეს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. – აშკარად ცრუობდა როკო და სულაც არ სცხვენოდა, რომ იმ ადამიანთან ლაპარაკობდა საკუთარ, გამოგონილ ღირსებებზე, რომელმაც მისი ფუქსავატური წარსული ხუთი თითივით იცოდა.

- როკო, ერთ რაღაცას გკითხავ და მიპასუხე.

- გისმენ!

- რაც ახლა შენ საკუთარ პატიოსნებაზე და კანონმორჩილებაზე ილაპარაკე, შეგიძლია, იგივე გაიმეორო, ოღონდ თვალებში მიცქირო?

- რა თქმა უნდა, შემიძლია. – იყო როკოს პასუხი.

- მაშინ, უკვე აღარ მიკვირს შენი კარიერული აღმასვლა. – გულდაწყვეტილი იყო მოგზაური.

- სისულელეებს ნუ ჩმახავ და საერთოდ, ნუ გგონია, შენი მეშინოდეს. – განრისხებით დუჟი მოადგა როკოს.

- შენ ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი ხარ, რომელიც საკუთარი წარსულიდან შემორჩენილ ბინძურ ხვეულებს ალამაზებს და ასპეტაკებს ისე, როგორც თავად აწყობს. შეცვლით კი, ჩემო როკო, შენ შეცვლილხარ, მაგრამ ეს არ არის ის შეცვლა, ადამიანს რომ აკეთილშობილებს, ეს მხოლოდ ის ცვლილებაა, ადამიანის ინტერესებს რომ სჭირდება, მხოლოდ კარიერული წინსვლისთვის და მეტი არაფერი. დღეს შენი საქმე ასეა: მოგკიდა ვიღაც გავლენიანმა ახლობელმა ხელი, დაუმსახურებლად დაგდო ბევრისთვის სანეტარო ადგილზე, ანუ თანამდებობაზე და შენც საკუთარი ფუქსავატური წარსული უმაღ დაივიწყე და მართლა დაიჯერე, რომ ზეკაცი ყოფილხარ. – არ ცხრებოდა მოგზაური.



არა, ხელის გარტყმამდე საქმე არ მისულა, თუმცა, არც ბევრი დააკლდა. იკამათეს, ბოლი გამოუშვეს, ერთმანეთს ნერვები მოუშალეს და არც ერთს აღარ გახსენებია, ერთ-ორი ჭიქის დასალევად რომ მიდიოდნენ. უკმაყოფილო იყო როკო, რომ ამ ქალაქში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც მისი ფუქსავატური წარსული ზედმიწევნით ახსოვდა და რომელსაც განდიდების მანიით შეპყრობილი ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი ფერადი ზღაპრებით ვერ მოთაფლავდა. იცოდა მოგზაურმა, უკვე გადიდკაცებული როკოს წარსული და ამიტომაც არ სჯეროდა მისი წყალწყალა ლოზუნგების.

როკოსაც, ბუნებრივია, აღარ აწყობდა მოგზაურივით, მისი წარსულის კარგად მცოდნე ადამიანი, აღარ აწყობდა იმიტომ, რომ მასთან მითებს ვერ შეთხზავდა, ვერ იპატიოსნებდა და საკუთარ თავს რაინდად ვერ წარმოაჩენდა. დღეს უკვე როკოს ისეთი ადამიანები და გარმოცვა სჭირდებოდა, რომლებმაც მისი წარსულის შავბნელი ხვეულების შესახებ არაფერი იცოდნენ, ან იცოდნენ, მაგრამ გადიდკაცებულ როკოს ყველაფერზე, მაინც მორჩილად დაუწყებდნენ კუდის ქიცინს. მოგზაური კი ასეთი კატეგორიის ადამიანი არ იყო. მას არავისთან და, მით უმეტეს, მახინჯი დროის მიერ გადიდკაცებულ ადამიანთან კუდის ქიცინი და მლიქვნელობა არ ახასიათებდა.

მოკლედ, ძალიან კარგად იცნობდნენ ერთმანეთს როკო და მოგზაური, იმდენად კარგად, რომ მათგან უფროსი და ხელქვეითი არაფრისდიდებით არ გამოითლებოდა. მიზეზი ძალიან მარტივი იყო: უფროსი ხელქვეითს ვერ მოატყუებდა, საკუთარ თავს უპატიოსნეს ადამიანად ვერ მოაჩვენებდა, მითებს ვერ შეთხზავდა და ლამაზი ზღაპრებით ვერ გააბრუებდა, ვერა.

ისინი უნდა გასცლოდნენ ერთმანეთს და გაეცალნენ კიდევ.

- შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვანა. არადა, მინდოდა, შენთვის ცხოვრებაში ხელი წამეკრა და კარიერისთვის პატარა ბიძგი მომეცა, მაგრამ შენ ისევ შენებურად უბერავ. – ხელი ჩაიქნია უკმაყოფილო როკომ.

- მერე, მიდი და მომეცი კარიერული ბიძგი, რა გიშლის ხელს, ჩემი გულახდილობა? – გაეღიმა მოგზაურს.

- არ ხარ ღირსი!
- შენს, ვითომ სისპეტაკესა და კანონმორჩილებას რომ არ ვიჯერებ, იმიტომ?
- დიდი სიამოვნებით მიგბეგავდი. – ტუჩები დაებერა როკოს.
- მაგის უფლებას გაძლევ, ოღონდ თუ შეძლებ. – გაეცინა მოგზაურს.
- მოგკლავ! – მუშტები შემართა როკომ.
- ოოო, მაგის უფლებას კი ნამდვილად ვერ მოგცემ, ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ შენგან განსხვავებით, მე ამ ქვეყანას ვჭირდები... ვჭირდები და გამოვადგები. – ძალიან მშვიდი იყო მოგზაური.
- რა, ამ ქვეყანას მე არ ვჭირდები? – დაინტერესდა როკო.
- შენ მხოლოდ შენს საახლობლოს სჭირდები. – გულახდილი იყო მოგზაური.
- შენთან ლაყობას აზრი არ აქვს და მე წავედი. – ჰალსტუხი შეისწორა და თმაზე ხელი გადაისვა როკომ.
- წადი, წმინდანო, წადი, ჩემისთანა უხეირო მწერალთან, ცოდვილთან და რეგვენთან შენ რა გესაქმება. შენ უკვე დიდი კაცი ხარ, წარმატებული და რაც მთავარია, მაღალშემოსავლიანი, მე კი ვინ ვარ შენთან? არც არავინ, ვიღაც მწერალი, რომელიც რაღაცებს ჯღაბნის და ამით ცდილობს თავის გატანას. მართალი ხარ შენ, ამ ქვეყანაში მწერლები არავის აინტერესებს. მაგრამ, რატომ არ აინტერესებს ეს თუ იცი? არ იცი და მე გეტყვი: უვიცები სჭარბობენ ყველგან და ყველაფერში და ამიტომაც არ აინტერესებს არავის მწერლობა. მოდი, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, შენს ცხოვრებაში, სულ რამდენი წიგნი გაქვს წაკითხული? დარწმუნებული ვარ, არც ერთი. მაგრამ ამას, ამ მახინჯ ქვეყანაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და ამიტომაც მიგათრიეს დიდ თანამდებობამდე. და იცი, რატომ მიგათრიეს მაგ თანამდებობამდე? ჯერ ერთი, ვიღაც გავლენიანი ახლობელი გამოგიჩნდა და მეორეც, შენ ვინც მანდ დაგსვა, მას განვითარებული და მცოდნე კაცი არ სჭირდება, რადგან განვითარებულსა და მცოდნეს საკუთარი აზრი გააჩნია და შეიძლება, ნებისმიერ უმსგავსობაზე შეკითხვები დაებადოს, ასეთი ჩინოვნიკები კი

ზემდგომ ორგანოებს არ სჭირდებათ. მათ მხოლოდ გლუვი ტვინის პატრონი უვიცები აწყობთ, ისეთები, რომელთაც ერთი მათლაფა სალაფავის გამო ყველაფერს დაავიწყებენ და ყველაფერზე ხელს მოაწერინებენ. შენ კი, მისწრება ხარ მათთვის, თორემ ჩემისთანა კაცი, რომელიც წერს და ძალიან ბევრ კითხვებს სვამს, ვის რაში სჭირდება? არც არავის სჭირდება და ჯერჯერობით, ამიტომაც ვარ მხოლოდ ჩემი წიგნების იმედზე. შენ? შენ მაინც სხვა ხარ და ხედავ, როგორ შეგილამაზეს ეგ შენი მახინჯი წარსული, რომ უკვე ჰალსტუხი ჩამოგიკიდა კისერზე და ჩვენი ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნავ. არადა, ჩემი ნება რომ იყოს, ქალაქს კი არა, ამ ქალაქში ხის ტუალეტს არ ჩაგაბარებდი, ვიცი, იმასაც მოშლი და იმიტომ. ახლა კი, თურმე ჩემი მწერლობა არ მოგწონს და გსურს, გზაზე დამაყენო. დიდი მადლობა, არ მინდა, შენ შენთვის, მე ჩემთვის. ასე აჯობებს.

როგორც ვხედავთ, დიდი ამბით შეხვედრილები უკმაყოფილო სახეებით და ლანძღვა-გინებით დაშორდნენ ერთმანეთს. ხელის დარტყმამდე არ მისულან, მაგრამ ბევრიც არ დააკლდათ. დაშორდნენ ერთმანეთს და როგო ერთი მიმართულებით წავიდა, მოგზაური კი მეორით.

ხიდის დაბლა, ადიდებული მდინარე რომ მიედინებოდა, იმ მდინარის სიახლოვეს ჩავიდა მოგზაური და დიდ ლოდზე ჩამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა და საფეთქლები ეწვოდა. გაბრაზებული იყო მოგზაური და იცით, რატომ? აქ, ამ მახინჯ დროებაში, სიმართლის თქმას, გაბოროტებად რომ უთვლიდნენ, იმიტომ. ნაძირალათა აღზევებაზე თვალს დახუჭავ, ბრიყვად ჩავთვლიან და გადაგივლიან, სიმართლეს იტყვი და გაბოროტებულიაო, ასეთი ეპითეტით შეგამკობენ. ბრაზობდა მოგზაური, ისე ბრაზობდა, რომ თვალთ დაუბნელდა და მისი თვალსაწიერი თეთრმა ნისლმა დაფარა. აქაურს ვედარაფერს ხედავდა და ვედარაფერს გრძნობდა მოგზაური. ისევ წარსულის მორევმა ჩაითრია და დაახლოებით ათიოდე წლის წინანდელ პერიოდში დააბრუნა. უფრო ახალგაზრდა იყო მაშინ მოგზაური და მშობლიური ქალაქის ნაცნობ ქუჩას მიუყვებოდა. არა, მარტო არ იყო მოგზაური, მას მეგობრებიც თან ახლდნენ; ერთი, ორი, სამი, ოთხი... ოთხნი იყვნენ, ერთი მოგზაური და მისი სამი მეგობარი, აქედან ერთ-ერთი როგო იყო, დღეს რომ ქალაქის დიდი ჩინოვნიკი გამხდარა. მაშინ არაფერს წარმოადგენდა როგო, ის ქუჩის

ბიჭი იყო, ბიჭი, რომელიც სიმთვრალეშიც და სიფხიზლეშიც მიწისქვეშა გადასასვლელებსა თუ სახლების კედლებს საკუთარი შარდით ბილწავდა, ნაგვის ურნებს წიხლებით სდგებოდა, ქალაქს ანაგვიანებდა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სკამებს ამტვრევდა და ბოთლებს უმისამართოდ ისროდა. და რაც მთავარია, შიგადაშიგ, რაღაცის მოპარვა, ანუ მითვისებაც შეეძლო როგორც. როგორ? ძალიან მარტივად. მაგალითად, ასე:

მიდიან მშობლიური ქალაქის ნაცნობ ქუჩაზე მოგზაური და მისი სამი მეგობარი, აქედან ერთ-ერთი როგორც. ზამთარია, ცივა და თოვს, მოგზაურსა და მის გათოშილ მეგობრებს, ერთი სული აქვთ, სადმე შეაფარონ თავი, სითბოში დასხდნენ, ცოტა გონს მოვიდნენ და მერე მოიფიქრებენ, რა მოიმოქმედონ.

შევიდნენ ერთ-ერთ უახლოეს მაღაზიაში, ყიდვით არაფერი უყიდიათ, მხოლოდ შუშის დაორთქლილ კარებსა და ფანჯრებს აეკვრნენ შიგნიდან. გარეთ კი ცივი ზამთარი ბობოქრობდა.

- აჰა, გავთბით უკვე და ახლა რა ვქნათ? – ამბობს პირველი მეგობარი.

- დავიშალოთ და სახლებში წავიდეთ. – ამბობს მეორე და იცინის.

- ბიჭო, წუხელის შენ, კბილი ამოგიდეს თუ ტვინი? – ეკითხება როგორც.

მოგზაური არაფერს ამბობდა, იდგა დაორთქლილ ფანჯარასთან და თოვლით დამძიმებულ ქალაქს გასცქეროდა. ძალიან ღამაზი სანახავე იყო ქალაქი და მოგზაურსაც კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე. ან რატომ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო, როცა გვერდით როგორც ედგა, ჯერ არაფრისმთქმელი ადამიანი, მაგრამ მომავალში ამ უძველესი ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი. თუმცა, ეს ჯერ არავინ იცოდა, იცოდა მხოლოდ უზენაესმა, რომელიც განაგებს ყველას და ყველაფერს რაც ჩვენ გარშემო ხდება.

- შენ რას იტყვი, რა ვქნათ? – მიუბრუნდა კბილამოღებული მეგობარი მოგზაურს.

- ჰოოო, - გააგრძელა მოგზაურმა, - რახან დაშლა არ გვინდა, ცოტაც გავთბით და ტვინის უჯრედებიც მეტნაკლებად გალღვა,

შემოვდივარ წინადადებით, როკოს მოვუსმინოთ, რომელსაც, როგორც მასსოვს, ერთი საინტერესო იდეა ჰქონდა.

- გისმენთ, რა იდეა გაქვს? – შემოუძახეს აქეთ-იქიდან როკოს.

- ავიღოთ რამე დასალევი და ავიდეთ შენთან, რადგან აქვე, ახლოს ცხოვრობ. – მიმართა როკომ პირველ მეგობარს.

- კი, ბატონო, ავიდეთ, ოღონდ, იცოდეთ, სახლში მარტო ვარ და საჭმლის ყიდვა მოგვიწევს, აბა, მარტო დასალევს ხომ არ დავლევთ?

- ფულიც ცოტა გვაქვს. – ამოიკვნესა მეორემ.

- საკმარისად გვაქვს და რამეს ვიყიდით. – იმედიანად იყო მოგზაური.

- მაშ, დავიძრათ! – თქვა როკომ და მაღაზიიდან პირველი გავიდა. გაჰყვნენ დანარჩენებიც, გადაკვეთეს ქუჩა და იმ სახლს მიადგნენ, სადაც უნდა შესულიყვნენ. მანამდე კი სახლის პირველ სართულზე მდებარე პატარა მაღაზიაში შევიდნენ. მაღაზიის ერთ კუთხეში პური იყიდეს, მეორე კუთხეში ღვინო, მოგზაური კი კარებთან შიგნიდან იდგა და გარეთ იცქირებოდა... ამ დროს მოგზაურს როკოს ხმა მოესმა უკნიდან: - ძმურად, კედელი გამიკეთე!

მიიხედა მოგზაურმა უკან და როკო დახლ-მაცივართან იდგა, ხორცის ნაჭრები რომ ყრია, იმ დახლ-მაცივართან.

- რა კედელი? – ვერ მიხვდა მოგზაური.

როკომ იგივე კიდევ გაიმეორა, ოღონდ ამჯერად უკვე ჩურჩულით და თვალებით ანიშნა, ჩუმად, არ დავიწვათო. ყველაფერი ნათელი იყო, სანამ მაღაზიის თანამშრომელი ქალი ზურგით იყო შებრუნებული, როკო დახლ-მაცივრიდან ხორცის ნაჭერსა და კიდევ რაღაცას იპარავდა. ამის შემხედვარე მოგზაური გაოცდა, გაქვავდა და გაყინულ კედელს დაემსგავსა. ასეთი რამ არც არავის დაუგეგმავს და არც არავის უცდია, როკოსთვის ხელი შეეშალა. მოგზაურიც იქ იყო და ნებსით თუ უნებლიედ კედლის როლში გამოვიდა. ვერ მიხვდა, ვერ გაერკვა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გვიან გაერკვა საქმის ვითარებაში და მერედა მიხვდა, რომ ამ ქურდბაცაცს მიერ განხორციელებულ საქმეში თანამონაწილე გახდა. გაოცებისგან პირი დაადლო მოგზაურმა. ყველანი უხამუროდ

გაიკრიფნენ მაღაზიიდან გარეთ, კიდევ ერთხელ გადათელეს, ისედაც მრავალჯერ გადატკეპნილი თოვლი და ფეხის ბაკუნით მეგობრის სახლის სადარბაზოსაც მიაღწენ. ავიდნენ სახლში, დაჭრეს ხორცი და კარტოფილთან ერთად შეწვეს. ყველი, პური, მჟავე, მწარე დააწყეს მაგიდაზე და ნორმალური სუფრაც გაიშალა. მაღაზიაში ნაყიდ ღვინოს, სახლში შემონახული ღვინოც მიამატეს და შეიძლება ითქვას, გაძღომამდე სვეს. უამრავი სადღეგრძელო დაილია. განსაკუთრებით პატიოსან და ღირსეულ ადამიანებს ადღეგრძელებდნენ. ერთმა ისიც იკადრა, დღეს პატიოსნება, როგორც არასდროს, ისეა დაჩაგრული და მას შველა უნდაო. სანამ ჩვენისთანა ვაჟკაცები კიდევ დადიან ამ ქვეყანაზე, დროა, უღირსებს სათანადო ადგილი მიუჩინოთ და პატიოსნება გადავარჩინოთ, თორემ ჩვენს მომავალ თაობებს, სირცხვილით, როგორ ჩავხედოთ თვალებშიო. როგორც ჩანს, უკვე მომავალ თაობებზე ფიქრობდა ის კაცი და წუხდა, ამ წაბილწულ ქვეყანას, როგორ ვუშველოთ? ყველაზე ბევრს ლაპარაკობდა ის კაცი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თამადა იყო, მეორეც იმიტომ, რომ მის ნაშოვნ ხორცს მიირთმევდნენ და მესამეც კიდევ იმიტომ, რომ ის კაცი ამ უძველესი ქალაქის მომავალი ხელმძღვანელი იყო, მაგრამ მაშინ ეს არავინ იცოდა. როგო ერქვა იმ კაცს, ვინც ყველაზე მეტად ილაშქრებდა უღირსთა წინააღმდეგ და ვინც ყველაზე მეტად აჩვენებდა სხვებს უპატიოსნეს ადამიანად თავს. ენას ძვალი არა აქვს და ბუნებრივია, რომ არც როკოს ენას ექნებოდა ძვალი, ამას ემატებოდა სინდისის ნაკლებობაც და შედეგად, იდგა ყალბი სიტყვების კორიანტელი.

გარეთ თოვლის ფიფქები ბარდნიდა, სახლში კი ყალბი სიტყვები.

- შენ რატომ არაფერს არ ჭამ? – მიმართა მასპინძელმა მოგზაურს.
- სამაგიეროდ ვსვამ. – იყო პასუხი.
- შენ, რაღაც ძალიან აფორიაქებული ჩანხარ და რა გჭირს? – უკვე კარგად შეზარხოშებულ როკოს, რაღაც არ მოეწონა მოგზაურში.
- რა ვიცი, აბა?! – უხასიეთოდ იყო მოგზაური.
- გადაიღე, ნახე, კარტოფილთან შემწვარი ხორცი, რა გემრიელია, ყველიც მიატანე, ეს მჟავე კიტრიც არ დამიტოვო, გადაიღე, გადაიღე... შემწვარ ღორის ხორცს მაგრად უხდება ღვინო. ჩვენ ხომ მწვადი გვიყვარს, ღვინო გვიყვარს, ყველა კარგ კაცს უყვარს

მწვადი და ღვინო. გესმის, რას გეუბნები? კაცს რომ მწვადი, ღვინო და ქეიფი ეყვარება, ის კაცი ცუდი არ იქნება. ამიტომ, ჩვენც კარგი კაცები ვართ, ალაღი, პატიოსანი, გემრიელი და სიყვარულის კაცები. – ამას ამბობდა როკო და მოგზაურს შემწვარი ხორცის ნაჭრებს უწყობდა თეფშზე.

კარტოფილში შემწვარი ღორის ხორცი, მართლა გემრიელი რამ იყო. ჯერ მარტო სუნი ჰქონდა ისეთი მადისაღმძვრელი, ვეგეტარიანელსაც რომ ჩააფიქრებდა და მერე შეაცდენდა.

- ჭამე, ჭამე, ჩემო ძმაო, კაცური კაცობით მოპოვებულ ლუკმაზე გემრიელი, ამ ქვეყანაზე არაფერია. – ისევ თავისას ამბობდა როკო და მოგზაურს ისევ ხორცის გემრიელ ნაჭრებს უწყობდა თეფშზე.

მთვრალი იყო როკო, ხორცი კი მოპარული და არა კაცური კაცობით მოპოვებული.

მაგრამ, ისინი ასე თვლიდნენ, რომ სუფრასთან ვაჟკაცები ისხდნენ, კარგი კაცები, კაცური კაცობით მოპოვებული ლუკმის ფასი რომ იცოდნენ, ისეთები. ჭამდნენ, სვამდნენ და დროს ატარებდნენ. მოგზაურიც აჰყვა მეგობართა ნებას და კარტოფილთან ერთად შემწვარი ხორცის ჭამას შეუდგა, თან სმასაც მოუმატა და დათვრა მოგზაური, ისევე, როგორც მისი მეგობრები. შემწვარი ხორცი კი ძალიან გემრიელი იყო, რომელსაც ოთხივე მეგობარი გემრიელად მიირთმევდა და მათგან მხოლოდ მოგზაურს ახსოვდა, რომ მოპარულ ხორცს მიირთმევდნენ.

- მე მგონი, განწყობა, ცოტათი გამოგიკეთდა. - გახარებულმა როკომ მოგზაურს ღვინის ჭიქა შეუვსო.

- შენ მაგაზე ნუ დარდობ. ამ ქვეყანაზე ყველაფერი დროებითია და მათ შორის, ცუდი ან კარგი განწყობაც. – იღიმოდა უკვე კარგად შებუხებული მოგზაური.

- ვერ დაგეთანხმები, იმიტომ, რომ ყველაფერი არ არის დროებითი. – თავისი ჭიქა ხელში აიღო როკომ.

- კარგი, მაშინ მითხარი, რა არ არის დროებითი? – დაინტერესდა მოგზაური.

- კაცობა და ადამიანობა არ არის დროებითი. – ისე თქვა როკომ, რომ სახეზე ერთი ნაკვთი რაა, ისიც არ ასტოკებია.

ასეთ სიტუაციაში მყოფ მოგზაურს მწუხარება და სინანული არ უნდა დასტყობოდა, მაგრამ ეტყობოდა, რადგან ვერ თამაშობდა და არც უფიქრია თამაში. იჯდა თავჩადუნული და ხვდებოდა, რომ მისი ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯით, დანაშაულის თანამონაწილე გახდა. ამიტომ საკუთარ თავზე ბრაზობდა მოგზაური, ბრაზობდა, როგორც არასდროს. წასვლა მოინდომა და მძიმედ წამოდგა სუფრიდან. ერთი ხელით მაგიდას, მეორით კი სკამს დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

- რატომ დგები? – გაუკვირდა მასპინძელს.

- მე ახლა წავალ. – ამოდერდა მოგზაურმა.

- სად? – გაუკვირდა ყველას.

- ყვავილების მაღაზიაში. – იყო მოგზაურის პასუხი.

- ეგ, მე მგონი, დაგვცინის. ისე, დღეს, რაღაც ძალიან გაუგებრად იქცევი და სად მიდიხარ, მითხარი. – ფეხზე წამოდგა როკოც.

მოგზაური შებრუნდა და ბარბაცით კარისკენ წავიდა, მაგრამ, რომ არ წაქცეულიყო, ხელით კედელს ეყრდნობოდა.

- შენ არ გესმის, რასაც გეკითხები? – უკვე აშკარად მწყობრიდან გამოვიდა როკო.

ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ და საბრძოლველად შემართულ ლომებს დაემსგავსნენ.

- რა გინდა? – იკითხა მოგზაურმა.

- სად მიდიხარ – მეთქი, მერამდენედ უნდა გკითხო? – ქვედა ტუჩი მობრიცა როკომ.

- ყვავილების მაღაზიაში – მეთქი, მეც მერამდენედ უნდა გიპასუხო? – კედელს მიეყუდა მოგზაური.

- რა ყვავილების მაღაზიაში, შენ ხომ არ გაგიჟდი?

- ვარდები, თეთრი ვარდები... – სახე გაუბრწყინდა მოგზაურს.



გაოცებულმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს, მოგზაური კი თავისას აგრძელებდა: - თეთრი ვარდები მინდა, არა ერთი ან ორი, არამედ ბევრი, ძალიან ბევრი, უამრავი ვარდი, თეთრი ვარდი მინდა, დაახლოებით ოცი, ოცდაათი, ორმოცი ან ორმოცდაათი, თაიგული მინდა, თეთრი ვარდების თაიგული, უზარმაზარი თაიგული.

- ბიჭო, ახლა ზამთარია და, იცი, რა ძვირი ღირს ვარდი? თან თაიგულის ყიდვას აპირებ და, თუ ორმოცდაათი ვარდის ფული გქონია, მაშინ, რას გვიძალავდი, აქ დაგეხარჯა და ასე მათხოვრებივით აღარ გავშლიდით სუფრას. – უკმაყოფილება ვერ დაფარა როკომ.

- მე ვარდების ყიდვას არც ვაპირებ. – კედელს მოშორდა მოგზაური და ახლა დერეფნის შუაში დადგა.

- აბა, რას აპირებ? – გაუკვირდა როკოს.

- მოვიპარავ! – იყო მოგზაურის პასუხი, რაზეც ყველას გაეცინა.

- მერე, მაგ მოპარულ ვარდებს სად წაიღებ? – იკითხა როკომ.

- სად და დანიშნულების ადგილზე.

- მერე და, დანიშნულების ადგილზე, მოპარული ვარდებით მისვლა შეიძლება? – ძალიან სერიოზული იყო როკო.

- მოპარული სამწვადით თუ შეიძლება დანიშნულების ადგილზე მისვლა, მოპარული ვარდით, ვითომ, რატომ არ შეიძლება? – ხელები გაშალა მოგზაურმა.

- სამწვადე სხვაა და ვარდი, სხვა. ისე, რა, აქაური შემწვარი ხორცი არ მოგეწონა? – კბილებიდან გამოსცრა როკომ.

- როგორ არ მომეწონა, ძალიანაც მომეწონა, თანაც, ისე მომეწონა, რომ ახლა ვარდებისთვის რომ არ მივდიოდე, უეჭველი ჩავირბენდი დაბლა, მაღაზიაში და კიდევ ერთხელ შევასრულებდი კედლის ფუნქციას. რას იტყვი, კარგი კედელი ვიყავი, არა? ცივი და შეუვალი. – მასხრობაზე გადავიდა მოგზაური.

- მე ძალით არ დამიყენებინარ კედლად და შენთვის კალთები არ დამიხევია, გინდა თუ არა, ამ საქმეში დამეხმარეო. – კვლავ წამოენთო როკო.

- ვიცი!

- მაშ, რა გინდა?

- მე არაფერიც არ მინდა. წავედი ახლა. – თქვა მოგზაურმა და კარისკენ გასწია.

კარის გაღების შემდეგ, მოგზაური ბარბაცით კიბეებს ჩაუყვა და მხრით კედელს ეყრდნობოდა, რომ არ წაქცეულიყო. მერე ცოტა ხნით შეჩერდა, ამოისუნთქა და ისევ ბარბაცით ჩაჰყვა სადარბაზოს კიბეს. ჩაიარა ხუთი სართული და გარეთ გავიდა. ოთახის ჩახუთული ჰაერის შემდეგ, სიგრილე ესიამოვნა მოგზაურს, შეჩერდა და თვალები დახუჭა. თოვლის ფანტელები მის გახურებულ სახეს ნარნარით ეფინებოდნენ და სიმხურვალისგან წამშივე დნებოდნენ. რამდენ ხანს იდგებოდა ასე, ძნელი სათქმელია, სრულიად უცხო ადამიანი რომ არ მისულიყო მოგზაურთან და არ ეკითხა: - უკაცრავად, ცუდად ხომ არ ხართ?

როგორც იქნა, თვალი გაახილა მოგზაურმა, შუბლი სახელოთი მოიწმინდა და უცხო ადამიანს მიმართა: - ცუდად არ ვარ, ქალბატონო, უბრალოდ, ფიქრებში წავედი.

- ფიქრებში წასვლას, სახლში წახვიდეთ, ჯობია. და რაც მთავარია, თქვენ ახლა, შუა გზაზე რომ დგახართ, თუ ხედავთ? – ღიმილით მიმართა ქალბატონმა.

მოგზაურმა გაიხედ-გამოიხედა და ახლავდა შეამჩნია, რომ მართლა შუა გზაზე მდგარა. – დიდი მადლობა, ქალბატონო და, გპირდებით, მეორედ ასე აღარ მოვიქცევი. – მიაძახა ქალბატონს, რომელიც ერთ-ერთ სადარბაზოში შევიდა და ფეხის ბაკუნით აუყვა კიბეს. მოგზაური კი სასწრაფოდ ტროტუარზე ავიდა და მთელ ქუჩაზე ჩამწკრივებულ მაღაზიებს ჩაუყვა. ეძება, ეძება და ისიც, მონახა მოგზაურმა. ყვავილების მაღაზიის ფანჯრებიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა. საათს რომ დახედა, შვიდის ნახევარი სრულდებოდა, საღამოს შვიდის ნახევარი. უკმაყოფილოდ თავი გააქნია და შუშის კარი შეადო. იმდენად იყო მოშლილი და განადგურებული, რომ ხმის ამოდებაც არ უნდოდა მოგზაურს. ის კი არა, ყვავილების გამყიდველისთვის არც ფასი უკითხავს და არც არაფერი, მივიდა მაგიდასთან, თანხა დადო, უზარმაზარი თაიგულიდან ორი ცალი თეთრი ვარდი ამოიღო და მაღაზიიდან ისევ

ქუჩაში გავიდა. ყვავილების გამყიდველი ქალი კი გაოცებული სახით იყურებოდა და ვერ მიმხვდარიყო ახალგაზრდა კაცის ასეთ დამუნჯების, გნებავთ, სიდინჯის მიზეზს. გარეთ გასული მოგზაური ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და ახლა იქითა მადზიებს გაუყვა. გასცდა ერთ მადზიას, მეორეს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს... და, აი, ის სახლი და სახლის პირველ სართულზე მდებარე მადზია, საიდანაც, რამდენიმე საათის წინ, ის და მისი მეგობრები ნადავლით ხელდამშვენებულები გამოვიდნენ. მადზიის თანამშრომელი ქალი ფანჯარასთან იდგა და ღამის დათოვლილი ქალაქის მშვენებით ტკბებოდა. მოგზაური ნელი ნაბიჯით მივიდა მასთან, ქალიც მისკენ შემობრუნდა და: - ქალბატონო, ეს ვარდები თქვენ ჩემგან. – იღიმოდა მოგზაური.

ქალბატონს გაუკვირდა და რამდენიმე წამით თვალეზარათობული, უხმოდ იდგა. მერე, თითქოს გამოფხიზლდაო, გაოცებულმა მოგზაურს მიმართა: - კი, მაგრამ, რისთვის?

- არაფრისთვის, ისე, უბრალოდ.

- დიდი მადლობა, დიდი მადლობა! – აღფრთოვანებული იყო ქალი, რომელიც მერე შეჩერდა, ცოტა ხნით დაფიქრდა და, - თუ არ ვცდები, თქვენ, მეგობრებთან ერთად, აქ უკვე იყავით.

- დიას, ქალბატონო, ჩვენ რამდენიმე საათის წინ ვიყავით აქ. – გულახდილი იყო მოგზაური.

- ააა, გამახსენდა, რაღაც პროდუქტები შეიძინეთ.

- დიას, ქალბატონო.

- რამდენიმე საათის წინ პროდუქტები შეიძინეთ, ახლა ვარდები მომართვით. მადლობის მეტი არაფერი მეტქმის, მართლა ძალიან კარგი ადამიანები ხართ. ნეტავ, ყველა თქვენნაირი და თქვენი მეგობრებისნაირი შემოდის აქ. – ინატრა ქალმა.

- რა ბრძანეთ, ქალბატონო?

- ნეტავ, ყველა თქვენი და თქვენი მეგობრებისნაირი შემოდის ხოლმე აქ. – გაიმეორა ქალმა.

- არა, ქალბატონო, რას ამბობთ, ღმერთმა დაგიფაროთ, აქ მარტო ჩემი და ჩემი მეგობრებისნაირები რომ შემოდრიოდნენ. – თოვლივით თეთრი და სპეტაკი ვარდები გაცოცხლებულ ქალბატონს დაუტოვა მოგზაურმა და თავად გარეთ გავიდა.

თეთრი ვარდი, თეთრი თოვლი, თეთრი ცა, ამ სითეთრეში შევიდა მოგზაური და არც ცდილობდა იქიდან თავის დაღწევას. ან რატომ უნდა ეცადა? ის ხომ ამ ჯადოსნურ სამყაროში საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა და მხოლოდ იმ დიდი მოთამაშის ნებას ასრულებდა, რომელიც მოგზაურის წარსულს, აწმყოსა და მომავალსაც ერთად განაგებდა. ამჯერად უკვე სითეთრე მეფობდა ჯადოსნურ სამყაროში და ვერაფერს ხედავდა მოგზაური, სითეთრის გარდა. რბილი და ფაფუკი იყო ყველაფერი, რასაც ეჯახებოდა ან ეხებოდა. ხელების ცეცებით დადიოდა მოგზაური, რადგან სითეთრის გარდა, ვერაფერს ხედავდა, საერთოდ ვერაფერს. მაგრამ, ასე, სითეთრეში ყოფნა, დიდ ხანს რომ არ გაგრძელდებოდა, ეს კარგად იცოდა მოგზაურმა და ასეც მოხდა. ნელ-ნელა სითეთრე ნაცრისფერმა შეცვალა და ყველა ის ფაფუკი საგანიც, აქამდე რომ ეჯახებოდა მოგზაური, სადღაც გაქრა და თითქოს ცაში აორთქლდა. ამჯერად უკვე ნაცრისფერ ნისლში დაბორიალობდა მოგზაური და ვერაფერს ხედავდა. არ დამფრთხალა, უბრალოდ, მობეზრდა ასე, ნისლში ხეტიალი და ჩაიშრებოდა... იდგა ორივე მუხლზე დაშვებული და ელოდა რაღაცას, მაგრამ ის რაღაცა ჯერჯერობით არ ჩანდა. ნაცრისფერი ნისლი კი ისევ თავის საქმეს აგრძელებდა და აგრძელებდა. მუხლებზე დგომა რომ მობეზრდა, ახლა გულაღმა გაწვა მოგზაური და თვალები დახუჭა. სულაც არ სციოდა მოგზაურს, რადგან სიცივეს, თოვლსა და ზამთარს ვეღარ გრძნობდა, და რასაც გრძნობდა, სხეულში დატრიალებული სითბო იყო, სისხლი უდუღდა მოგზაურს, სისხლი. მისი სისხლის დუღილი კი წელიწადის დროის ცვლილებით იყო გამოწვეული. სუსხიანი ზამთრიდან გაზაფხულში გადადიოდა მოგზაური, მაისის კვირტებით აფეთქებულ გაზაფხულში.

ნისლი რომ გაიფანტა და მხედველობაც დაეწმინდა, ხიდის ქვეშ რომ მდინარე მიედინებოდა, ისევ იმ მდინარის სიახლოვეს დაგორებულ დიდ ლოდთან იყო მოგზაური, ოღონდ ლოდზე არ იჯდა, ლოდის გვერდზე, გულაღმა იწვა მოგზაური და სილურჯეში ჩაკარგულ ცას გასცქეროდა. ირგვლივ გაზაფხული მძლავრობდა და არემარეს მსუბუქი ფერებით აფერადებდა. მაშინვე არ წამომდგარა

მოგზაური, იწვა და ფიქრობდა, ნეტავ, მისი ეს უჩვეულო მოგზაურობა, აქ, ამ ცოდვილ დედამიწაზე კი არა, იქით, ზევით, ლურჯად ამღერებულ ცაში რომ ყოფილიყო, რა კარგი იქნებოდა. გადმოხედავდა ქვეყნიერებას ზემოდან და დაინახავდა ყველაფერს, მისთვის ყველაზე უხილავ ჩიხებსა და მისადგომებსაც კი. ერთი თვალის გადავლებით ზღვებსაც დაინახავდა მოგზაური, არა ორს, სამს, ან ოთხს, არამედ უამრავ ზღვას... ციდან, ყველა ზღვასა და ოკეანეს დაინახავდა მოგზაური, ამ ზღვებში და ოკეანეებში მცურავ ხომალდებს კი ოცნებით მაინც გაჰყვებოდა დედამიწის ყველაზე მიუვალ და შორეულ წერტილებამდე. ბუნების მიერ შექმნილ კიდევ უამრავ სილამაზეს დაინახავდა მოგზაური, მაგალითად, დაინახავდა კლდეებს, მთებს, მდინარეებს, ჩანჩქერებს, ნაკადულებს, მინდვრებს, ველებს, ბაღებს, ყვავილებს, ტყეებს... ადამიანებსაც დაინახავდა მოგზაური, დაინახავდა ვინ ვისთან დგას, ვინ ვისთან დადის და ვინ რისთვის დადის. ვინ ქურდობს და ვინ პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობს, ყველაფერს დაინახავდა მოგზაური და ისეთ ადამიანებთან დაიჭერდა საქმეს, ვისაც შავბნელ საქმეებში ან ადამიანთა სისხლში არ ექნებოდა ხელები გასვრილი. ციდან არაფერი დაიმალებოდა და ყოველივე კარგად გამოჩნდებოდა. დაბლიდან კი არაფერი ჩანს ყალბი ღიმილისა და შურით გაბოროტებული თვალების მეტი. ამიტომ, არავის აღარ ენდობოდა მოგზაური და ქვეყნიერებისთვის ციდან გადმოხედვაც, სწორედ ამ მიზეზით ამოეჭრა გულში.

სურვილი ჰკლავდა მოგზაურს, რომ სანდო და გაურყვნელი ხალხი გამოერჩია საკუთარი ცხოვრებისათვის, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან ცაში მას არავინ აიყვანდა, დაბლიდან კი ადამიანთა გამორჩევა ისევე ძნელია, როგორც სტიქიური უბედურების დროს სიმშვიდის შენარჩუნება.

გაზაფხულის სითბონარევი დღეს, უძველესი ქალაქის ერთ-ერთი ხიდის ქვეშ, მდინარე რომ მიედინებოდა, იმ მდინარის სიახლოვეს დაგორებულ ლოდთან გულადმა იწვა მოგზაური და ღირსეული ადამიანების აღმოჩენაზე ფიქრობდა.

- ღირსეულ ადამიანებს ვეძებ, მაგრამ, მე ვარ ასეთი? – საკუთარ თავს კითხვა დაუსვა მოგზაურმა.

- წარსულის ზოგიერთ ცოდვას თუ მივჩქმალავთ, ალბათ, ვარ. თუმცა, უცოდველი, განა, ვინმეა ამ უსამართლო სამყაროში? უცოდველი არავინაა, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ადამიანი არ შემხვედრია.

თუმცა, სხვათა ცოდვილი ცხოვრება, მოგზაურისთვის რა ნუგეში იყო? ან საერთოდ, სხვას რატომ უყურებდა, განა საკუთარი ცოდვების სხვისი ცოდვებით გამართლება, გნებავთ, ჩამოწმენდა, რამე სასიკეთო შედეგს მოიტანს? არა და არა, ეს მხოლოდ ბრიყვულად თავის მოტყუება, უფრო თავის დამშვიდებაა და მეტი არაფერი. აბა, ბრიყვობის გარდა, სხვა რა უნდა ეწოდოს იმას, როდესაც ადამიანები საკუთარ ცოდვილ წარსულს იმით ამართლებენ, რომ, თურმე სხვები უარესად სცოდავენ და იმათ თუ მიეტყვებათ, მე რატომ არ უნდა მიმეტყვოსო? ხოლო, როდესაც ასეთ ადამიანებს ვეკითხებით, - შენ რა იცი, რომ იმას მიეტყვება? – პასუხი ძალიან ბანალურია, უფალი მოწყალეა, ყველა ცოდვას მიგვიტყვებს, უმძიმესი ცოდვების გარდაო, და ასე შემდეგ.

ესეც ასე, როგორც ხედავთ, ძალიან კარგად გამოიწერა თავის დამშვიდების გენიალური რეცეპტი, ანუ მე ცოდვას ჩავიდენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვა უარესი ცოდვილია და, რაც მთავარია, უზენაესი ყველა ცოდვას მიმიტყვებს, უმძიმესი ცოდვების გარდა.

მე თუ მკითხავთ, ამას რელიგიური გულარხეინობა ჰქვია და მეტი არაფერი. დიახ, გულარხეინობაა, აბა, რა არის, როდესაც ადამიანი ცოდვას სჩადის, მაგრამ ფიქრობს, რომ მიეტყვება, რადგან ჯერ ერთი, თავად ასე სურს, და მეორეც, უფალი მოწყალეა და ყველა ცოდვას მიუტყვებს.

სხვისი არ ვიცი და, მე, პირადად, ასეთი ბრიყვული იდეებით გონებადაბნელებული ადამიანების დანახვაზე სიცილს ვერ ვიკავებ და გარკვეულწილად ვუთანაგრძნობ კიდევ მათ.

ისევე, როგორც, ვუთანაგრძნობ მოგზაურს, რომელიც ამ დროს, ისევე დიდი ღოდის გვერდით იწვა გულადმა, სილურჯეში ჩაკარგულ ცას გასცქეროდა და კეთილი, უცოდველი, გაურყენელი და კანონმორჩილი ადამიანების აღმოჩენაზე ფიქრობდა.

- მოქალაქე, აქ წამოკოტრიალება რომ არ შეიძლება, ამდენი არ უნდა გესმოდეთ? – დონიჯ შემორტყმულმა, ვიღაც კაცმა, ბალახზე წამოკოტრიალებულ მოგზაურს ზემოდან დასძახა.

მოგზაური არ წამომდგარა და თავიც არ აუწევია, ისე გაეპასუხა: - მერე, თქვენ ვინ ხართ?

- მე ამ გაზონს შვილივით ვუვლი, ვრწყავ, ვასუფთავებ, შენ კი შემოსულხარ და ამ მრავალსაუკუნოვანი ლოდის გვერდით წამოკოტრიალებულხარ არხეინად.

- რას მელაპარაკები, კაცო, ჯერ ეს მითხარი, ერთი, რომელი ლოდი არ არის მრავალსაუკუნოვანი?

- ბევრს ნუ ლაპარაკობ, წამოდექი და ჯარიმა გადაიხადე ან გამომყევი განყოფილებაში და იქ დაგელაპარაკებიან. – ბრაზობდა მამაკაცი.

მოგზაური მიხვდა, რომ საქმე რთულად იყო და ახლა კი იკადრა წამოდგომა. ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ერთი სიმაღლისანი და ასაკითაც თანატოლები უნდა ყოფილიყვნებ. ერთი მოგზაური იყო, მეორე კი ამ გაზონის მომვლელი.

- მითხარი ახლა, გადაიხდი თუ არ გადაიხდი ჯარიმას? იცოდე, წაგაბრძანებ იქ, სადაც საჭიროა და უფრო ძვირი დაგიჯდება. – არ ცხრებოდა გაზონის მომვლელი მამაკაცი.

- ხელებს ნუ მიგრეხ, ადამიანო, მე რა ვიცოდი, რომ აქ შემოსვლა არ შეიძლებოდა? – თავის მართლებაზე გადავიდა მოგზაური.

- სულელო, კითხვა არ იცი? შეხედე, იქით, იმ მუხის ხეზე, რამხელა აბრაა ჩამოკიდებული, რომელიც შენისთანა უსახლკაროებსა და უპატრონოებს აფრთხილებს, რომ აქ წამოკოტრიალება, გავლა, მოშარდვა, დანაგვიანება და ასეთი ქმედებები არ შეიძლება.

- ეგ აბრა არც წამიკითხავს. – თავის გამართლება სცადა მოგზაურმა.

- რატომ არ წაგიკითხავს, წერა-კითხვა არ იცი? თვალეში შემომხედე და უცხო სამყაროდან ჩამოფრენილივით ნუ იცქირები. – ბრაზობდა გაზონის მომვლელი.

- ჯარიმას გადავიხდი და მეტი რაღა გინდა?! – დათანხმდა ჯარიმის გადახდას მოგზაური.

- გადაიხადე! – მკაცრი იყო გაზონის მომვლელი.

მოიქექა ჯიბეები მოგზაურმა, რაც ჰქონდა ყველაფერი ამოიღო და დათვლას შეუდგა.

- ეს და ეს საკმარისია, ეგ გროშები კი აღარ მინდა. - არ აცალა ფულის ბოლომდე დათვლა გაზონის მომვლელმა და მოგზაურის მიერ გამეტებულ, თანხას ხარბად დააცხრა.

- რა ვქნა, სამსახური მაქვს ასეთი, თორემ ცუდი კაცი არ გეგონო. ოჯახი გყავს? ცოლი, შვილი... რა პროფესიის ხარ? – უცებ მოტყდა და ენადაშაქრულ კაცად იქცა გაზონის მომვლელი.

- ცოლი არ მყავს, პროფესიით კი სამყაროში მიმდინარე მოვლენების ფურცლებზე გადმოტანის, ანუ გადმოწერის სპეციალისტი ვარ. – გაეღიმა მოგზაურს.

- ესე იგი, მწერალი, პოეტი ან ჟურნალისტი ყოფილხარ?! – თვალები მოჭუტა გაზონის მომვლელმა.

- მართალი ხარ! – ისევ გაიღიმა მოგზაურმა და თანამოსაუბრეს მხარზე ხელი დაჰკრა.

- ვახ, შენ რა კარგი კაცი ყოფილხარ, თანაც გამოსადეგი. – კმაყოფილი იყო გაზონის მომვლელი.

- შენც გამოსადეგი კაცი ყოფილხარ, აბა, რა. ხომ ხედავ, შენი ნებართვის გარეშე, აქ ჩიტიც ვერ შემოფრინდება.

- მე ვარ აქ უფროსი და იმიტომ. ახლა კი, უნდა წავიდე და დროებით დაგემშვიდობები. იმედია, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით.

- კიდევ შევხვდებით, მაშ, როგორ? ახლა კი, აქ დარჩენის უფლებას თუ მომცემ, დიდად დამავალებ. – ნებართვის აღების უფლება სცადა მოგზაურმა.

- აქ, სად, კაცო? – გაუკვირდა გაზონის მომვლელს.

- აქ, ამ გაზონზე, აი, ამ მრავალსაუკუნოვანი ღოდის გვერდით.



- ააა, მანდა? დარჩი, თუ გინდა, მრავალი საუკუნეები მანდ იწევი, ჩემ გარდა ხმას ვერავინ გაგცემს, და თუ ვინმეს, მაინც ღმერთი გაუწყრა და სიმყუდროვე დაგირღვია, უჩას ახლობელი ვართქო, ასე უთხარი და მაშინვე შეგეშვება.

მოგზაური მიხვდა, რომ ჯარიმას, უფრო ზუსტად ქრთამს, თავისი საქმე ჩინებულად შეუსრულებია და სულ მთლად თაფლიკვერად იქცა: - ოქრო კაცი ხარ, უფროსო, ოქრო კაცი, მე აქ კიდევ ცოტა ხანს ვიკოტრიალებ და მერე წავალ.

- თუ გინდა, სულ დარჩი, მთლად შინაური კაცი ყოფილხარ და დარჩენას როგორ დაგიშლი? ახლა კი უნდა წავიდე, მეჩქარება. სხვა დროსაც გამოიარე ხოლმე, არ დამივიწყო. – ჯარიმითა თუ ქრთამით შევსებული საფულე გაზონის მომვლელმა ხელში შეათამაშა და თავის გზას გაუყვა.

მოგზაური კი კმაყოფილი იყო, ან რატომ არ უნდა ყოფილიყო კმაყოფილი, როდესაც, სრულიად მოულოდნელად, გაზონის გადათელვის უფლება მიეცა და ისიც ნებივრად კოტრიალობდა იქ, სადაც სხვებს არ შეესვლებოდათ.

ამ დღეს და ამ წუთას, მხოლოდ მოგზაურს ჰქონდა იქ კოტრიალის უფლება, რადგან მან ეს უფლება იყიდა. ჯარიმა კი არ გადაიხადა, არამედ ქრთამით იყიდა. მორჩა და გათავდა.

ლოდის გვერდით, ისევ გულაღმა წამოწვა მოგზაური და ხელები თავქვეშ ამოიდო. ცაში მოფარფატე ფრინველები ჯგუფ-ჯგუფად დაფრინავდნენ და საკუთარი სტვენა-გალობით, წელიწადის ამ ნატიფ დროს, კიდევ უფრო გულშიჩამწვდომს ხდიდნენ. – აბა, მოდი, ცაში ფრინველებს დავითვლი, - გაიფიქრა მოგზაურმა და დაიწყო: - ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, - მერე კიდევ, - ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, - ამის შემდეგ კიდევ, - ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, - ასე გუნდებად დაყოფილსა და ცაში განავარდებულს თვლიდა მოგზაური ფრინველებს. ამ თვლაში, ფრინველთა იმდენმა გუნდმა გადაუფრინა თავზე და იმდენი ჭიკჭიკი თუ სტვენა მოისმინა, რომ თავი, სადღაც უდაბურ ტყეში ეგონა მოგზაურს, და არა უძველესი ქალაქის ერთ-ერთი ხიდის ქვეშ აბიბინებულ გაზონზე.

ჩიტების თვლით გართულმა მოგზაურმა, ვერც კი შეამჩნია, რომ მოწმენდილი ცა, ნელ-ნელა ღრუბლებით ივსებოდა და ცის სილურჯეში ჩაქსოვილი სისპეტაკეც სევდისფრად იღებებოდა. შავი ღრუბელი მოგროვდა უძველესი ქალაქის თავზე, მაგრამ მოგზაურს ეს სულაც არ ადარდებდა, იწვა გაზონზე და სევდისფრად შეღებილ ცას გასცქეროდა. ფრინველებმაც, შეთქმულებივით ჭიკჭიკ-გალობა შეწყვიტეს და უძველესი ქალაქის ხეებს მიაშურეს, რადგან ამწვანებული ტოტები იყო მათი თავშესაფარი. მოგზაური კი იწვა და მაისის წვიმით სველდებოდა, არ ეშინოდა, არც გრუხუნის და არც მუხის. არ ეშინოდა, იმიტომ, რომ ის თავისი უჩვეულო მოგზაურობის ერთ-ერთ ეტაპს გადიოდა. ასეთი მოგზაურობისას კი ყველანაირი შიში უადგილოა, რადგან, თუ გეშინია, მაშინ ნულარ გარისკავ და ნულარ წახვალ ასეთ შორსმიმავალ გზაზე, და თუ მიდიხარ, მაშინ ყველანაირი შიში უნდა ჩაკლა შენში.

რაც შეეხება მოგზაურს, მან ყველანაირი შიში, რაც შეიძლება ამ სამყაროდან იმ სამყაროში გადაჰყოლოდა, ჩაკლა და გაანადგურა, მაგრამ საკუთარი თავის გვერდიდან ცქერამ, გული გაუბზარა და თავი შეაზიზღა. თუმცა, იმედს იტოვებდა, რომ იქნებ, ამ მოგზაურობის შემდგომი ეტაპი მაინც ყოფილიყო წარმატებული და მისთვის უკვე განვლილ ცხოვრებაში, ერთხელ მაინც დაენახა ადამიანი... დიას, ადამიანი, და არა ინსტინქტებით მოქმედი ცხოველი.

მაისის წვიმამ კიდევ უფრო მძლავრად გაშალა თავისი იალქნები და გაზონზე მწოლიარე მოგზაურსაც თავბრუ დაახვია. იწვა მოგზაური და მის თვალწინ ყველაფერმა უკუღმა დატრიალება დაიწყო და წვიმის წვეთებისგან ადიდებულმა ნიაღვარმა თავისკენ გაიტაცა მოგზაური. მიჰყვებოდა წყლის დინებას და სულაც არ ეშინოდა, რადგან, იცოდა, რომ არ დაიხრჩობოდა. მას მხოლოდ ინტერესი ჰკლავდა იმისა, თუ ამჯერად სად, წარსულის რომელ კუთხე-კუნჭულში მიაგდებდა განგება?!

ისედაც ძლიერი წვიმის წვეთები კიდევ უფრო მსხვილდებოდა და ძლიერდებოდა. წარღვნა ხომ გინახავთ? სწორედ წარღვნით წალეკილს დაემსგავსა იქაურობა. ქვეყნიერება ბრუნავდა, თვალდახუჭული და გონებადაბინდული მოგზაური, ქარის სისწრაფით საკუთარი წარსულისკენ მიემართებოდა. და, დაჯახება იგრძნო მოგზაურმა, იმდენად ძლიერი, რომ უცებ გამოფხიზლდა.

გამოფხიზლებული მოგზაური, ამჯერად უკვე სტუდენტობის დროინდელ შორეულ წარსულში აღმოჩნდა. უძველესი ქალაქის ერთ-ერთ სკვერში, ხის გრძელ სკამზე იჯდა და თავის კურსელ გოგონას ელოდა. ტიპური სტუდენტური ამბავი იყო, კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები ახლოვდებოდა და გოგონას კონსპექტი უნდა მიეტანა მოგზაურისთვის. არავითარი სასიყვარულო პაემანი და ამის მსგავსი იქ არ ყოფილა, კვირა დღეს, კურსელი მეგობრები ხვდებოდნენ ერთმანეთს – გოგონა და მოგზაური, ერთი წარჩინებული, მეორე კი წარჩინებულისგან შორს მდგარი სტუდენტი. ალბათ, თავადაც მიხვდებით, ამ ორი სტუდენტიდან, რომელი იქნებოდა წარჩინებული და რომელი წარჩინებულისგან შორს მდგარი.

მოკლედ, იჯდა ხის გრძელ სკამზე მოგზაური და თანაკურსელ გოგონას ელოდა. ფიქრით ყველაფერზე ფიქრობდა, მოახლოებული გამოცდების გარდა. ან მარტო რომ ეფიქრა, რა აზრი ჰქონდა? არც არაფერი, რადგან ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჭიროა არა ფიქრი, არამედ სწავლა, რაც სტუდენტთა უდიდეს ნაწილს, შავი ჭირივით ეზიზღება და ბუნებრივია, გამონაკლისი არც მოგზაური იქნებოდა. თუმცა, თანაკურსელ გოგონას დიდი გულმოდგინებით ელოდა, რათა კონსპექტი ჩაეგდო ხელში, რომელიც, წესითა და რიგით, უნდა გამოსდგომოდა. და რახან კონსპექტი იყო მათი შეხვედრის მიზეზი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოგზაური, არც ისე წყალწაღებული სტუდენტი იყო, თუმცა, წარჩინებულისგან მაინც შორს მდგარი, ძალიან შორს მდგარი.

მაღე ისიც გამოჩნდა, მზესუმზირის ჭამით მოდიოდა და ნამცეცებს მტრედების გუნდს უყრიდა, რომლებიც ფრენა-ფრენით მოსდევდნენ წარჩინებულ სტუდენტ გოგონას. გოგონა თავზე წამოადგა მოგზაურს და ხელის აწევით მიესალმა.

- ნატალიას გაუმარჯოს და დაჯექი! – უთხრა მოგზაურმა.

- არა, დასაჯდომად სად მცალია. ახლა კონსპექტი გამომართვი და იმეცადინე, თორემ ლექტორებზე ადრე მე მოგკლავ.

- შენი თხოვნა შესრულებული იქნება და მეტი რა ვქნა? – იკითხა მოგზაურმა.

- ის უნდა ქნა, რომ ჯერ კონსპექტი უნდა გამომართვა, მერე გაჩერებამდე უნდა გამომყვე, თორემ ქუჩის ძაღლები დაძრწიან და აქეთ რომ მოვდიოდი, ლამის გადამსანსლეს. – გასცა ბრძანება ნატალიამ.

- თუ ეგრეა საქმე, მაშინ, მზესუმზირის მაგივრად ძროხის ძვალი ატარე და ძაღლები რომ შემოგესევიან, გადაუგდე ხოლმე, მერე ისინიც ყეფას კი არა, მადლობის ნიშნად, ლოკვას დაგიწყებენ. – მოგზაურმა ქუჩის ძაღლების თავიდან მოშორების საოცარი მეთოდი, სიცილით გაუმხილა ნატალიას.

- ეეე, ნეტავ, შენ, როდის უნდა დაჭკვიანდე? – იკითხა ნატალიამ.

- ჰო, კარგი, წავედით, იქნებ რომელიმე ძაღლმა მე შემჭამოს და გამოცდაზე გასვლას ასე მაინც გადავრჩე. – ფეხზე წამოდგა მოგზაური.

წავიდნენ გაჩერებისკენ. ნატალია რაღაცას ყვებოდა და თან მტრედებს მზესუმზირის ნამცეცებს უყრიდა, ისინიც ერთმანეთს ასწრებდნენ და ხარბად მიირთმევდნენ ნოყიერ საკვებს.

გაჩერებასთან შეჩერებულებმა, ისევ საუბარი გააგრძელეს. ნატალია თან რაღაცას ყვებოდა და თან მზესუმზირას აკნატუნებდა.

- ჰო, მართლა, მზესუმზირა რატომ არ გიყვარს? – დაინტერესდა ნატალია.

- მე კიდევ ბევრი რამე არ მიყვარს და ყველას მიზეზი რომ ჩამოგითვალო, შეიძლება, ჩემზე ხელი ჩაიქნით. – ხუმრობის ხასიათზე იყო მოგზაური.

- საჭმელებზე ამბობ მაგას? – შუბლი შეჰკრა ნატალიამ.

- საჭმელებზე, და არა მარტო საჭმელებზე.

- უცნაური ვინმე ხარ! – გულწრფელი იყო ნატალია.

- ადამიანის ხიბლი, სწორედ უცნაურობაში, ანუ სხვებისგან განსხვავებულობაშია, თორემ ერთმანეთის მსგავსი და არაფრით გამორჩეული არსებები, ინკუბატორის ქათმებიც არიან, ყველა ერთი ფერის, ერთი გემოვნებისა და ერთი ჩამოსხმის. – სიმართლეს ამბობდა მოგზაური.

- ნეტავ შენს პოტენციალს სრულად ავლენდე სწავლაში და შენისთანა ადამიანი იშვიათობა იქნებოდა. მაგრამ გულარხეინი ბიჭი ხარ და იმას ვერ ხვდები, რომ მეტი შეგიძლია, გაცილებით მეტი. ხანდახან ამოუწურავი პოტენციალის მქონე ადამიანი მგონიხარ, უბრალოდ, ფანტავ და სრულად არ იყენებ იმას, რაც ღვთისგან გაქვს ბოძებული.

- შენ რა დაბრძენებული ქალივით ლაპარაკობ? – გაეცინა მოგზაურს.

- მე ვიცი, შენ რაც გჭირდება. – მზესუმზირის ჭამას თავი დაანება ნატალიამ.

- აბა, იქნებ მითხრა და გავითვალისწინო?! – შეაგულიანა მოგზაურმა.

- შენ ერთგული ადამიანი გჭირდება, რომელიც ნებისმერი სახის სირთულის დროსაც კი, შენთან იდგება, არასოდეს მიგატოვებს და შენს პოტენციალს, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გახსნის და მოქმედებაში მოიყვანს. თორემ ასე, მარტოდმარტო მყოფს, ძალიან გაგიჭირდება ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მონახვა და თავის დამკვიდრება. შენ გვერდზე მდგომი ადამიანი გჭირდება, გესმის ჩემი?

- გეყო ახლა, ნუ ამაქვითინებ. – ისევ მასხრობის ხასიათზე იყო მოგზაური.

უცებ მოგზაურს განწყობა და სახე ერთდროულად შეეცვალა. არადა, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, უბრალოდ, მოგზაურმა დაინახა, რომ ყვავილების გამყიდველი, დაახლოებით ორმოცდაათ წლამდე ასაკის მამაკაცი მათკენ მოდიოდა. ხომ გინახავთ, ქუჩებში ყვავილებს რომ დაატარებენ და ყიდიან? ალბათ, გინახავთ? ჰოდა, უძველეს ქალაქში მაშინაც ასე ხდებოდა, ყვავილებს და არა მარტო ყვავილებს დაატარებდნენ ხოლმე ქუჩებში, სკვერებში, რესტორნებში, კინოთეატრებში და მოკლედ, ყველა იმ ადგილებში, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო. მეყვავილეები განსაკუთრებით იმ ადგილებს ეტანებოდნენ, სადაც ახალგაზრდა ქალ-ვაჟი იდგა თუ იჯდა. თუ შეყვარებული წყვილი არ იყო, როცა მეყვავილე თავს დაადგებოდა, სინდისზე აგდებული ვაჟი, მაინც ვალდებულად თვლიდა თავს, გოგონასთვის ყვავილების თაიგული ეყიდა. შეყვარებულები სულაც არ იყვნენ, მაგრამ ვაჟს

სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მეყვავილე ურცხვად ადგებოდა თავს და უხერხულ სიტუაციაში აგდებდა. ხოლო თუ შეყვარებული წყვილი იყო, მაშინ ხომ საერთოდ, ვაჟს ფრთები უნდა გამოესხა და საკუთარი გულის სწორისთვის, მაინც და მაინც აქ, ამ ჩასაფრებული მეყვავილისგან უნდა ეყიდა ყვავილები, თითქოს სხვა დროს, ან სხვაგან იგივეს გაკეთება არ შეიძლებოდა. არა, შეყვარებული ვაჟი იმას როგორ იზამდა, რომ თავისი ნებით შესულიყო ყვავილების მაღაზიაში და საყვარელი ქალისთვის ერთი ლამაზი თაიგული ეყიდა. მას მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა საოცნებო ქალისთვის ყვავილი, როდესაც გაქნილი მეყვავილე თავს წამოადგებოდა თავხედურად, ოღონდ გაღიმებული სახით და ყვავილების ყიდვას სთხოვდა. მოკლედ, თავხედი მეყვავილეები ძალიან კარგად სარგებლობდნენ გულუბრყვილო ადამიანების უხერხულ სიტუაციაში ჩავარდნით და კარგ შემოსავალსაც იჭიბავდნენ.

მოგზაურს ყოველივე ეს კარგად ესმოდა, მაგრამ სტუდენტობა (და არა მარტო სტუდენტობა), ისეთი რამ არის, ხან გაქვს, ხან არა, ჯიბე ხან გადმოსკდომამდეა დაბერილი, ხან მხოლოდ ცხვირსახოცის ჩასადებ ფუნქციას ასრულებს. ჰოდა, ჩვენს მოგზაურს წინა დღით დიდი თავდავიწყება ჰქონდა და მთელი ფინანსებიც სწორედ იმ თავდავიწყებაში დატოვა. ახლა კი იდგა ჯიბეცარიელი მოგზაური თანაკურსელ ნატალიასთან ერთად და ხედავდა, როგორ მოემართებოდა მათკენ, დაახლოებით ორმოცდაათ წლამდე ასაკის, ყვავილებით ხელდამშვენებული მამაკაცი. მოგზაურს გულმა რეხი უყო და – გასაგებია! – ჩაილაპარაკა თავისთვის. უკვე ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ყვავილებით ხელდამშვენებული მამაკაცი ღიმილნარევი სახით მიადგებოდა მათ და ხმამაღლა ეტყოდა, - აბა, ყვავილები შევიძინოთ, ყვავილები. მეგობარო, უყიდეთ თქვენს გოგონას ყვავილი, თორემ მოიწყენს. შეხედეთ, როგორი თვალებით გიცქერით, ეტყობა, ძალიან უყვარს ყვავილები. უყიდეთ, თორემ მე ვაჩუქებ. თქვენგან არაფერი არ მინდა, ისე ვაჩუქებ.

ასეთი დახეპირებული ტექსტი, ნებისმიერი მამაკაცითვის, რომელიც იმ მომენტში უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, გამაღიზიანებელია და ბუნებრივია, მოგზაურისთვისაც ასე იქნებოდა.

ნატალიას ზურგს უკნიდან ყვავილებით ხელდამშვენებული მამაკაცი წინ მოიწევდა. ხედავდა ამ მამაკაცს მოგზაური და გული უსკდებოდა, ნეტავ, აქ არ მოვიდესო, მაგრამ სად გაგონილა,

ყვაილებით მოვაჭრე ადამიანმა, ქუჩაში ერთად მდგარ ქალ-ვაჟს გვერდი აუაროს და გზა გააგრძელოს? ასეთი რამ არ არსებობს, რადგან ისინი მეყვაილისთვის მხოლოდ კლიენტები არიან და სხვა არაფერია, კლიენტების გარდა. ხოლო ის სიტყვები, რომ, რა ლამაზი წყვილი ხართ და ეს ყვაილები ძალიან მოგიხდებათ, ისეთივე სიყალბეა, როგორც მოგზაურის წმინდანად გამოცხადება. არ იყო მოგზაური წმინდანობისთვის დაბადებული, რადგან მასაც ისეთივე ამქვეყნიური ზრახვები ამოძრავებდა, როგორც ადამიანთა უმეტესობას.

- ეს რომ ახლა ჩვენთან მოვიდეს და შემარცხვინოს, ვერ გადამირჩება. – გაიფიქრა მოგზაურმა და მერე ისე ჩუმად, ნატალიას რომ არ შეემჩნია, ყვაილების გამყიდველ მამაკაცს თვალით ანიშნა, აქეთ არ მოხვიდეთ.

ყვაილების გამყიდველი მამაკაცი წამით შედგა, მერე ისევ წინ წამოვიდა და ჭადრის ხეს მიეყუდა. ნატალია ვერაფერს ხვდებოდა, რადგან ყვაილების გამყიდველი მამაკაცი მის უკან იდგა. ეგეც რომ არა, ნატალია ისე იყო ქაქანში გართული, რომ ძნელად თუ შეამჩნევდა ვინმეს.

მოგზაურმა თვალთ კიდევ ერთხელ ანიშნა მამაკაცს, აქ არ მოხვიდეთ, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რასაც, ვერავითარ შემთხვევაში, ვერც მოგზაური წარმოიდგენდა და ვერ ამ წიგნის მკითხველი წარმოიდგენს: ყვაილების გამყიდველი მამაკაცი ღიმილით გაემართა მათკენ, ახლოს რომ მივიდა, შეჩერდა და ისე, თითქოს მოგზაური იქ საერთოდ არ ყოფილიყო, ნატალიას მიმართა: - შეიძინეთ ყვაილები, ნახეთ, რა ლამაზებია. შეიძინეთ, თუ არა და, სულაც გაჩუქებთ. ასეთ ლამაზ გოგონას, ძალიან მოგიხდებათ ეს ყვაილები.

ნატალია იღიმოდა, თვალებს აცეცებდა და მოგზაურისგან ელოდა რაღაცას. ეს უკვე მეტისმეტი იყო და მოგზაურს სისხლი მოაწვა თვალეში. შეურაცხყოფილი იყო მოგზაური, რადგან ვიღაც ნაძირალამ მის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და რაღაც ზედმეტი გროშების აღების იმედით, სულში ჩააფურთხა. წამიერად დამუნჯდა და ველარაფერს ამბობდა მოგზაური, მხოლოდ ხელით ანიშნა ყვაილების გამყიდველ მამაკაცს, მოშორდი აქედანო, მაგრამ ის მაინც იდგა და იღიმოდა... იღიმოდა ნატალიაც.

სიტუაცია ისევ ნატალიამ განმუხტა და, - არ მიყვარს ყვავილები, - თქვა მან მორიდებით. არადა, ნატალიას ძალიან, ძალიან უყვარდა ყვავილები. ნატალია გიჟდებოდა ყვავილებზე, მას შეეძლო, მჯდარიყო ან მდგარიყო და საათობით ეცქირა ყვავილებისთვის, მაგრამ ახლა ასე იყო საჭირო და უნდა ეთქვა, რომ ვითომ არ უყვარდა ყვავილები. მას ამ ტყუილით, თავისი მეგობარი უნდა გამოეყვანა უხერხული სიტუაციიდან. ნატალიამ განმუხტა სიტუაცია, მაგრამ მოგზაური უხერხული მდგომარეობიდან, მაინც ვერ გამოიყვანა და ვერც გამოიყვანდა.

- წამოდი, იქით დაუდგეთ. - ხელკავი გაუყარა მოგზაურს ნატალიამ და ისინიც საკმაო მანძილით გასცდნენ იმ ადგილს.

სხვა გაჩერებასთან რომ მივიდნენ, - აქ დავიცადოთ, - თქვა ნატალიამ, რომელიც, როგორც იქნა, დამშვიდდა, მოგზაური კი ვერა.

გავიდა ორიოდუე წუთი და: - ახლა წავედი სახლში, თორემ სამეცადინო ბეური მაქვს. შენც თუ სახლში წახვალ, კარგი იქნება, გამიგე? - ფიქრებით სულ სხვაგან მყოფი მოგზაური ხელით შეანჯღღრია ნატალიამ.

- აბა, კარგად იყავი. - დაემშვიდობა მოგზაური და ორივე თავისი გზით წავიდა. ნატალია ტრანსპორტს გაჰყვა, მოგზაურს კი ისევ ის გზა უნდა გაეარა, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ მოვიდა.... გაიარა კიდევ და ყვავილების გამყიდველი მამაკაციც იქ იყო. როგორც ჩანს, შორს წასვლა ვერ მოესწრო და მოგზაურსაც მეტი რა უნდოდა?

- ეი, შენ, აბა, კარგად შემომხედე, ხომ მიცანი? - ჰკითხა მოგზაურმა ყვავილების გამყიდველ მამაკაცს.

- გიცანი, მაგრამ, რაშია საქმე? - მამაკაცი აშკარად დაბნეული ჩანდა.

- შვილი გყავს? - ჰკითხა მოგზაურმა.

- შვილები მყავს. - უპასუხა მამაკაცი და ყვავილების თაიგული დაბლა ჩამოუშვა.

- ბიჭები თუ გოგოები?

- ბიჭებიც და გოგოებიც.



- მერე, შენს შვილს რომ ვინმე, ეგრე, არაკაცურად მოექცეს, კარგი იქნება?

- ფული თუ არა გაქვს, ქალებში რაღას დადიხარ? – მთლად თავი აიგდო მეყვავილე მამაკაცმა.

ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა და მოგზაური ამდენს უკვე ვეღარ აიტანდა. ისინი ერთ-ერთი სადარბაზოს წინ იდგნენ.

- მოდი აქ. – დაიხურჩულა მოგზაურმა და ხელის ერთი მოულოდნელი კვრით, მეყვავილე მამაკაცი სადარბაზოში შეაგდო. თავი დამანებეო, უნდოდა ეთქვა მამაკაცს, მაგრამ მოგზაურმა ისე მოუჭირა ყელში ხელი, რომ საბრალოს თვალები დასკდომამდე დაეხერხა და ხროტინი დაიწყო.

- ამოალაგე ჯიბეებში რაც გაქვს, ამოალაგე ახლავე, თორემ ვერ გადამირჩები. – ჭკუიდან გადასული იყო მოგზაური.

ყვავილების გამყიდველი მამაკაცი მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო და ჯერ ხელების გათავისუფლების მიზნით, ყვავილების თაიგული დააგდო ძირს, ხოლო შემდეგ კი მარჯვენა ხელი ჯიბისკენ წაიღო.

- დროზე, დროზე, აჩქარებდა მოგზაური და თან სადარბაზოდან გასასვლელისკენ იცქირებოდა, რომ არავინ შემოსულიყო, მაგრამ მისდა ბედად და ყვავილების გამყიდველი მამაკაცის საუბედუროდ, სადარბაზოში არავინ შემოდოდა და არც კიბეებზე ჩანდა ვინმე.

მეყვავილე მამაკაცმა ამოალაგა ერთი ჯიბიდან საფულე, ხოლო მერიდან ქაღალდის ფულის რამდენიე კუპიურა და ხელის კანკალით მოგზაურს გადასცა. მოგზაურმა, ჯერ ყელში წაჭერილი მარჯვენა ხელი გაუშვა მამაკაცს და მერე, მოულოდნელად, ერთი ისეთი წიხლი უთავაზა მუცელში, რომ მამაკაცი მოწყვეტილი ყვავილივით დაეცა, თუმცა გონება არ დაუკარგავს და მოგზაურს ენის ბორძიკით სთხოვა, არ გამძარცვო და არ მომკლაო.

- მე შენი არც გაძარცვა მინდა და არც მოკვლა. – დაამშვიდა მოგზაურმა.

- აბა, რას აპირებ? – ამოიოხრა მიწაზე დაგდებულმა და საცოდავად მოკრუნჩხულმა მამაკაცმა.

- აი, ამას ვაპირებ, - უთხრა მოგზაურმა და წაქცეული მეყვავილის საფულე და ქაღალდის ფულის კუპიურები მარცხენა ხელში შეათამაშა, მარჯვენა ხელით კი ჯიბიდან ძალიან სწრაფად სანთებელა ამოაძვრინა და აანთო... ტყავის საფულემ და ქაღალდის ფულის კუპიურებმა ზღაზვნითა და ტკაცატკუცით მიიღეს ცეცხლოვანი გამოწვევა... იწვოდა უნამუსო კაცის საფულე, ქაღალდის ფულთან ერთად. მეყვავილე მამაკაცი ძირს ეგდო და ხმას ვერ იღებდა, ხოლო სულში ჩაფურთხებული მოგზაური ცეცხლის ალით ხელში, მაინც ამაყი იყო და საკუთარი ნამოქმედართ ტკბებოდა. მოგზაურმა, თითქოს გული მოიფხანა და შელახული თავმოყვარეობა ნაწილობრივ მაინც აღიდგინა.

ასეა თუ ისე, მოგზაური ხარობდა, ნაბეგვი მეყვავილე კი ცრემლის მორევში იხრჩობოდა. შეურაცხყოფილი იყო მეყვავილე, მაგრამ არა იმაზე მეტად, ვიდრე რამდენიმე წუთის წინ მოგზაური. მათ შორის ის განსხვავება იყო, რომ მოგზაურს მეყვავილე მამაკაცისგან შეურაცხყოფა არ დაუმსახურებია, ამ უკანასკნელმა კი მოგზაურისგან შეურაცხყოფა დაიმსახურა და საკადრისი პასუხიც მიიღო. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ნამოქმედართ კმაყოფილი და გამარჯვებული სახით მდგარი მოგზაური, ასე ფიქრობდა.

ძალიან მშვიდად და აუღელვებლად გამოვიდა მოგზაური სადარბაზოდან და გამარჯვებული სახით გაუყვა გზას. იმდენი იარა, ვიდრე არ გაწვიმდა. არადა, დალოცვილი, მართლა სასიამოვნოდ წვიმდა, მაგრამ ნელ-ნელა წვიმა ნიაღვრად, ნიაღვარი ღვარცოფად, ღვარცოფი კი წყალდიდობად იქცა. მიწა ნაგლეჯებად დანაწევრდა და წყალს ყველაფერი მიჰქონდა, რაც წინ ეღობებოდა.

იქ, იმ საოცარ სამყაროში, წყლის ამგვარი ჭირვეულობა, ყველა სულიერი არსებისთვის განგაშისა და სიკვდილის ნიშანი იყო. მხოლოდ მოგზაური გრძნობდა შვებას, რადგან ცხადი იყო, რომ წყლის ეს უხვი დინება სწორედ მისთვის იყო მოვლენილი და განგება, ისევ იმ წერტილში აბრუნებდა, საიდანაც აქეთ გამორიყა...

... თვალი რომ გაახილა მოგზაურმა, ისევ გაზონზე იწყვა, მრავალსაუკუნოვანი ლოდის გვერდით. თავზე გაზაფხულის მოწმენდილი ცა დაჰხაროდა. წვიმას კი ისე გადაეღო, რომ ხეებზე და ბალახზე სისველის ნატამალიც არ დაუტოვებია.

ისევ გაზაფხული, ისევ ჩიტების ჭიკჭიკი, ისევ სიმწვანე და, რაც მთავარია, ისევ ჯადოსნურ სამყაროდან მივიწყებულ წარსულში, მივიწყებული წარსულიდან კი, ისევ ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობა. თქვენ გგონიათ, დაიღალა მოგზაური? არავითარ შემთხვევაში, დაღლას ერთი წუთითაც არ გრძნობდა, და რასაც გრძნობდა, ამის აღიარება, აღარ უჭირდა მოგზაურს. უკვე აშკარა იყო, რომ მოგზაურის გულში ზიზღს დაესადგურებინა, ზიზღს, საკუთარი წარსულის მიმართ. აღარ მოსწონდა მოგზაურს წლების წინ განვლილი საკუთარი წარსულის გზა. ახლა მართლა შევიდა იმ ადამიანების მდგომარეობაში, რომლებიც მის მიმართ კრიტიკულნი იყვნენ და დღენიადაგ ჭკუას არიგებდნენ. ვერასოდეს წარმოიდგენდა მოგზაური, რომ საკუთარ თავს, ოდესმე ასეთი ზიზღით შეხედავდა და ერთი შეხედვით, კრისტალივით წმინდა და სუფთა ბავშვობის წლების გახსენებაც ამდენ იმედგაცრუებას მოუტანდა. ახალგაზრდული წლების წვრილმან-მსხვილმანის გახსენების შემდეგ ხომ საერთოდ, სირცხვილით თავი სადღა წაეღო, აღარ იცოდა მოგზაურმა.

წარსულ წლებში ჩარჩენილ, კიდევ ძალიან ბევრ მოვლენას შეეჩეხა მოგზაური პირისპირ, მაგალითად, როყოდ წამოსროლილი სიტყვით, როგორ მოუკლა უახლოეს მეგობარს გული და როგორ შეარცხვინა ხალხში, როგორ მიატოვა ბავშვობის ძმაცაცი, მხოლოდ იმის გამო, რომ შუადამისას ლუდის დასალევედ არ გაჰყვა, ტაქსის მძღოლს, როგორ დაუხეთქა საბურავები, იმ მიზეზით, რომ მან ასეთი რამ თქვა, ამ იდიოტურ სამშობლოს, შემწვარი გოჭი თუ არ მერჩინოს, ორ შვილს გეფიცებით...

ყოველივე ეს, ერთი შეხედვით წვრილმანები იყო, მოგზაურის წარსულ ცხოვრებაში ჩაკირული წვრილმანები, მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, რომ სწორედ ასეთი ცხოვრებისეული წვრილმანები გვიქმნის ადამიანზე წარმოდგენას და მისდამი დადებითად ან უარყოფითად განგვაწყობს. ადრე მოგზაური, ამგვარ ცხოვრებისეულ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევდა და არც იმახსოვრებდა, მაგრამ ახლა, როცა ძალიან ახლოდან, ანუ გვერდიდან დაინახა, წვრილმან-მსხვილმანებისგან დაბინძურებული საკუთარი წარსული, მწარე ფიქრებს მიეცა. ფიქრობდა მოგზაური და შიშობდა, რომ ასეთი ცოდვილი წარსულით დამძიმებულს, არაფერი ეშველებოდა და სასჯელად, საუკუნო გაქრობა ელოდა.

- ნუთუ, მხოლოდ ეს ყოფილა ჩემი ცხოვრება? ნუთუ, არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, რომ ცოდვანი ჩემი გადაწონოს და სირცხვილის ლაქებს ამარიდოს? ნუთუ, მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება, საკუთარ თავთან ასე შერცხვენილმა უნდა ვიარო? ნუთუ, ჩემსა და იმ ნაძირლებს შორის, მთელი ცხოვრება გულს რომ მირევდნენ, მართლა არაფერი განსხვავება არ ყოფილა და მეც ისეთივე სასჯელის თანამოზიარე უნდა გავხდე, როგორც ისინი? ნუთუ, უზენაესმა მეც მკვლელების, ყაჩაღების, მეძავეების, გამომძაღველებისა და ტერორისტების გვერდით უნდა დამაყენოს და მეც ისევე მკაცრად გამასამართლოს, როგორც ისინი? ნუთუ, გამოსავალი არ არსებობს? ნუთუ, ჩემს განვლილ ცხოვრებაში არ დამიტოვებია ერთი ნათელი წერტილი მაინც, რომელიც გამამართლებს და იმ დიდ რისხვას ამარიდებს, რაც მომეღის? ნუთუ, ამას ვიმსახურებ? მაშინ, რატომ დავიბადე, თუ ჩემს ცხოვრებაში ერთი, გამამართლებელი წერტილი მაინც არ იქნებოდა, რომელიც გზას გამინათებდა და გადაამარჩინდა?

ამ ფიქრებში იყო მოგზაური და უცებ, შეერთა, თავი ასწია, სმენა დაძაბა და ძალიან შორიდან, თითქოს, რაღაც საამური მელოდიის ხმა უხმობდა. მაგრამ ვინ და რატომ უხმობდა, მან ეს ჯერ არ იცოდა. – უნდა წავიდე, უნდა გავიქცე, - ჩაილაპარაკა და ადგილიდან მოსწყდა. იქით მირბოდა მოგზაური, საიდანაც ეს საამური მელოდიის ხმა მოდიოდა. ჰაერს აპობდა, მუხლი უკანკალებდა, მაგრამ, მაინც არ ჩერდებოდა მოგზაური. ჩქარობდა და კიდევ უფრო სწრაფად მირბოდა - სწრაფად, სწრაფად, სწრაფად...

– იქნებ ის დამხვდეს იქ? - გაიფიქრა მოგზაურმა და იმედით ძალაშემატებული კიდევ უფრო სწრაფად გაიქცა. გასცდა ქუჩებს, სკვერებს, ხიდეებს, სახლებს, მაგრამ ცარიელი იყო უძველესი ქალაქი, მოგზაურის გარდა, ძეხორცილი აღარავინ იყო ამ ქალაქში. რა ხდებოდა, ნამდვილად არ ესმოდა და არც აინტერესებდა მოგზაურს, რადგან მისი ფიქრები მხოლოდ იქით იყო მიმართული, საიდანაც ეს საამური მელოდიის ხმა მოდიოდა – ხმა, რომელიც ტკბილად ეღვრებოდა გულში და ჯერ კიდევ რაღაც იმედს აძლევდა.

მირბოდა მოგზაური და ისევ შემოესმა ეს საამური ხმა. უკვე ეჭვი აღარ იყო, რომ ის უხმობდა მოგზაურს, ოღონდ შორიდან, ძალიან შორიდან. თუ ყურს კარგად არ დაუგდებდა, ადამიანი ამ ხმას ვერც გაიგებდა, მაგრამ მოგზაურს ესმოდა მისი ხმა... ეს იმის ხმა იყო და

იმიტომ. სადაც არ უნდა ყოფილიყო, საკუთარ წარმოსახვაში მაინც, მოგზაური სულ ყოველთვის ხედავდა მას. ახლა კი, როდესაც ეს ტკბილი და ჯადოსნური ხმა, იმის ხმას მიახსენებს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დაემართებოდა მოგზაურს. ის უკვე გადარეული იყო მონატრებითა და მისი ნახვის დაუძლეველი სურვილით. რა აღარ გადაიარა მოგზაურმა, რას აღარ გასცდა... გასცდა უძველეს ქალაქსაც და სადღაც იქით, ცა და ცისფერი მთა, ერთმანეთში რომ იყო შერეული, სწორედ იმ მიმართულებით აიღო გეზი, რადგან მონატრებული ადამიანის ხმა იქიდან ესმოდა მოგზაურს. მაგრამ, სანამ ცაში აზრდილ იმ ცისფერ მთამდე მიაღწევდა, გზად უამრავი ხეობისა თუ მდინარის გავლა მოუწია.

მირბოდა და არ ისვენებდა, ან დასასვენებლად სად ეცალა, როცა მონატრებულ ადამიანთან მიიჩქაროდა მოგზაური...

... და, აი, მთა, ცისფერი მთა. მთასთან მიახლოებულ მოგზაურს, კიდევ უფრო მკაფიოდ შემოესმა ტკბილი, წკრიალა და რაც მთავარია, მონატრებული ხმა. ახლა ცისფერ მთას უნდა შეეჭიდოს და მწვრვალზე ავიდეს, მაგრამ ცისფერი მთის მისადგომებამდე, კიდევ ერთი მდინარეა გადასალახი. ამასაც დაძლევს მოგზაური, სადაც ამდენი წინააღმდეგობა გადალახა, ეს ერთი მდინარე რაღა უნდა გამხდარიყო? არც არაფერი. ამას ფიქრობდა მოგზაური და შეება მდინარეს.

ძლიერ დინებაში, ისეთი ცივი და უკარება იყო წყალი, ჯერ არსად რომ არ შეხვედრია მოგზაურს. მიცურავდა, მაგრამ, თითქოს რაღაც აკავებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ყინულს ამტვრევდა. მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, არაფერს ეპუებოდა მოგზაური და ურჩი მდინარის ყინულოვან ტალღებს ჯიუტად მიაპობდა. ცისფერი მთის მისდგომებამდე აღარაფერი იყო დარჩენილი. სისხლი ეყინებოდა მოგზაურს და ძალა ეცლებოდა, მაგრამ, მაინც არ ნებდებოდა. – გადასაცურია და უნდა გადავცურო, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, - კიოდა მოგზაური და მძიმე ტალღებს ებრძოდა.

კიდევ ერთხელ მოესმა მოგზაურს მონატრებული ხმა და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა მოგზაურს და სისხლი აუღუღდა, თანაც, ისე აუღუღდა სისხლი, რომ სწრაფმა და გაყინულმა მდინარის ტალღებმა, აორთქლება დაიწყეს.

კიდევ კარგი, დროზე მიაღწია ნაპირამდე, თორემ მისი ადუღებული სისხლი მთელ მდინარეს ააორთქლებდა და ხრიოკ ადგილად აქცევდა. მაგრამ გავიდა მოგზაური ნაპირზე და მოურჯულბელი მდინარეც, აორთქლებას გადარჩა. მდინარის გადალახვის შემდეგ, კიდევ ერთხელ მოიკრიბა მოგზაურმა ძალა და კიდევ ერთხელ ეკეთა წინააღმდეგობას. ამჯერად ეს წინააღმდეგობა, ზეცაში აჭრილი ცისფერი მთა იყო. რთული დასაპყრობი გახლდათ მთა. მწვერვალისკენ მიმავალი მოგზაური ფეხს ვერ იკიდებდა, მაგრამ ცდილობდა, დაბლა არ დაცურებულიყო, თორემ მიწამდე სულიც აღარ დაჰყვებოდა. ეკლებისა და ქვა-ლორღისგან ხელები დაეკაწრა მოგზაურს და სისხლი სდიოდა, ის სისხლი, გაყინული და მოურჯულბელი მდინარე რომ, ლამის სულ მთლად ააორთქლა. როგორც იქნა, მთის სიმწვანეს გასცდა და უკვე სილურჯე დაიწყო, ცისფერში რომ გადადის, ისეთი სილურჯე. ამიტომაც ერქვა მას, ცისფერი მთა. ცისფერ სივრცეში გადასვლა კი იმას ნიშნავდა, რომ მთის მწვერვალს უახლოვდებოდა მოგზაური. ჯადოსნური და მონატრებული ხმა, უკვე ყურის ძირში ესმოდა მოგზაურს, მაგრამ ეს არ იყო, რაღაც მკაფიო და კონკრეტული სიტყვები, მხოლოდ ხმა იყო, ტკბილი და გულშიჩამწვდომი, რომელსაც მხოლოდ მოგზაური თუ გაარჩევდა, აღიქვამდა და გაიგებდა. დიახ, ამ ჯადოსნურ სამყაროში, ასეთი რამეც ხდებოდა, რომ სიტყვების გარეშე ხმა ისმოდა, მონატრებული ადამიანის ხმა. სწორედ ამ ხმის გამო იყო, რომ ფრთაშესხმული მოგზაური სულ ზევით და ზევით მიიწევდა, თითქმის უსასრულობაში.

რა საოცარი იყო მწვერვალი. სილურჯე მეფობდა ყველგან, ლურჯი ცა, ლურჯი მთა და მთის იქით, უკიდევანო სივრცეში გაშლილი ლურჯი ზღვა.

- ზღვააა! – აღმოხდა მწვერვალზე ასულ მოგზაურს.

სილურჯემ შთანთქა ყველაფერი, მოგზაურმა სუნთქვას მოუხშირა და... - დმერთო ჩემო, სასწაულია, ნამდვილი სასწაული, აი, ისიც, ვხედავ, მე მას ვხედაააააავ! – ღრიალებდა აღფრთოვანებული მოგზაური. ტყუილად არ უწვია, ტყუილად არ უხეტილია და ტყუილად არ ურბენია, როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა. ეს არ იყო სიზმარი, ეს ცხადი იყო, ცხადი... და ამ ცხადში, ლურჯი ცის, ლურჯი მთის და ლურჯი ზღვის ფონზე, ლანას ხედავდა მოგზაური... ლანას, რომელსაც თავზე ყვავილების გვირგვინი ედგა, სიშავემდე

მუქი, წაბლისფერი თმები გაეშალა და ხელში ცისფერი წიგნი ეჭირა. ამ სილურჯეში, მართლა ციდან ჩამოფრენილ, ღვთაებრივ ქალს ჰგავდა ლანა.

ემოციებისგან დაცლილ მოგზაურს, მუხლები მოეკვეთა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ზუსტად ისეთივე სისუსტე იგრძნო ტანში, როგორც ლანასთან პირველი შეხვედრის დროს. სამი წლის წინ, მაშინაც ასე მოხდა, მუხლები მოეკვეთა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო და ტანში სისუსტე იგრძნო. ხმას ვეღარ იღებდა და დამუნჯდა მოგზაური მაშინაც და ახლაც, ამ ცის, მთისა და ზღვის ფონზე მდგარ, ლანას წინაშე. კანკალებდა მოგზაური, თავს ვერ ერეოდე, მაგრამ, არ უნდოდა, მისი ეს მღელვარება ლანას შეემჩნია. რა ექნა, აღარ იცოდა, თავი საით წაეღო და საით გაეხედა, რომ მღელვარება დაეფარა. ცდილობდა, მოგზაური საკუთარი მღელვარების დაფარვას, მაგრამ ვერ ახერხებდა, რაც მომდიმარ ლანას არ გამოჰარვია და: - მოვედი, ხომ ხედავ, მოვედი! – ღიმილით მიმართა დაბნეულ მოგზაურს, მაგრამ მოგზაურს მისი სიტყვები არ ესმოდა და ის ისევე დაყრუვდა, როგორც სამი წლის წინ, პირველი შეხვედრის დროს. იდგა მოგზაური და ხმას ვერ იღებდა, არადა, უნდოდა ხმის ამოღება, მაგრამ ვერ ახერხებდა, არ გამოსდიოდა.

- მოვედი, გესმის, მოვედი! – ლანა უკვე იცინოდა.

მოგზაურს ისევ არაფერი ესმოდა და ხარბად თვალებში შესცქეროდა მონატრებულ ლანას და იქ საკუთარ ბედნიერებას ხედავდა. ყველაფერს ხედავდა მოგზაური ლანას თვალებში, სამი წლის წინანდელ წარსულსაც (როცა ის გაიცნო), დღევანდლობასაც და მომავალსაც. ყველაფერს ხედავდა, ყველაფერს, რაც ლანასა და მის თავს ტრიალებდა...

... მაგრამ, მოულოდნელად გაოცება აღებეჭდა მოგზაურს სახეზე, ლანას თვალებში მან დაინახა და ახლავდა გაახსენდა შვიდი-რვა წლის გოგონა, აქ, ამ ჯადოსნური მოგზაურობისას რომ იხილა. გაახსენდა, როგორ ეფერებოდა ის გოგონა, ყაყაჩოებს და შემდეგ, როგორ გაუჩინარდა ჩანჩქერში. ის გოგონა ლანას ბავშვობა იყო, მოგზაურისთვის დაფარული და მხოლოდ ამ ჯადოსნურ სამყაროში გაცოცხლებული, რომელსაც ძალიან, ძალიან უხდებოდა წყალი.

ახლა კი მოგზაურის წინ იდგა ლანა, ანუ ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა და უხდებოდა ზღვა.

პირველმა მღელვარებამ გადაიარა და ახლა უკვე საოცარმა სითბომ დაუარა მოგზაურს ტანში. ბედნიერებანარევი სითბო გიგრძნიათ ოდესმე? ალბათ, გიგრძნიათ და სწორედ ასეთ სითბოს გრძნობდა და სიხარულით ცახცახებდა მოგზაური. მერე მას თანდათან სმენაც დაუბრუნდა და, როგორც იქნა, ხმაც ამოიღო.

- ძალიან გიხდება ეს გვირგვინი, ლან. – ბედნიერი იყო მოგზაური.
- დიდი მადლობა. – მორცხვად თავი დახარა ლანამ.

მოგზაურმა ერთი პატარა, მოეღვარე ყვავილი მოწყვიტა და ლანას გვირგვინში ჩაარგო: - ესეც ლამაზია და მოგიხდება, - უთხრა მან ლანას. ახლა უკვე მეორე ყვავილს დაადგა მოგზაურმა თვალი და ისიც ლანას გვირგვინში ჩაამატა, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე... არ ჩერდებოდა მოგზაური და ლანას გვირგვინიც ყვავილებით გაივსო:

- კმარა! – უთხრა გაღიმებულმა ლანამ მოგზაურს.
- რატომ, შენ ხომ გიყვარს ყვავილები?
- ძალიან, ძალიან მიყვარს ყვავილები, მაგრამ კმარა! – ისევ თავდახრილი და მომღიძარი ამბობდა ამას ლანა.

მოგზაური შეჩერდა და მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, - შენ ჩემზე მეტად, ვერავინ შეგიყვარებს. – მიმართა ლანას.

- ხომ მნახე, ხომ კმაყოფილი ხარ? ახლა უნდა წავიდე. აბა, დროებით, დროებით. – გვირგვინი შეისწორა, კარგად მოირგო თავზე ლანამ და ზღვისკენ შებრუნდა.
- დროებითითითითით! დროებითითითითით! – გაისმა ეხოსავით ხმა და მოგზაური ლანას დაედევნა.

ზღვისა და ცის სივრცეში ღვთაებრივად მისრიალებდა ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა. მერე ლურჯი და კამკამა სივრცე ორად გაიპო და ლანა უკვე ლურჯ ზღვას მიჰყვებოდა. ყოველივე ამას ცისფერი მთის მწვერვალიდან უცქერდა მოგზაური და



ტკბებოდა, ტკბებოდა იმ ქალის ცქერით, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა.

საოცრებები ხდებოდა მოგზაურის თავს, რადგან ამ ჯადოსნურ სამყაროში მან არა მარტო საკუთარ სამარცხვინო წარსულში მომობნეული ადამიანები, არამედ ის ერთადერთი ქალიც ნახა, რომელიც ქვეყანას ერჩინა. მაგრამ, ყველაზე საინტერესო, მაინც ის იყო, აქამდე მოგზაურს, რომ ვერ გაერკვია, ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა, მისთვის მხოლოდ აწმყო და წარსული იყო, თუ მომავალიც, ახლა, ამ ჯადოსნურ სამყაროში მისმა გაელვებამ, დაარწმუნა, რომ ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა, მისთვის არა მარტო აწმყო და წარსული, არამედ მომავალიც იყო, მომავალიც.

ასე, იმედმოცემული დაეშვა მოგზაური ცისფერი მთის მწვერვალიდან დაბლა და, რასაც იქ ხედავდა; ქვას, ხეს თუ ბუჩქს, ყველაფერს თავისი გულის მესაიდუმლედ თვლიდა. ნანახითა და განცდილით ხარობდა მოგზაური. ცისფერი მთიდან დაბლა ჩამოსული, ისევ იმ მდინარეს მიაღვა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ, დიდი წვალებით გადაცურა. ისევ გადარეულივით შევარდა ჭირვეულ მდინარეში, მაგრამ დიდი წინააღმდეგობისთვის შემზადებულს, ამჯერად სულაც აღარ გასჭირვებია გიჟმაჟი მდინარის გადალახვა. უკვე ხვდებოდა მოგზაური, რომ მისთვის ნებისმიერი წინააღმდეგობის დასაძლევი სტიმული ის ქალი იყო, ქალი, რომელიც ლურჯი მთიდან ლურჯ ზღვას შეუერთდა და უსასრულობაში გაუჩინარდა, ოღონდ გაუჩინარდა დროებით და თავისი მოგიშრული ღიმილით, იმის იმედი დაუტოვა, რომ სულ მალე მობრუნდებოდა.

რომ მოენდომებინა, მთებს გადააბრუნებდა მოგზაური, იმდენად იყო გახარებული და აღფრთოვანებული, მაგრამ ახლა მთების გადაბრუნების დრო არ იყო. ახლა მას უნდა ეარა, მთელი სამყარო ფეხზე დაეყენებინა და ლანას სახელზე დარგული ვარდი მოენახა, წითელი ვარდი, ტკბილი და მძაფრი სურნელით რომ გამოირჩეოდა.

სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მოგზაურმა ერთ მომცროს ბაღში, ფერადად მოელვარე ყვავილებს შორის წითელი ვარდი დარგო, ეს ლანას გაცნობის დღეს, მის სახელზე დარგული ვარდი იყო, ვარდი, რომელიც ლანასგან სიშორეს ყოველთვის

უმსუბუქებდა მოგზაურს. ახლა აქ, ამ ჯადოსნურ სამყაროში, როგორ იქნებოდა, რომ მოგზაურს ეს ვარდი არ მოენახა და მისი სურნელით არ დამტკბარიყო. ნამდვილად წარმოუდგენელი იყო, იმ საოცარი ვარდის მონახულების გარეშე, ჯადოსნურ სამყაროში მისი მოგზაურობის გაგრძელება, გნებავთ, დასრულება.

გასროლილი ისარივით გავარდა მოგზაური, გადაეწლო მთებს, ზღვებს, მდინარეებს, ტყეებს და სადღაც ზევით, უსასრულობაში გაფრინდა. არა, მთლად მზის სხივივით არ მიფრინავდა მოგზაური, მაგრამ არც არაფერი უკლდა. თქვენ კი, მოგზაურის ფრენა ნუ გაგიკვირდებათ, რადგან ჯადოსნური სამყარო ხომ სწორედ იმით განსხვავდება ჩვენი, ყოველდღიური სამყაროსგან, რომ იქ ყველაფერია შესაძლებელი, ისეთი რამეც კი, რაც აქ წარმოუდგენლად გვეჩვენება.

რამდენი ხანი იფრინა მოგზაურმა, თავადაც არ იცის, რადგან იმ უსასრულობაში, სადაც ის დაფრინავდა, დრო არ არსებობდა, და როცა, უკვე დროის შეგრძნება დაუბრუნდა მოგზაურს, ის იმ მომცრო ბაღში იყო დაშვებული, სადაც ჭრელაჭრულა ყვავილებს შორის, ერთი სურნელოვანი ვარდი ხარობდა. ამ მომცრო ბაღში შესვლა და ყვავილებს შორის ამოსული ვარდის ნახვა, ლანასთან შეხვედრის ტოლფასი იყო მოგზაურისთვის. ლანა და ვარდი ერთმანეთთან გაიგივებული ჰყავდა მოგზაურს, რადგან ისინი ერთმანეთს აგონებდნენ, ვარდი ლანას, ლანა კი ვარდს.

მოგზაური დაიხარა და ჩვეული გატაცებით მოეფერა ვარდს, რომელიც თბილ, ტკბილ და დამათრობელ სურნელს აფრქვევდა. ბუნება ყვაოდა, ხოლო მომცრო ბაღის შუაგულში, ჭრელაჭრულა ყვავილებს შორის დარგული ვარდი ყველასგან გამოირჩეოდა.

უზომოდ კმაყოფილი იყო მოგზაური, რადგან ჯადოსნულ სამყაროში მისი მოგზაურობა, მიუხედავად დასწაყისში გადატანილი სირთულეებისა, მაინც წარმატებით სრულდებოდა. აქ მან ნახა ის, ვისი ნახვაც ყველაზე მეტად სურდა და ვის გარეშეც საკუთარი მომავალი ვერ წარმოედგინა.

ამით, თითქოს უნდა დასრულებულიყო კიდევ მოგზაურის ეს საოცარი თავგადასავალი, ასე, ლამაზი ზღაპარივით, მაგრამ, როგორც ჩანს, სამყაროს შემოქმედი ამგვარად არ ფიქრობდა და მას სულ სხვა, უფრო ამაღელვებელი და მძაფრი ფინალი ჰქონია მოფიქრებული, ფინალი, რომლის დროსაც, სამყაროს შემოქმედი, ჯერ მიწასთან გაასწორებდა ყველაფერს და ადამიანებს წარსულში ჩადენილი ცოდვებისთვის დასჯიდა, ხოლო შემდეგ, სიყვარულს სიძულვილისგან გამოარჩევდა და გადაარჩენდა,

ღიახ, განგება სიყვარულს გადაარჩენდა. ვერაფერს ვერ მიხვდით? გაოცდით? არაფერია, მალე ყველაფერს მიხვდებით და ჯერ გული დაგეწვებათ მოგზაურის მოულოდნელი იმედგაცრუებით, შემდეგ კი...

აბა, წარმოიდგინეთ, საკუთარ თავში დარწმუნებული და გახარებული მოგზაური გამოდის მომცრო ბალიდან, საიდანაც ლანას სახელზე, სამიოდე წლის წინ დარგული ვარდის მძაფრი სურნელი მოჰყვება, ჩადის დაბურულ ჭალაში, იქიდან ამოსული უძველესი ქალაქისკენ აპირებს წასვლას და, ამ დროს, ფეხქვეშ, მიწის რყევებს გრძნობს. თავიდან ყურადღება არ მიუქცევია, ეგონა, მოეჩვენა, მაგრამ მიწამ, კიდევ უფრო მეტი სიძლიერით რომ დაიწყო რყევა, უკვე ცუდად ენიშნა მოგზაურს, მაგრამ, მაინც არ შეჩერებულა და აბიბინებულ მინდორში თავის გზა აგრძელებდა. სულ მალე, ბიძმა კიდევ ერთხელ შეახსენა თავი და დაიწყო, რაც დაიწყო. ირყეოდა მთელი სამყარო, ისეთი ძალითა და ენერგიით, რომ მიწის სიმკვრივემ ვეღარ გაუძლო და ნაპრალები გაჩნდა. რა ხდებოდა, ვერ მიმხვდარიყო მოგზაური, თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და სიმშვიდეს უნდა დაესადგურებინა, მაგრამ სწორედ იმ დროს დაიწყო დედამიწამ რღვევა, როცა არ ელოდა მოგზაური. ეგონა, ახლა უკვე სიკეთის უამი დამდგარიყო, მაგრამ, თურმე ცდებოდა. ნაწილებად

ირღვეოდა დედამიწა და ჰაერში ტრიალებდა. სადმე შორს გაქცევას და თავშესაფრის მონახვას ლამობდა მოგზაური, მაგრამ გადადგამდა თუ არა ნაბიჯს, მის წინ მიწა ბელტებად იშლებოდა და მფრინავი ობიექტით ჰაერში იწყებდა ტრიალს. ადამიანი, ცხოველი, ქვეწარმავალი თუ მცენარე, ვისი საყრდენიც მიწა იყო, იღვწებოდა, იმტვრეოდა, ნაწილებად იშლებოდა, ჰაერში იფანტებოდა და შემდეგ, ისევ, დაგლეჯილ და ნაიარევ დედამიწაზე უსიცოცხლოდ ენარცხებოდა. ვერც ფრინველები გადაურჩნენ შემოქმედის მიერ მოვლენილ რისხვას, ან როგორ გადაურჩებოდნენ, როდესაც, დედამიწის ბელტებად დაშლას, ციდან ცეცხლოვანი წვიმა მოჰყვა, წვიმა, რომელიც წვადა და ანადგურებდა ყველა ცოცხალ არსებას, რაც დაბლა ხვდებოდა. ისმოდა განწირულ ადამიანთა კივილი, ცხოველთა ღმუილი და გადამწვარ მცენარეთა გულსაკლავი ტკაცატკუცი. ცოტა მოგვიანებით დედამიწა კიდევ ერთმა საშინელმა ბიძგმა შეაზანზარა, რასაც მოჰყვა კიდევ ერთი წყება ცეცხლოვანი წვიმისა და ცას შავი ნისლი გადაეკრა, მზე ჩაქრა და დედამიწაც წყვლიადმა დაფარა. სადღა იყო ზღვა, ოკეანე, მდინარე, ჩანქერი, ნაკადული, ტყე, ან ნებისმიერი სახის მცენარე? აღარსად, აღარ იყო, რადგან სამყარო განადგურების ძლიერმა ტალღამ მოიცვა და გაქრა ყველაფერი, რაც დედამიწას ალამაზებდა და სიცოცხლის ელფერს სძენდა. მოკლედ, აოხრდა ყველაფერი, რასაც სული ედგა და ჰაერთა და წყლით საზრდოობდა. საშინელი შესახედი გახდა დედამიწა, გულსაკლავი და შემადრწუნებელი.

დაიწვა, დაქუცმაცდა და დაირღვა დედამიწა, აღარაფერი ცოცხალი აღარ შერჩა მიწის ზემოთ. და როცა უკვე, მოსწყინდა შემოქმედს სიცოცხლის განადგურება, ციდან ცეცხლოვანმა წვიმის ნაკადმაც ნელ-ნელა იკლო და ბოლოს სულაც შეწყვიტა დედამიწის გადაბუგვა. თუმცა, ცეცხლოვანი წვიმა კი შეწყდა, მაგრამ მიწის რყევები ჯერ კიდევ გრძელდებოდა და დედამიწაზე აქა-იქ შემორჩენილ სიცოცხლეს საბოლოოდ სპობდა და ანადგურებდა. და ამ დროს, მიწის ბელტებში ჩავარდნილმა მოგზაურმა გონება დაკარგა. რამდენი ხნით, არავინ იცის. გონზე რომ მოვიდა, დედამიწაზე რყევებიც შეწყვეტილი იყო და ქვეყნიერებას შავი ნისლი სანახევროდ გადაცლილი ჰქონდა. მოგზაურმა ჯერ თვალების გახელა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან მიწაში ჰქონდა თავი ჩარგული. ამიტომ, ტანით შეირხა, ხოლო შემდეგ თავი გააქნია, მაგრამ სახეზე ქვიშის სიმხურვალე იგრძნო, პირი კი სულ მთლად

მიწით ჰქონდა სავსე. მთელი ძალა მოიკრიბა მოგზაურმა და ძლივს, როგორც იქნა, გვერდზე გადაგორდა, შემდეგ გულადმა მოახერხა დაწოლა და ცას ახედა. მაგრამ ეს ისეთი უმანკო და შეურყენელი ცა აღარ იყო, როგორც უბეღელისი ქალაქის სკვერში კოტრიალობისას ახსოვდა. თითქოს, სანახევროდ განათდა, მაგრამ მთელი ცა, ჯერ კიდევ კვამლითა და მტვრით იყო სავსე. აღარც ფრინველთა ჭიკჭიკი ისმოდა და აღარც ცაში ჩაქსოვილი სილურჯე ახარებდა თვალს. ცოცხალი არსების ჭაჭანება აღარ იყო დედამიწაზე. წვალებითა და კვნესით ნელ-ნელა ფეხზე წამომდგარი მოგზაური, სრულად ვერ მიმხვდარიყო, თუ რა მოხდა, თუმცა ერთს კი ხვდებოდა, რომ საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ბრძოლას ეხებოდა. ერთ დროს აყვავებული და ამწვანებული მინდორ-ველი, ამჯერად უკვე გახრიოკებული და გადამწვარი გამოიყურებოდა. ასეთ უსიცოცხლო მიწაზე მოსიარულე მოგზაურს სიმწრით გული ეპარებოდა, რადგან ყველგან, სადაც მისი თვალსაწიერი სწვდებოდა, სიკვდილი დათარეშობდა, სიკვდილი, რომელსაც სიცოცხლე დაემარცხებინა და საუკუნო გამარჯვებას ზეიმობდა.

დადიოდა მოგზაური სიკვდილისგან ძლეულ და აოხრებულ დედამიწაზე, უცქერდა უსიცოცხლოდ მიმოყრილ გვამებს, ადამიანთა წაშლილ სახეებს და მოულოდნელად, ლამის სუნთქვა შეეკრა. იქით, მიწაყრილის გვერდით, წელში გადამტვრეულ და ტოტებდამწვარ მუხის ფესვებთან, ალაგ-ალაგ ცეცხლით დამწვარი და დასახინრებული თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭუნა იწვა. რა დიდი გამოცნობა იმას სჭირდებოდა, რომ ეს ის ბიჭუნა იყო, მოგზაურის წარსულიდან გაცოცხლებული, ახლა უკვე სულისშემძვრელად დასახინრებული და სიკვდილისგან ძლეული. ბიჭუნას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შემოქმედმა არ დაინდო მოგზაური და მისი მხიარული ბავშვობა სასიკვდილოდ გაიმეტა.

მერე ყველაფერი ერთ წრეზე დატრიალდა და მთელი ის უბედურებანი, რაც იქ მოხდა, მოგზაურის თვალწინ დაეწყო. დადიოდა მოგზაური და უკვე თვალნათლივ ხედავდა ყველაფერს, მას აღარ უწევდა აღმა-დაღმა ხეტაილი და მთელი მისი ცოდვილი წარსული ერთ სიბრტყეზე დალაგებულიყო. დადიოდა მოგზაური და ხედავდა საკუთარ თავს წარსულ დროში, ოღონდ დასახინრებულსა და სიკვდილისგან ძლეულს. განგებამ მოგზაურის თორმეტ-ცამეტი

წლის ბავშვობა არ დაინდო და რა გასაკვირია, რომ არც მის სიყმაწვილესა თუ სიყმაწვილის შემდგომ წლებს არ დაინდობდა და სიცოცხლის ფერებით სავსეს არ დატოვებდა. ასე გულდამძიმებული დაიარებოდა მოგზაური და მკედარი სამყაროს გვერდით, სხვადასხვა დროში ჩარჩენილ საკუთარ წარსულს ხედავდა, წარსულს, რომელზეც სიკვდილს საკუთარი კლანჭები დაეტოვებინა. იქვე, ცეცხლისგან ამომშრალი მდინარის კალაპოტში, სრულიად ახალგაზრდა მამაკაცი ეგდო, რომელსაც სიცოცხლისა ადარაფერი ეტყობოდა. მოგზაურს არც ამ ახალგაზრდა მამაკაცის ამოცნობა გასჭირვებია, ეს მისი ახალგაზრდობა იყო, ახალგაზრდული ცოდვების გამო განგებისგან დასჯილი და სასიკვდილოდ განწირული. ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ მოუკვდა გული მოგზაურს, რადგან მან იქვე, ჩამოშლილი კლდის ლოდებისგან დასახიჩრებული და სიკვდილს მიბარებული, მისი სიყმაწვილის ძმაცა, ილოც იხილა.

სიმხურვალისგან ამომშრალი მდინარის იქით, სადაც ჩანახშირებულ ტყეს ჯერ კიდევ შავი კვამლი ასდიოდა, საკუთარი ცხოვრების კიდევ ერთ პერიოდს გადაეყარა მოგზაური, ოქროს წლებს რომ ეძახიან, იმ პერიოდს, ჯერ კიდევ ჯანმრთელი სისხლი რომ სჩქევს ორგანიზმში და სიცოცხლე რომ უხარია ადამიანს. მაგრამ აქაც იგივე, გულსაკლავი სურათი იკვეთებოდა, რადგან, ამჯერად, ადარც სისხლი სჩქეფდა ძარღვებში და ადარც სიცოცხლით გამოწვეული სიხარული აღარ ემჩნეოდა მოგზაურის ახალგაზრდობას. ცხოვრების ეს პერიოდიც ბავშვობის წლებთან ერთად ჩამკვდარიყო და ნაგლეჯებადქცეულ მიწაზე განთხმულიყო.

იქით, სანახევროდ ჩამოშლილ კლდის ძირში, საკუთარი ცხოვრების უფრო გვიანი წლები, ანუ ცხოვრების ის პერიოდიც იხილა მოგზაურმა, როცა ადამიანი უკვე ჭკუადამჯდარია და ნებისმიერ საქმეს არა ემოციით, არამედ გონების კარნახით აკეთებს. მაგრამ, რა გასაკვირია, რომ იქაც საზარელი სურათი დახვდებოდა მოგზაურს და იქაც სიკვდილი იმეფებდა. ასეც იყო, მეფობდა სიკვდილი და წარსულში ჩადენილი ცოდვების გამო, მოგზაურის გვიანი წლებიც სახეწაშლილი და უსიცოცხლო ლაქებით წაბილწული ეგდო. ო, რა საშინელი სანახავი იყო ყოველივე ეს, როდესაც ადამიანი დადის და საკუთარი ცოდვებისთვის მიღებულ სასჯელს ხედავს და განიცდის, სასჯელს, რომელსაც საუკუნო

სიკვდილი ჰქვია. საკუთარი წარსულის კიდევ უამრავი ეტაპი თუ პერიოდი ნახა იქ მოგზაურმა, მაგრამ ყველგან და ყველაფერში სიკვდილი გამეფებულიყო. კიდევ ერთხელ (ვინ მოსთვლის მერამდენედ?) დაეწვა გული მოგზაურს და კიდევ ერთხელ მოექცა კითხვების ალყაში: - ნუთუ, ამის ღირსი ვარ? ნუთუ, მხოლოდ ამისთვის მოცხოვრია, რომ ჩემი ბოლო ასეთი ტანჯვით მიღებული საუკუნო სიკვდილი ყოფილიყო? ნუთუ, ჩემი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე მართალი ადამიანი არ ვყოფილვარ? ნუთუ, ამ ქვეყნად არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, რაც საჭირო დროს წინ დამხვდება და საუკუნო სიკვდილის ბასრი კლანჭებისგან მიხსნის? ნუთუ, ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპზე ისეთი ნაძირალა ვყოფილვარ, რომ საშველს არსაიდან არ უნდა მოველოდე? ეს რა უსამართლო ყოფილა განგება და რა უსამართლო ყოფილა მთლიანად ცხოვრება, უკვე წინასწარ ჯოჯოხეთისთვის რომ მამზადებს და საუკუნო სიკვდილისთვის მიმეტებს. ნუთუ, ხსნა არსაიდან არ არის? ალბათ, არ არის. ან რისი იმედი უნდა მქონდეს, როცა ბავშვობის წლებში ჩადენილი გაუცნობიერებელი დანაშაულისთვისაც კი ასე მკაცრად მსჯის განგება?! არ არის სამართალი, არა. ძალიან მკაცრი, უსამართლო და უღმობელი ყოფილა განგება, განვლილი ცხოვრების ყველა ეტაპზე სიკვდილი მომისაჯა და ახლა რისი იმედი უნდა მქონდეს, რისი? – ამას ფიქრობდა მოგზაური და საკუთარი, ცოდვანარევი წარსულის გარშემო დააბიჯებდა, ოღონდ უკვე მიწაზე განთხმული და სიკვდილისგან ძლეული წარსულის გარშემო.

მძიმე სუნი, მძიმე სურათი, მძიმე წარსული... აღარაფრის დანახვა და გაგონება აღარ სურდა მოგზაურს, უნდოდა, ყველას და ყველაფერს გაქცეოდა და სადღაც შორს, თუნდაც დაუსახლებელ კუნძულზე გადახვეწილიყო. იქ ხომ მაინც აღარ დაამძიმებდა ცოდვათა სიავე? ყველანაირ ცივილიზაციასა და ადამიანურ ცდუნებებს მოშორებული, იქ მაინც ხომ იქნებოდა უცოდველი კრავი? იქნებოდა, ნამდვილად იქნებოდა, მაგრამ, ისიც კარგად ესმოდა მოგზაურს, რომ დაუსახლებელ კუნძულზე მისი გადახვეწა მხოლოდ ილუზია იყო, ამ უსამართლო ცხოვრებისგან გულნატკენი ადამიანის თავში მოხარშული ილუზია და მეტი არაფერი.

იმედგაცრუებისგან გაოცებული მიაბიჯებდა მოგზაური მიწასთან გასწორებულ სამყაროში, სადაც ბალახი რომ ბალახია, იმასაც აღარ

შერჩენოდა სიცოცხლის ფერი. მიაბიჯებდა გულმოკლული და ბუტბუტებდა – რატომ? რატომ? რატომ? ასეთი რა დავაშავე?

ირგვლივ უფერულობა და სიკვდილი გამეფებულიყო.

რევეებისგან მიწასთან გასწორებულ კლდეს, კარგა მანძილით რომ გასცდა, რაღაც სურნელი იგრძნო მოგზაურმა... მათრობელამ და თაფლივით ტკბილმა სურნელმა, თითქოს ძალა შემატა და იმედი ჩაუსახა. – ნუთუ, აქ, ამ ცოდვით გადაბუგულ სამყაროში, კიდევ რაღაც ყვავის და მაცოცხლებელ სურნელს აფრქვევს? – გაუკვირდა მოგზაურს და ნაბიჯს აუჩქარა. გადაიარა გახრიოკებული მდელი და შორს, უფერულ ჰორიზონტზე პატარა, მოვარდისფრო წერტილს მოჰკრა თვალი და მოგზაურის გულში იმედის ნაპერწკალი აინთო... იდგა მოგზაური, შორს მოელვარე ვარდისფერ წერტილს გაოცებული გაჰყურებდა და ვერ ბედავდა არა მარტო დაჯერებას, არამედ იმის გაფიქრებასაც კი, რომ... ვერა, ვერ ბედავდა, მაგრამ, თურმე უნდა ეფიქრა და უნდა დაეჯერა, რომ ის პატარა, ვარდისფერი წერტილი ვარდი იყო, ნამდვილი ვარდი, მერედა, იცით, რა ვარდი? სამი წლის წინ, ლანას სახელზე დარგული და გაფურჩქნული მაისის ვარდი. უკვე ყველაფერი ცხადი გახდა და მირბოდა მოგზაური იმ ვარდისფერი წერტილისკენ, მირბოდა გულანთებული და იმედით აღსავსე.

- ვარდიიიი, ლანას ვარდიიიიიიიიი, - ყვიროდა გახარებული მოგზაური, როდესაც იმ წერტილთან ახლოს მივიდა და თავისი ცხოვრების ვარდი ხელუხლებელი და გადარჩენილი იხილა.

ხედავთ? თურმე არც ისეთი დაუნდობელი ყოფილა შემოქმედი და ამ ცოდვებით დამძიმებული ადამიანის ცხოვრებაში, მაინც მონახა ერთი ნათელი წერტილი, რამაც საუკუნო დაღუპვას გადაარჩინა... გადამრჩენელი და გადარჩენილი კი ვარდი იყო, ლანას სახელზე დარგული ვარდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ გადარჩა მხოლოდ ის, რაც სიყვარულით იყო გაკეთებული, სხვა დანარჩენი კი სიკვდილს მიაბარა განგებამ.

ახლა უკვე მიხვდა მოგზაური ამ ქვეყნად ადამიანად ყოფნის არსს, მიხვდა, რომ სიძულვილის ბოლო, ყოველთვის სიძულვილია, ხოლო სიყვარულით ნაშენებს ვერაფერი მოერევა, თავად ყველაზე



ულმობელი სიკვდილიც კი. ჰოდა, ამისთვის ნამდვილად ღირს ცხოვრება.

მერე დაიხარა მოგზაური, გადაჟღალებული ვარდი მუჭში მოიქცია და ისე ღრმად შეისუნთქა მისი სურნელი, მხოლოდ მას რომ სჩვეოდა ხოლმე...

... ასე გაბრუებული და მუხლებზე დაჩოქილი იყო მოგზაური, სანამ მხარზე შეხება არ იგრძნო. აიხედა და თავზე, ვიღაც ჭადარაშერეული და სუფთად სახეგაპარსული მოხუცი ადგა.

- თქვენც გადარჩით? – გულუბრყვილოდ ჰკითხა მოგზაურმა მოხუცს.

- მე თქვენს ადგილზე, სულ სხვა შეკითხვას დავსვამდი. – გაეღიმა მოხუცს.

- რა შეკითხვას?

- მაგალითად, როგორ გახვიდეთ აქედან?

- ჰო, მართლა, როგორ გავიდე აქედან? – თითქოს ახლა გაახსენდაო, ფეხზე წამოდგა მოგზაური.

- თქვენ აქედან გასვლა ასე ადვილი არ გეგონოთ. აქ შემოსვლა, ასე თუ ისე, მაინც ადვილია, გვირაბს გაცურავთ და სულ ეგ არის, აი, გასვლაზე კი ამას ვერ მოგახსენებთ. ცოტა არ იყოს, რთულია აქედან გასვლა, თუ ვინმე არ დაგეხმარათ.

- მაშ, როგორ გავიდე? – გაუკვირდა მოგზაურს.

- გახვალთ, ნუ დარდობთ, აბა, მე აქ რისთვის მოვედი? ახლა კი, მინდა, აქაურობას ისევ თავისი ცოცხალი ფერები დაუბრუნო, თორემ, ასე გაჩანაგებულს ხომ არ დავტოვებ? – გაიღიმა მოხუცმა.

მოგზაური სულ მთლად დაიბნა და ვერ მიმხვდარიყო, რა ფერების დაბრუნებაზე ლაპარაკობდა მოხუცი?! – ვერ გავიგე! – გაოცებით იკითხა მან.

- რაც აქ ნახეთ და მოისმინეთ, სხვა ყველაფერი გაიგეთ? – ამჯერად უკვე იცინოდა მოხუცი.

- მე მგონი, გავიგე. – უპასუხა მოგზაურმა.

- თქვენ სასწავლებელში სწავლის დროსაც ეგრე ეუბნებოდით ხოლმე მასწავლებლებს, რომ ყველაფერი გავიგეო, მაგრამ, სინამდვილეში, არაფერიც არ გესმოდათ. – ახარხარდა მოხუცი და თავისივე მოტანილ და მიწაზე დაგდებულ ჯოხს დაავლო ხელი და თავზე თავისივე მოტანილი სქელი ტილო წამოაცვია. მერე გულის ჯიბიდან პატარა, ფერადი კოლოფი ამოაძვრინა, ხელის ერთი გაქნევით კოლოფს თავი მოხსნა და ტილოზე რამდენჯერმე გაუსვამოუსვა, რის შემდეგაც ტილო სხვადასხვა ფერებში აჭრელდა.

მოგზაური გაოცებული სახით შესცქეროდა მოხუცს და ვერ მიმხვდარიყო, რას აკეთებდა იგი? – რას აკეთებთ? – ჰკითხა მოგზაურმა მოხუცს.

- ხომ გითხარით, აქაურობას ფერები უნდა დავუბრუნო – მეთქი?!
- რომელ აქაურობას?
- სადაც ახლა დგახართ და რომელიც, ესესაა წაიბილწა. გასაგებია? – იკითხა მოხუცმა.

მოგზაურმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, მოხუცმა კი ტილოჩამოცმული ჯოხი მარჯვედ შეათამაშა ხელში და უფერულ ცაზე მისი ჩამოსმა ისე დაიწყო, თოთქოს შუშას წმენდსო. ერთხელ ჩამოუსვა მოხუცმა ცას ჯოხი, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და ცას ნელ-ნელა გახუნებული ფერი ჩამოსცილდა. კიდევ რამდენჯერმე წაუსვა მოხუცმა ცაზე ტილო და შემდეგ წუთით შეჩერდა, გაოცებულ მოგზაურს თვალი ჩაუკრა და ჯიბიდან, ამჯერად უფრო მოზრდილი კოლოფი ამოაძვრინა, იმასაც ხელის ერთი გაქნევით თავი მოხსნა და ტილოზე რამდენჯერმე გადაუსვა. გაოცებით მდგარ მოგზაურს ამჯერად სურნელი ეცა მზის, ზღვის და ყვავილების. მოხუცმა ყუთი ისევ გულის ჯიბეში ჩაიდო და ტილოჩამოცმული ჯოხი ენერგიულად მოუსვა ჯერ ცაზე, მერე მიწაზე, მერე ჩამოშლილ მთებზე, კლდეებზე და ბოლოს მდინარეების, ტბების, ჩანჩქერების, ზღვებისა და ოკეანეების ამომშრალ ადგილებზე. იქ, სადაც მოხუცი ტილოს უსვამდა, იმ ადგილებს ფერები და სიცოცხლე უბრუნდებოდა. მოგზაურს თავი ზღაპარში ეგონა, იდგა და გაოცებული შესცქეროდა მოხუცისა და ბუნების მიერ შეხმატკბილებულად გათამაშებულ ამ საოცრებას.

მკვდარ და გახრიოკებულ ბუნებას ფერები უბრუნდებოდა, გესმით, ფერები. ფერების გარეშე კი ბუნება ისეთივე მკვდარია, როგორც აქ, ამ რამდენიმე წუთის წინ, ამ ტერიტორიაზე იყო. თანდათან სრულად განათდა, აშრიალდა ტყეები, არაკრაკდა ნაკადულები, გაცოცხლდნენ ცხოველები და ფრინველები... სიკვდილისგან ძლეული, მაგრამ მკვდრეთით აღმდგარი ბუნება, ნელ-ნელა იღვიძებდა და სიცოცხლის საგალობელს ამბობდა. თუმცა, ეს საოცრება, ჯერ ერთ მხარეს, აღმოსავლეთისკენ ხდებოდა, იქით, საითკენაც მოხუცი იყო შებრუნებული და ტილოს უსვამდა. სხვა მიმართულებით კი ისევ სიკვდილი მეფობდა, მაგრამ აღარ ეშინოდა მოგზაურს, რამეთუ, მშვენივრად ხედავდა, რომ ამ მხარეში შეუძლებელი არაფერი იყო, თავად სიკვდილის დამარცხებაც კი.

არ ცდებოდა მოგზაური, რადგან მოხუცი ახლა უკვე დასავლეთის მიმართულებას მისდგა და ისიც ისევე გააცოცხლა ფერებით, როგორც აღმოსავლეთი. კმაყოფილმა მოხუცმა შეხედა მოგზაურს და: - თქვენ კი გეშინოდათ, ამ საქმეს არაფერი ეშველებათ.

- გამოვიტყდებით და მართლა მეშინოდა. - გულწრფელი იყო მოგზაური.

- განა თქვენ არ იცით, რომ ყველა საქმეს ეშველება, რაც ადამიანის ხელშია.

- კი, მაგრამ, რაც აქ ხდება, უზენაესის ხელშია და, არა ადამიანის.

- ცდებით, მეგობარო, ძალიან ცდებით, აქ უზენაესიცა და მბრძანებელიც მე ვარ. მე ვცვლი ფერებს, მე ვაცოცხლებ ბუნებას, ადამიანებსა და ცხოველებს.

- და უზენაესი?

- უზენაესი მე მაცოცხლებს. - ღიმილით, მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

- თქვენ ვინ ხართ? - იკითხა მოგზაურმა.

- მე უზენაესსა და სამყაროს შორის შუამავალი ვარ. - ისევ იღიმოდა მოხუცი და კაცი ვერ გაიგებდა, ხუმრობდა თუ სერიოზულად ლაპარაკობდა?

- ესე იგი, ჩემი ეს განადგურებული წარსულიც, თქვენი და უზენაესის ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა?

- თქვენ, ისევ თქვენი ურწმუნობა გღუპავთ, მეგობარო. რომ იცოდეთ, ყველაფერი აქაური, ფანტაზია მაშინ იქნებოდა, მე რომ ჩემით ვმოქმედებდე და არავისთან ანგარიშვალდებული არ ვიყო, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მე შეუამავალი ვარ სამყაროსა და უზენაესს შორის. აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ, რაც აქ იხილეთ, ძალიან შორს დგას ფანტაზიისგან.

- ვითომ? – კვლავ დაეჭვდა მოგზაური.

- არ გეწყინოთ და შეუგნებელი მამაკაცივით იქცევით. ამისხენით ერთი, რა იყო აქ ფანტაზია, თქვენი ცოდვილი წარსული? ან თქვენი განვლილი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები? რა, თქვენი ბავშვობა, სტუდენტობა და თქვენი ახალგაზრდობის შემდგომი წლები, აქ რომ იხილეთ, ფანტაზია და გამოგონილი იყო?

მოგზაური ღუძღა.

- გამეცით პასუხი, რაც აქ იხილეთ, გამოგონილი იყო და თქვენს განვლილ ცხოვრებაში ასეთი რამ თავს არ გადაგხდენიათ?

- ყველაფერი სრული სიმართლე იყო. – როგორც იქნა, გამოტყდა მოგზაური.

- ან ის ქალი, რომელსაც ძალიან უყვარს ზღვა, მხოლოდ გამოგონილი პერსონაჟია და მის დანახვაზე ელეთ-მელეთი არ გემართებათ?

- გაჩერდით ერთი, ნამეტანი ნუ გაუტყით. – წარბი აქაჩა მოგზაურმა.

- ასე რომ, რაც აქ იხილეთ, იმედია, მორიგი, ცხოვრებისეული გამოცდილება გახდება თქვენთვის და ყოველთვის შეეცდებით, საკუთარ თავს გვერდიდან შეხედოთ. ხანდახან უნდა იფიქროს ადამიანმა, რომ ყოველთვის არ ვართ მართალნი და შეიძლება, ჩვენც ისეთივე საზიზღრად გამოვიყურებით, როგორც სხვები გამოიყურებიან ჩვენს თვალში. უბრალოდ, ადამიანმა ამდენი რომ მოახერხოს, საჭიროა ორი რამ.

- თუ შეიძლება, მითხარით, რა ორი რამ არის საჭირო? – მოთმინება და კარგულმა იკითხა მოგზაურმა.

- პირველი, საკუთარ თავს გვერდიდან შეხედოს და მეორე, ჩემთან ახლობლობა.

- ვერ მივხვდი, თქვენთან ახლობლობა რა საჭიროა? – მართლა ვერ მიხვდა მოგზაური.

- აბა, ადამიანი როგორ ისწავლის საკუთარი თავისთვის გვერდიდან შეხედვას, აქ, ჩემს სამყაროში თუ არ შემოვიდა?

აქ უკვე ორივეს გაეცინა.

- მოკლედ, ასე გადავწყვიტეთ, თქვენ ახლა შეგიძლიათ გახვიდეთ და სასტუმროში თქვენს ოთახს მიაკითხოთ. თქვენთვის ნაჩუქარი გიტარა ისევ პირველ სართულზე დევს და აიტანეთ ოთახში. ისე, რომ იცოდეთ, უკვე გათენდა და ძალიან ღამაზი, გაზაფხულის დილაა. თუ სურვილი გექნებათ, დაჯექით სასტუმროს ოთახში და ტელევიზორს უყურეთ, ან კომპიუტერით გაერთეთ. არჩევანი თქვენზეა.

- რახან გათენდა, მაშინ, მე უკვე წავალ. – თვალები გაუბრწყინდა მოგზაურს.

- სად? – გაოცდა მოხუცი.

- წავალ ჩემს სამშობლოში. დაებრუნდები იქ, საიდანაც მოვდივარ. როგორ დაებრუნდები, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მთავარია, რომ ვბრუნდები. თქვენ კი დიდი მადლობა ამ ჯადოსნურ სამყაროში ჩემი შემოშვებისთვის.

მოხუცი ცოტა ხნით თავჩაღუნული იდგა. მერე, უცებ გამოფხიზლდა და თავი ასწია: - მართალი ხართ, მეგობარი, უკვე თქვენი წასვლის დროა, რადგან თქვენ აქ, ვედარაფერს მოისმენთ ახალს და ვედარაფერს იხილავთ. თქვენი აქაური სამოქმედო გეგმა უკვე ბოლოშია გასული. ახლა შეგიძლიათ სამშობლოში დაბრუნდეთ და ეცადეთ, მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრება, საკუთარ თავს, არა წინიდან, არამედ გვერდიდან შეხედოთ ხოლმე, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებშიც კი.

- მერე, გამომივა?

- თქვენ აქ ისეთი გამოცდილება მიიღეთ, რომ გამოგივით. იდარდოს იმან, ვისაც აქაურ სამყაროში არ შემოუხედავს და არ დაუნახავს, თუ რა საზიზღარი არსებაა გვერდიდან. თქვენ კი აქ ნამყოფი ხართ, საკუთარი თავისთვის გვერდიდან შეხედვაც ნასწავლი გაქვთ და იცით, მომავალში როგორ უნდა მოიქცეთ. ახლა კი მშვიდობით, მეგობარო და, აი, იმ მწვანე მინდვრისკენ წადით, იქვე პატარა მთის ძირში გვირაბი შეგხვდებათ, შეხვალთ იმ გვირაბში და უკვე რეალურ სამყაროში იქნებით გასული. – ხელით ანიშნებდა მოხუცი მოგზაურს.

- კი, მაგრამ, სადაც ახლა თქვენ ხელი გაიშვირეთ, სად არის მანდ მწვანე მინდორი ან მთა? მანდ ხომ ყველაფერი ჯერ ისევ აოხრებულია? – გაუკვირდა მოგზაურს.

- ახლავე, მეგობარო, ახლავე. – დაფაცურდა მოხუცი და ტილოწამოცმულ ჯოხს ეცა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... კიდევ რამდენიმე გასმა-გამოსმა და ბუნება იმ მხარესაც გაცოცხლდა და აყვავილდა.

- ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ. – გაღიმებული იდგა მოხუცი.

ისინი ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ და თავიანთი გზით წავიდნენ. ჯოხზე ტილოწამოცმული მოხუცი, ჯერ კიდევ უფერულ და გახუნებულ გზას გაუყვა, რათა მისთვის ძველებური სიცოცხლე დაებრუნებინა, მოგზაური კი ამწვანებულ მინდორში გავიდა.

ჯერ ნელი ნაბიჯით მიდიოდა მოგზაური, მერე, თითქოს, რაღაც გაახსენდაო, ნაბიჯს აუჩქარა და სულაც სირბილზე გადავიდა.

უკვე თავდავიწყებით მიროდა მოგზაური, რადგან, სურდა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა იქაურობას და მშობლიურ გარემოში დაბრუნებულიყო... გარემოში, სადაც ერთი ღვთაებრივი ქალი ცხოვრობდა, - ქალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ზღვა.







